მიგრაციის საკითხთა
სამთავრობო კომისია

საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი

2017

თბილისი, საქართველო

მადლობის ნიშნად

წინამდებარე დოკუმენტის შემუშავება შესაძლებელი გახდა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის წევრი უწყებების[1] მიერ მოწოდებული მონაცემებისა და მათ მიერ გაზიარებული სასარგებლო რეკომენდაციების საფუძველზე, რაც დაგვეხმარა მონაცემთა ინტერპრეტაციისა და ქვეყანაში მიმდინარე მიგრაციული პროცესების ყოვლისმომცველი სურათის აღწერაში.

ამასთანავე, კომისიის სამდივნო მადლობას უხდის ევროკავშირს და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრს (ICMPD/პროექტი ENIGMMA) მიგრაციის პროფილის შემუშავებაში გაწეული ტექნიკური დახმარებისათვის.

2015 წლის პროფილის მსგავსად, კომისია დაეყრდნობა მიგრაციის მართვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩართული და სოლიდური ცოდნის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლების გამოცდილებასა და რეკომენდაციებს. ამგვარად ვიმედოვნებთ პროფილის შემუშავების პროცესის უფრო დახვეწას და მის სანდო რესურსად წარმოდგენას აკადემიური კვლევის, განათლების, პოლიტიკის შემუშავებისა თუ მართვის სფეროებით დაინტერესებული ყველა მხარისათვის.

© მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union For Georgia

ICMPD
International Centre for Migration Policy Development

1 მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის წევრი უწყებები: იუსტიციის სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური; საგარეო საქმეთა სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო; სტატისტიკის ეროვნული სამსახური; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

სარჩევი

შემოკლებების ჩამონათვალი 5

ზოგადი ინფორმაცია ქვეყნის შესახებ 7

შესავალი 9

სიტუაციის მიმოხილვა და მიგრაციული ტენდენციები 10

1. ემიგრაცია 12

1.1. ემიგრანტთა მიმოხილვა 12

1.2. ლეგალური ემიგრაცია 16

1.2.1. შენგენის სავიზო განაცხადები 16

1.2.2. ბინადრობის ნებართვები ევროკავშირის ქვეყნებში 18

1.2.3. რუსეთი 19

1.2.4. აშშ 20

1.2.5. თურქეთი 21

1.3. საერთაშორისო დაცვა 21

1.4. საქართველოს მოქალაქეთა არალეგალური მიგრაცია ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში . 25

1.4.1. ქვეყანაში შესვლაზე უარი 26

1.4.2. საზღვრის უკანონო კვეთა 27

1.4.3. არალეგალურად მყოფი ემიგრანტების გამოვლენა 28

1.5. ემიგრაციის გავლენა 28

1.5.1. დემოგრაფიული ასპექტი 28

1.5.2. ფულადი გზავნილები 30

1.5.3. დიასპორის ჩართულობა 33

1.5.4. უნარ-ჩვევების განვითარება და ცოდნის ქსელები 35

2. იმიგრაცია 38

2.1. იმიგრანტთა მიმოხილვა 38

2.1.1. ნატურალიზაცია 44

2.1.2. განათლების მიღების მიზნით ჩამოსული უცხოელები 45

2.1.3. შრომითი იმიგრანტები 47

2.1.4. უცხოელი მეწარმეები/ინვესტორები 49

2.2. იმიგრაციის ეკონომიკური გავლენა 51

2.3. უცხოელთა ინტეგრაცია 54

2.4. საერთაშორისო დაცვა საქართველოში 56

2.4.1. საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირთა ინტეგრაცია 58
2.5. კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელები 60
2.5.1. კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელების გამოვლენა 60
2.5.2. კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელების გაძევება 61

3. დაბრუნება და რეინტეგრაცია 61
3.1. დაბრუნებითი მიგრაცია 61
3.1.1. რეადმისია 63
3.2. დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეთა რეინტეგრაცია 63

4. შიდა მიგრაცია 65
4.1. იძულებით გადაადგილებული პირები 65
4.2. ეკოლოგიური მიგრანტები 67
4.3. ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა 68
4.4. მიგრაცია სოფლიდან ქალაქში - ქალაქიდან სოფელში 69

5. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) 70

6. მიგრაციის მართვა 73
6.1. მიგრაციის პოლიტიკის ჩარჩო 73
6.2. საკანონმდებლო ჩარჩო 77
6.3. ინსტიტუციური ჩარჩო 78

7. ძირითადი მიგნებები 80

8. გამოწვევები და რეკომენდაციები 84

შემოკლებების ჩამონათვალი[2]

აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები
გაერო	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
მშპ	მთლიანი შიდა პროდუქტი
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
შსს	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
სსგს	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
საჯარო რეესტრი	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საია	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
მსსკ	მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია
მეას	მიგრაციის ერთიანი ანალიტიკური სისტემა
რუსთაველის ფონდი	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
ტრეფიკინგის საბჭო	ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო
ტრეფიკინგის ფონდი	ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალე-ბულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი
ლტოლვილთა სამინისტრო	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო
შრომის სამინისტრო	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
განათლების სამინისტრო	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ევროსტატი	ევროკავშირის სტატისტიკური ოფისი
AA	ასოცირების შეთანხმება
Chevening	დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის საერთაშორისო გრანტების პროგრამა
CRRC	კავკასიის კვლევითი რესურს ცენტრები
CIPDD	მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტი-ტუტი
DAAD	გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური
DCFTA	ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება
ENIGMMA	პროექტი - „მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში“ (ევროკავშირის მიერ აღმოსავლეთის პარტნიორობის ინტეგრაციისა და თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის /ICMPD/ მიერ 2014-2017 წლებში განხორციელებული პროექტი)

2 მსსკ-ს ვებ-გვერდზე ასევე იხილეთ: მიგრაციასთან დაკავშირებული შემოკლებების განმარტებები და მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი. http://migration.commission.ge/index.php?article_id=129&clang=0 ნანახია: 31.10.2017

ERASMUS	ევროკავშირის პროგრამა - „ერასმუსი“, რომლის მიზანია განათლების, პროფესიული მომზადების, ახალგაზრდებისა და სპორტის განვითარება
FRONTEX	საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტო
HDI	ადამიანის განვითარების ინდექსი
ICMPD	მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი
IOM	მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
ISET	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
TEMPUS	„ტემპუსი“ - ევროკავშირის პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს უმაღლესი განათლების მოდერნიზაციას ევროკავშირის მეზობელ ქვეყნებში (2007-2013)
UN DESA	გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტი
UNDP	გაერო-ს განვითარების პროგრამა
UNHCR	გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი

ზოგადი ინფორმაცია ქვეყნის შესახებ

საქართველო: ძირითადი ფაქტები	
ფართობი	69,700 კმ²
სახმელეთო საზღვრები	1,839 კმ
მოსაზღვრე ქვეყნები	სომხეთი (224 კმ)
	აზერბაიჯანი (446 კმ)
	თურქეთი (275 კმ)
	რუსეთი (894 კმ)
სანაპირო ზოლი	315 კმ
ეროვნული ვალუტა	ქართული ლარი (GEL)
მშპ (მიმდინარე ფასებში)	34 028,5 მლნ. ლარი (2016 წელი)
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში)	3 864,6 აშშ დოლარი (2016 წელი)
მოსახლეობა	3,718,200 (2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)[3]

3 http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=151&lang=geo ნანახია: 31.10.2017

ეთნიკური შემადგენლობა (2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით)	ქართველები - 86.8%
	აზერბაიჯანელები - 6.3%
	სომხები - 4.5%
	რუსები - 0.7%
	სხვა - 1.7%
დედაქალაქი	თბილისი
დედაქალაქის მოსახლეობა	1,114,600 (2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)
სახელმწიფო ენები	ქართული, აფხაზური (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე)
ბუნებრივი მატება (ათას კაცზე)	1,6 (2016 წელი)[4]
მოსახლეობა ქალაქად	57.2% (2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)
პრეზიდენტი	გიორგი მარგველაშვილი
პრემიერ-მინისტრი	გიორგი კვირიკაშვილი
პარლამენტის თავმჯდომარე	ირაკლი კობახიძე

4 http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=151&lang=geo ნანახია: 31.10.2017

შესავალი

საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ფარგლებში შემუშავებული რიგით მეორე საინფორმაციო ანალიტიკური ტიპის დოკუმენტია, რომელიც ახალი, ე.წ. საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის მოდელის მიხედვით მომზადდა. მისი წინამორბედი, 2015 წლის საქართველოს მიგრაციის პროფილი, ხუთწლიან პერიოდს მოიცავდა და მასში წარმოდგენილი იყო 2010-2014 წლების სტატისტიკური მონაცემები და ამ მონაცემების ლაკონიური ანალიზი. მოცემული დოკუმენტი 2015 წლის მიგრაციის პროფილის ლოგიკური გაგრძელებაა და ეფუძნება მიგრაციის პროფილის შემუშავების უკვე არსებულ გამოცდილებას.

2017 წლის მიგრაციის პროფილი, ძირითადად, აღწერს 2015-2016 წლების მიგრაციასთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მონაცემებს, აანალიზებს ამ მონაცემებს სხვადასხვა სფეროზე (დემოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალური) გავლენის ჭრილში და ამის საფუძველზე ავლენს ძირითად ტენდენციებს და ცვლილებებს სხვადასხვა მიგრაციულ ჯგუფსა და ნაკადში. 2015 წლის მიგრაციის პროფილის მსგავსად, 2017 წლის პროფილიც უპირატესად ეყრდნობა საქსტატის, ევროსტატის, გაერო-ს, მსოფლიო ბანკის, FRONTEX-ის და საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ადმინისტრაციულ მონაცემებს. ამასთან, 2017 წლის მიგრაციის პროფილში გათვალისწინებულია იმ კვლევების ძირითადი მიგნებებიც, რომლებიც სახელმწიფო უწყებების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ინიციატივით 2015-2016 წლებში ჩატარდა. ზემოხსენებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე კი, დოკუმენტის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია ძირითადი მიგნებები, არსებული გამოწვევები და სათანადო რეკომენდაციები.

საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილი, როგორც წესი, მზადდება ორ წელიწადში ერთხელ და შუალედში მას ავსებს ე.წ. მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილები. ეს უკანასკნელი მსსკ-ს სამდივნოს მიერ წელიწადში ორჯერ მზადდება და უფრო სიღრმისეულად განიხილავს საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილში წარმოდგენილ ცალკეულ მიმართულებებს. სამდივნოს მიერ უკვე მომზადდა ორი ასეთი ტიპის დოკუმენტი: პირველი მიეძღვნა მიგრანტთა ფულად გზავნილებს საქართველოში, ხოლო მეორე ფოკუსირებულია საქართველოს ეკონომიკაზე უცხოელი სტუდენტების გავლენის შესწავლაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს მსსკ-ს სამდივნოს მიერ მომზადებული მიგრაციის პროფილის შემუშავების სპეციალური გზამკვლევიც, რომელიც მნიშვნელოვანი დამხმარე რესურსი იყო ამ დოკუმენტის შემუშავების პროცესში. გასათვალისწინებელია, რომ პროფილის დახვეწის მიზნით, 2017 წლის ვერსიაში განხორციელდა მცირე სტრუქტურული ცვლილებები, რაც წინამორბედისგან განსხვავებით, მკითხველს უფრო გაუადვილებს დოკუმენტზე მუშაობის პროცესს.

წინამდებარე პროფილი სფეროთი დაინტერესებულ პირებს სთავაზობს ქვეყნის მიგრაციული პროცესების ამსახველ ყოვლისმომცველ სურათს, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია როგორც აკადემიური კვლევებისა და სწავლებისთვის, ასევე მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიგრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის.

სიტუაციის მიმოხილვა და მიგრაციული ტენდენციები

რთულია ერთი ძირითადი ფაქტორის გამოყოფა, რომელიც ხელს უწყობს საქართველოდან ემიგრაციას ან იმიგრაციას საქართველოში. ეს ფაქტორები კომპლექსურია და დაკავშირებულია როგორც ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ, ისე ადამიანების ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებთან. საქართველოს უახლეს ისტორიაში იყო პერიოდი, როდესაც ემიგრაცია, ძირითადად, გამოწვეული იყო ქვეყანაში არსებული არასტაბილურობით და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარემოებებით (შიდა შეიარაღებული კონფლიქტები). თუმცა მოგვიანებით ემიგრაციული პროცესების გააქტიურებაში უფრო მნიშვნელოვანი გახდა ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები. ემიგრაციის სხვა ხელშემწყობ ფაქტორებს შორის არანაკლებ მნიშვნელოვანია უკვე ჩამოყალიბებული მიგრაციული ქსელები, რომელთაც ასევე შეუძლიათ ხელი შეუწყონ საქართველოს მოქალაქეთა ემიგრაციას.

უკანასკნელ ათწლეულში ქვეყანაში გატარებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა, პოლიტიკურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებასთან ერთად, ხელი შეუწყო იმიგრაციული ნაკადების ზრდასაც. თუმცა ემიგრაციის მასშტაბები ამით მაინც არ შემცირებულა, რადგან ქართველი მიგრანტების ძირითადი დანიშნულების ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოს ეკონომიკა შედარებით შეზღუდული დასაქმების შესაძლებლობებს, შრომის ანაზღაურებას, სოციალურ დახმარებასა თუ ცხოვრების ხარისხს სთავაზობს საქართველოს მოქალაქეებს.

ამ სიტუაციასთან გასამკლავებლად და მოსახლეობის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად საქართველოში გატარდა და ამჟამადაც მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც მიმართულია სამეწარმეო საქმიანობის გამარტივებისა და კიდევ უფრო მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნისაკენ. უკანასკნელი დეკადის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკა სტაბილურად იზრდებოდა და მომავალ წლებშიც ზრდა არის ნავარაუდები. საქსტატის მონაცემების თანახმად, საქართველოს მშპ-მ 2016 წელს 14.3 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა, ხოლო მშპ-მ ერთ სულ მოსახლეზე 3 864,6 აშშ დოლარი შეადგინა.[5]

ზრდის ტენდენციით ხასიათდება, ასევე, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა, რომელსაც ქვეყანაში მოქმედი შეღავათიანი საგარეო სავაჭრო რეჟიმები და ქვეყნის ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა უწყობს ხელს. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) ძალაშია 2014 წლის სექტემბრიდან. აღსანიშნავია, რომ საქართველო გახდა პირველი ქვეყანა რეგიონში, რომელსაც დადებული აქვს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ჩინეთთან.

საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების დადებითი შედეგები ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო კვლევასა და შეფასებაში. მაგალითად, მსოფლიო ბანკის ანგარიშის „Doing Business 2017“ მიხედვით, საქართველოს რეიტინგი 7 საფეხურით გაუმჯობესდა და 2017 წელს საქართველომ 190 ქვეყანას შორის 23-ე ადგილიდან მე-16 ადგილზე გადაინაცვლა. საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიის, ფრეზერის ინსტიტუტის (Fraser Institute), 2016 წლის რეიტინგში - „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლება“ - საქართველო ლიდერ პოზიციაზეა და ეკონომიკური თავისუფლების მხრივ მე-7 ადგილს იკავებს მსოფლიოს 159 ქვეყანას შორის. Heritage Foundation-ის „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2017“-ის მიხედვით, საქართველომ წინა წელთან შედარებით 10 ადგილით გაიუმჯობესა პოზიცია და მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის მე-13 პოზიცია დაიკავა კვლავ „უმეტესად თავისუფალი“ სტატუსით.

დინამიკურად ვითარდება ასევე ტურიზმის სექტორიც. 2010 წლიდან 2017 წლამდე საქართველოში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის ტემპი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იყო მსოფლიოში. საერთაშორისო მოგზაურების მთლიანმა რაოდენობამ 2016 წელს 6.3 მილიონს გადააჭარბა. ხოლო ამავე წელს საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები 11.9 %-ით გაიზარდა

5 http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/GDP%202016%20Press%20release_Geo.pdf ნანახია: 31.10.2017

და დაახლოებით 230 მილიონი აშშ დოლარით მეტი სავალუტო შემოდინება დაფიქსირდა წინა წელთან შედარებით.

„Transparency International“-ის მიერ 2017 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, 2016 წელს „კორუფციის აღქმის ინდექსში“ („Corruption Perception Index“) საქართველოს რეიტინგი 4 საფეხურით გაუმჯობესდა და 176 ქვეყანას შორის 48-ე ადგილიდან 44-ე ადგილზე გადმოინაცვლა, ხოლო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის (EECA) 19 ქვეყანას შორის საქართველომ კვლავ პირველი პოზიცია შეინარჩუნა.

სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვის სფეროს დაფინანსების მიხედვით, საქართველოს მსოფლიო რეიტინგში საკმაოდ კარგი პოზიცია უკავია. 2016 წელს ჯანდაცვის და სოციალური დახმარების ხარჯების წილი მშპ-ს 6,1 %-ს შეადგენდა.[6] 2014 წელს, ჯანმრთელობის დაზღვევის რეფორმის ფარგლებში, დაინერგა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა, რომელმაც უფრო ხელმისაწვდომი გახადა ჯანდაცვა მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენებისთვის.

UNDP-ის ადამიანის განვითარების ინდექსის (HDI) თანახმად, რომელიც სამი ძირითადი განზომილების შეფასების საფუძველზე გამოითვლება (სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, სკოლაში სწავლების საშუალო და მოსალოდნელი ხანგრძლივობა და მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულზე)[7], საქართველომ 2016 წლის ანგარიშში[8] 188 ქვეყანას შორის 70-ე ადგილი დაიკავა და მიეკუთვნება ადამიანის განვითარების მაღალი ინდექსის მქონე ქვეყნების ჯგუფს. თუმცა, ამ მოცემულობის მიუხედავად, სიღარიბე კვლავ რჩება ერთ-ერთ გამოწვევად ქვეყანაში.

შეჯამებისთვის შეგვიძლია ვთქვათ, რომ როგორც ემიგრაციის, ისე იმიგრაციის შემთხვევაში, უფრო ისეთი ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორებია გადამწყვეტი, როგორიცაა ცხოვრების, განათლებისა და ჯანდაცვის ხარისხი, სიღარიბე და ეკონომიკური უთანასწორობა, ვიდრე პოლიტიკური სტაბილურობა და უსაფრთხოება.

6 http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/GDP%202016%20Press%20release_Geo.pdf ნანახია: 31.10.2017
7 http://hdr.undp.org/en/content/human-development-index-hdi ნანახია: 31.10.2017
8 http://hdr.undp.org/sites/default/files/2016_human_development_report.pdf ნანახია: 31.10.2017

1. ემიგრაცია

საქართველოს ისტორიაში მიგრაციას განსაკუთრებული როლი განეკუთვნება. მნიშვნელოვანი სტრატეგიული და გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო მომხდარი ომების შედეგად, მოსახლეობა, ნებსით თუ უნებლიეთ, მუდმივად მიგრირებდა ქვეყნის შიგნით ან მის ფარგლებს გარეთ.[9] საქართველოს უახლესი ისტორია ემიგრაციის რამდენიმე ტალღას გამოყოფს: 1. 1950-იან წლებამდე, რომელიც, ძირითადად, პოლიტიკური რეპრესიების შედეგად იძულებითი (საბჭოთა კავშირის შიგნით) გადასახლებებით ხასიათდება; 2. 1950-1990 წლებში, რა დროსაც საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია ასევე უპირატესად საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ფარგლებში მიმდინარეობდა და 3. 1990-იანი წლების მასობრივი ემიგრაცია, რომელიც ქვეყანაში შექმნილ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და სამხედრო კონფლიქტებს მოჰყვა.[10] ეს უკანასკნელი მიგრაციული ტალღა, ძირითადად, რუსეთისკენ მიემართა. თუმცა 2000 წელს რუსეთის მიერ საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის შემოღებამ ემიგრაციული ნაკადი რუსეთიდან სხვა ქვეყნებისკენ (განსაკუთრებით უკრაინა, აშშ და ევროპის ქვეყნები) მიმართა. 2004 წლიდან ემიგრაციული პროცესები კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა როგორც მოტივაციის, ისე მიმართულების კუთხით. ზუსტი სურათის დანახვას ართულებს ემიგრაციის კუთხით სანდო და სრულყოფილი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების მექანიზმის არარსებობა. მოცემულ თავში განხილული სტატისტიკა საკმაოდ ფრაგმენტულია და სხვადასხვა წყაროს და მეთოდოლოგიას ეყრდნობა. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ეს მეთოდოლოგიური განსხვავებები გათვალისწინებულ იქნეს მონაცემთა ინტერპრეტაციის და შედარების დროს.

1.1. ემიგრანტთა მიმოხილვა

საქსტატი 2012 წლიდან აქვეყნებს მიგრანტთა ნაკადების ქვეყანაში შემოდინებისა და გადინების სტატისტიკას სქესის, ასაკისა და მოქალაქეობის მიხედვით. საქსტატის მიგრაციის სალდოს მონაცემები ცვალებადი იყო ბოლო წლების განმავლობაში.[11] ეს ცვალებადობა შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც მიგრაციის მახასიათებლების ცვლილებით, ასევე იმ ფაქტით, რომ 2002-2012 წლებში საქსტატმა რამდენჯერმე შეცვალა[12] მონაცემთა მიღების წყარო და ემიგრანტის განსაზღვრის მეთოდოლოგია. 2012 წლიდან საქსტატი იყენებს გაერო-ს მიერ რეკომენდებულ მეთოდოლოგიას, რომლის მიხედვითაც, **ემიგრანტად მიიჩნევა ნებისმიერი პირი (მოქალაქეობრივი კუთვნილების მიუხედავად)**, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ 2 პირობას: 1. დატოვა საქართველო ბოლო 12 თვეში და, სულ მცირე, 183 დღე (შესაძლებელია ეს იყოს რამდენიმე გასვლის კუმულაციური ჯამი) იმყოფებოდა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე და 2. საქართველო იყო მისთვის მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა, ე.ი. მას ქვეყნიდან გასვლამდე წინა 12 თვეში საქართველოში გატარებული ჰქონდა, სულ მცირე, 183 დღე (ხანგრძლივობის კუმულაციური ჯამი).

საქსტატის ბოლო სამი წლის (2014-2016 წწ.) მონაცემების მიხედვით, იზრდება ემიგრანტთა ნაკადი საქართველოდან. 2014 წელს მათი რაოდენობა 88,704 შეადგენდა, რომელთა შორის 69,855 საქართველოს მოქალაქე იყო. 2015 წელს კი, უკვე 95,965 ემიგრანტი წავიდა საქართველოდან, რომელთა უმრავლესობა (67,452) საქართველოს მოქალაქე იყო, ხოლო 2016 წელს ემიგრანტთა რიცხვი ოდნავ გაიზარდა და 98,288-ს მიაღწია, თუმცა მათ შორის საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა არ გაზრდილა, პირიქით შემცირდა (64,705). აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ადგილი აქვს ემიგრაციის მზარდ ტენდენციას, თუმცა ეს

9 მიგრაციის სახელმძღვანელო, თბილისი, 2017 წ., ნაწილი V, მიგრაციის ისტორია, გვ. 107.
10 იქვე: გვ. 110-115.
11 The State of Migration in Georgia, ICMPD, 2015. http://bit.ly/2CaJrsD ნანახია: 31.10.2017
12 იქვე.

ხდება არა საქართველოს მოქალაქეების, არამედ სხვა ქვეყნის მოქალაქეების საქართველოდან გასვლის შედეგად (იხ. ცხრილი N1).

როგორც ცხრილი N1 ცხადყოფს, მოქალაქეობის მიხედვით, ემიგრანტები, ძირითადად, საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან - რუსეთი, თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და უკრაინა - არიან და შესაძლოა ისინი თავიანთ მოქალაქეობის ქვეყანაში დაბრუნდნენ.

ცხრილი N1: ემიგრანტთა რაოდენობა მოქალაქეობისა და სქესის მიხედვით 2015 და 2016 წლებში.

2015				2016			
მოქალაქეობა	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი	მოქალაქეობა	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი
საქართველო	67,452	37,711	29,741	საქართველო	64,705	34,869	29,836
რუსეთი	6,160	3,485	2,675	რუსეთი	8,379	4,721	3,658
თურქეთი	3,631	2,796	835	თურქეთი	4,200	3,093	1,107
სომხეთი	3,331	2,006	1,325	სომხეთი	7,887	4,767	3,120
აზერბაიჯანი	1,574	817	757	აზერბაიჯანი	1,772	968	804
უკრაინა	1,130	755	375	უკრაინა	1,612	796	816
ირანი	1,454	1,068	386	ჩინეთი	966	791	175
ქუვეითი	1,293	840	453	ისრაელი	928	425	503
ერაყი	988	770	218	აშშ	725	436	289
აშშ	916	556	360	ინდოეთი	710	535	175
ჩინეთი	783	601	182	ქუვეითი	640	424	216
სხვა ქვეყნის მოქალაქე	7,104	4,321	2,783	სხვა ქვეყნის მოქალაქე	5,596	3,323	2,273
არ არის მითითებული	149	91	58	არ არის მითი-თებული	168	107	61
სულ	95,965	55,817	40,148	სულ	98,288	55,255	43,033

წყარო: *საქსტატი*

გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანაში ვერ გროვდება ემიგრანტთა დანიშნულების ქვეყნების შესახებ მონაცემები, რთულია იმის თქმა, თუ რომელი სახელმწიფოებისკენაა მიმართული ემიგრაციის ნაკადები საქართველოდან. თუმცა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გარკვეული სიზუსტით შესაძლებელია, ერთი მხრივ, 2014 წელს საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაყრდნობით, ხოლო, მეორე მხრივ, UN DESA-ს მონაცემების ანალიზით.

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის დროს საქსტატმა იხელმძღვანელა გაერო-ს მიერ რეკომენდებული მეთოდოლოგიით[13] და მუდმივ საცხოვრებლად მიჩნეულ იქნა ადგილი, სადაც პირი უწყვეტად ცხოვრობდა, სულ მცირე, ბოლო 12 თვის განმავლობაში (არ გაითვალისწინება დროებით არმყოფი შვებულების ან მივლინების გამო) ან ადგილი, სადაც პირი აპირებს ცხოვრებას, სულ მცირე, 12 თვის განმავლობაში. ამ რეკომენდაციის საფუძველზე 2014 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მეთოდოლოგიის მიხედვით, ემიგრანტად მიიჩნეოდა 2002 წლის 1 იანვრიდან საქართველოდან უცხო სახელმწიფოში მუდმივად ან დროებით საცხოვრებლად წასული პირი (მოქალაქეობრივი კუთვნილების მიუხედავად), რომლის

13 „მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერის პრინციპები და რეკომენდაციები“ (2007);

არყოფნა საქართველოში აღემატებოდა 12 თვეს ან, რომელიც აპირებდა საზღვარგარეთ დარჩენას 12 თვეზე მეტ ხანს.[14] როგორც ცხრილი N2 აჩვენებს, ემიგრანტთა ყველაზე დიდი რაოდენობა რუსეთსა და საბერძნეთშია, რომელსაც მასშტაბების მიხედვით, მოჰყვება თურქეთი, იტალია, გერმანია და აშშ. ემიგრანტთა ნახევარზე მეტი (55%) ქალია, თუმცა მნიშვნელოვნად განსხვავდება გენდერული თანაფარდობა იმ ქვეყნების მიხედვით, სადაც ისინი ამჟამად ცხოვრობენ. მაგალითად, საბერძნეთში, თურქეთსა და იტალიაში მყოფი ემიგრანტების უმრავლესობა ქალია, ხოლო რუსეთსა და უკრაინაში, როგორც ჩანს, ძირითადად, კაცები მიდიან.

ცხრილი N2: ემიგრანტთა რაოდენობა სქესის და დასახლების ტიპის მიხედვით.

ამჟამინდელი საცხოვრებელი ქვეყანა	ორივე სქესი	სქესი		დასახლების ტიპი	
		მამაკაცი	ქალი	ქალაქი	სოფელი
რუსეთი	19,195	13,640	5,555	10,891	8,304
საბერძნეთი	14,048	2,386	11,662	8,762	5,286
თურქეთი	9,922	3,262	6,660	6,120	3,802
იტალია	9,612	1,373	8,239	6,756	2,856
გერმანია	6,259	2,808	3,451	4,831	1,428
აშშ	5,021	2,457	2,564	4,474	547
ესპანეთი	3,597	1,724	1,873	2,618	979
საფრანგეთი	3,293	1,896	1,397	2,730	563
უკრაინა	3,283	2,619	664	2,045	1,238
აზერბაიჯანი	1,802	1,091	711	408	1,394
სხვა ქვეყანა	11,590	6,483	5,107	8,315	3,275
არ არის მითითებული	919	443	476	615	304
სულ	88,541	40,182	48,359	58,565	29,976

წყარო: *საქსტატი, 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა*

2014 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, ემიგრანტთა 66% წასვლამდე ქალაქის ტიპის დასახლებაში ცხოვრობდა, ხოლო 34% სოფლის ტიპის დასახლებაში. N3 ცხრილი აჩვენებს ემიგრანტთა განაწილებას საზღვარგარეთ წასვლამდე მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის და სქესის მიხედვით. როგორც მონაცემები ცხადყოფს, ყველაზე დიდი რაოდენობა წასულია თბილისიდან, იმერეთიდან და ქვემო ქართლის რეგიონიდან. ამასთან, იმერეთიდან, კახეთიდან და მცხეთა-მთიანეთის რეგიონიდან წასულ ემიგრანტებში ქალების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება კაცების რაოდენობას.

14 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები http://bit.ly/2kvr2j9 ნანახია: 31.10.2017

ცხრილი N3: ემიგრანტთა რაოდენობა საქართველოდან წასვლამდე მუდმივი საცხოვრებელი ადგილის და სქესის მიხედვით.

საქართველოდან წასვლამდე მუდმივი საცხოვრებელი ადგილი	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი
თბილისი	27,956	12,368	15,588
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	3,994	2,308	1,686
გურია	1,408	553	855
იმერეთი	20,298	7,974	12,324
კახეთი	7,271	2,985	4,286
მცხეთა-მთიანეთი	2,243	813	1,430
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	489	271	218
სამეგრელო-ზემო სვანეთი	6,897	3,848	3,049
სამცხე-ჯავახეთი	2,769	1,524	1,245
ქვემო ქართლი	11,099	5,752	5,347
შიდა ქართლი	4,117	1,786	2,331

წყარო: *საქსტატი, 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა*

UN DESA-ს მონაცემებით, საზღვარგარეთ დაბადებული მოსახლეობის კატეგორიის მიხედვით, ყველაზე მეტი ემიგრანტი საქართველოდან რუსეთში იმყოფება. საქართველოში დაბადებული პირების საკმაოდ დიდი რაოდენობა გვხვდება ასევე საბერძნეთში, უკრაინაში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. იმავე წყაროს მიხედვით, 2000 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოში დაბადებულ პირთა რაოდენობა აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებში, ხოლო შემცირდა - ისრაელსა და რუსეთში (იხ. ცხრილი N4). ამავე მონაცემების თანახმად, 2000 წელთან შედარებით, 2015 წელს საქართველოში დაბადებული პირების რაოდენობა უცხო ქვეყნებში 100,000-ზე მეტი ადამიანითაა შემცირებული. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ UN DESA-ს და საქსტატის მონაცემების ერთმანეთთან შედარება არ არის მართებული მათი განსხვავებული მეთოდოლოგიით დათვლის გამო.

ცხრილი N4: ემიგრანტები საქართველოდან ძირითადი ბინადრობის ქვეყნების მიხედვით, 2000-2015 წწ.

	მონაცემთა ტიპი	2000 წ.	მონაცემთა ტიპი	2005 წ.	მონაცემთა ტიპი	2010 წ.	მონაცემთა ტიპი	2015 წ.
რუსეთი	B	625,743	B	539,318	B	441,793	B	450,221
საბერძნეთი	B	71,047	B	78,132	B	85,216	B	83,388
უკრაინა	B	73,621	B	67,270	B	64,185	B	64,399
აზერბაიჯანი	B R	61,708	B R	58,561	B R	53,614	B R	51,141
სომხეთი	B R	46,779	B R	30,942	B R	25,767	B R	40,897
აშშ	B	10,528	B	15,424	B	20,511	B	24,456
გერმანია	B	10,482	B	16,302	B	22,122	B	22,884
კვიპროსი	B	6,950	B	10,173	B	16,310	B	17,026

იტალია	B	317	B	6,271	B	12,224	B	12,226
ისრაელი	B R	21,123	B R	14,988	B R	9,034	B R	9,317
ესპანეთი	B	523	B	4,926	B	9,792	B	8,760
ბელარუსი	B	8,827	B	8,705	B	8,583	B	8,507
საფრანგეთი	B	1,424	B	5,304	B	7,011	B	7,584
თურქეთი	B R	6,065	B R	6,249	B R	6,439	B R	6,536
ევროკავშირის 28 ქვეყანა		100 813		133 494		168 542		171 030
ყველა ქვეყანა		967,810		886,964		810,207		838,430

წყარო: *UN DESA, 2015 წ.; აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიების ჩათვლით. საანგარიშო წლის, კერძოდ, 2000, 2005, 2010 და 2015 წლების 1 ივლისის მონაცემები;*

მონაცემთა ტიპები: საზღვარგარეთ დაბადებული მოსახლეობა (B), UNHCR-ის ლტოლვილები (R). [15]

1.2. ლეგალური ემიგრაცია

1.2.1. შენგენის სავიზო განაცხადები

ბოლო შვიდი წლის (2010-2016 წწ.) განმავლობაში საქართველოში მდებარე შენგენის ქვეყნების საკონსულოებში შენგენის ვიზის გაცემაზე შეტანილ განაცხადთა რაოდენობა მზარდი იყო. 2010 წელთან შედარებით 2016 წელს განაცხადთა რაოდენობა თითქმის გაორმაგდა (იხ. დიაგრამა N1). მთლიანობაში, ზემოხსენებულმა საკონსულოებმა 2015 წელს 87,000-ზე მეტი, ხოლო 2016 წელს 92,000-ზე მეტი ვიზა გასცეს, რომელთაგან უმრავლესობა ერთჯერადი შესვლის ვიზა იყო. 2015 წელს მრავალჯერადი შესვლის ვიზების წილმა გაცემული ვიზების საერთო რაოდენობის 25.8% შეადგინა, ხოლო 2016 წელს ეს მაჩვენებელი 32.6%-მდე გაიზარდა.

დიაგრამა N1. შენგენის ვიზაზე განაცხადების საერთო რაოდენობა წლების მიხედვით.



წყარო: *ევროკომისია*[16]

15 2015 წლის საქართველოს მიგრაციის პროფილში, რომელიც ეფუძნებოდა 2013 წლის მონაცემებს, ზოგიერთი ქვეყნის მონაცემთა ტიპს წარმოადგენდა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა რაოდენობა (C). 2015 წლიდან ბაზა განახლდა და ეფუძნება მხოლოდ B და/ან R ტიპის მონაცემებს, რამაც, 2015 წლის პროფილსა და წინამდებარე პროფილში წარმოდგენილ 2000, 2005 და 2010 წლის მონაცემებში გამოიწვია ცვლილება. http://bit.ly/1W6TROn ნანახია: 31.10.2017

16 ევროკომისია - მიგრაციის და საშინაო საქმეთა გენერალური დირექტორატი: https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/policies/borders-and-visas/visa-policy_en ნანახია: 31.10.2017

2014 წელთან შედარებით, 2015 და 2016 წლებში გაზრდილია როგორც შენგენის სავიზო განაცხადების რაოდენობა, ასევე საქართველოს მოქალაქეებზე გაცემული შენგენის ვიზების რაოდენობაც. ამასთან, თითქმის უცვლელია საქართველოს მოქალაქეებისთვის შენგენის ვიზის მიღებაზე (მათ შორის, მრავალჯერად ვიზაზე) უარის მაჩვენებლის წილი, რომელიც 2014 წლიდან 12% -ის ფარგლებში მერყეობს.

2014 წელთან შედარებით, 2016 წელს განსაკუთრებით გაზრდილია სავიზო განაცხადების რაოდენობა ნიდერლანდების, საბერძნეთის და ლატვიის საკონსულოებში (იხ. ცხრილი N5). ვიზის გაცემაზე უარის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კვლავ რჩება ნიდერლანდების საკონსულოს (21%), თუმცა ამავე საკონსულოს აქვს მრავალჯერადი ვიზების გაცემის ყველაზე მაღალი მაჩვენებელიც (62,3%). 2016 წელს ვიზის გაცემაზე უარის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვთ გერმანიის (3.4%), პოლონეთის და ლატვიის (5.6%) საკონსულოებს. საბერძნეთის საკონსულოს აქვს მრავალჯერადი ვიზების გაცემის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (5.9%) და ნიდერლანდების საკონსულოს შემდეგ ვიზის გაცემაზე უარის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (16.4%).

ცხრილი N5: საქართველოში განთავსებული შენგენის ქვეყნების საკონსულოების მიერ ვიზების გაცემის მაჩვენელი ვიზის კატეგორიების მიხედვით 2015 და 2016 წლებში.

შენგენის ქვეყნის საკონსულო	სავიზო განაცხადი	გაცემული ვიზების (მათ შორის, მრავალჯერადი) საერთო რაოდენობა	გაცემული მრავალჯერადი ვიზების რაოდენობა	შეზღუდული ტერიტორიული მოქმედების ვიზების რაოდენობა	უარი ვიზის გაცემაზე	ვიზებზე უარის მაჩვენებელი	მრავალჯერადი ვიზების წილი ვიზების მთლიან რაოდენობაში
2015							
ჩეხეთი	6,704	5,518	605	2	1,184	17.7%	11.0%
ესტონეთი	2,260	1,914	567	0	346	15.3%	29.6%
საფრანგეთი	7,680	6,972	2,423	0	634	8.3%	34.8%
გერმანია	17,326	16,672	2,950	2	652	3.8%	17.7%
საბერძნეთი	12,367	10,508	670		1,859	15.0%	6.4%
იტალია	13,274	10,990	3,078	5	2,279	17.2%	28.0%
ლატვია	7,671	7,300	1,040	1	370	4.8%	14.2%
ლიტვა	3,126	2,489	1,000		589	18.8%	40.2%
ნიდერლანდები	21,715	17,034	7,858	1	4,286	19.7%	46.1%
პოლონეთი	4,793	4,451	1,796		342	7.1%	40.4%
შვეიცარია	3,633	3,195	513	5	433	11.9%	16.1%
სულ	100,549	87,043	22,500	16	12,974	12.9%	25.8%
2016							
ჩეხეთი	7,286	6,190	499		1,091	15.0%	8.1%
ესტონეთი	2,002	1,706	732	3	293	14.6%	42.9%
საფრანგეთი	8,359	7,779	2,423		512	6.1%	31.1%
გერმანია	16,603	16,041	5,228	1	561	3.4%	32.6%

საბერძნეთი	14,050	11,742	695		2,308	16.4%	5.9%
იტალია	13,683	12,222	3,116	1	1,460	10.7%	25.5%
ლატვია	7,912	7,465	2,347		447	5.6%	31.4%
ლიტვა	3,701	3,119	1,363		568	15.3%	43.7%
ნიდერლანდები	23,708	18,546	11,554	4	4,983	21.0%	62.3%
პოლონეთი	5,065	4,782	1,644	1	282	5.6%	34.4%
შვეიცარია	3,655	3,303	692	3	349	9.5%	21.0%
სულ	106,024	92,895	30,293	13	12,854	12.1%	32.6%

წყარო: *ევროკომისია*[17]

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის წარმატებით განხორციელების შემდეგ, 2017 წლის 28 მარტიდან, ბიომეტრიული პასპორტის მფლობელ საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ, ვიზის გარეშე იმოგზაურონ ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში მოკლევადიანი ვიზიტებით (90 დღე 180 დღეში). უვიზოდ მოგზაურობა შესაძლებელია შენგენის ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს ევროკავშირის 22 წევრ და 4 არაწევრ ქვეყანას. უვიზო მიმოსვლა ასევე მოქმედებს ევროკავშირის წევრ/შენგენის კანდიდატ 4 ქვეყანასთანაც (ბულგარეთი, კვიპროსი, რუმინეთი, ხორვატია). აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, დიდი ალბათობით, 2017 წლიდან მოკლევადიანი ვიზების მოთხოვნა საქართველოში განთავსებულ ევროკავშირის/შენგენის ქვეყნების საკონსულოებში საგრძნობლად შემცირდება.

1.2.2. ბინადრობის ნებართვები ევროკავშირის ქვეყნებში

ევროსტატის მონაცემის თანახმად, 2015 წელს ევროკავშირის ქვეყნებში 71,223, ხოლო 2016 წელს 74,416 საქართველოს მოქალაქე ფლობდა მოქმედ ბინადრობის ნებართვას. საქართველოს მოქალაქეებზე გაცემული მოქმედი ბინადრობის ნებართვების წლიური რაოდენობა, 2010 წლიდან (53,020) მოყოლებული, მზარდია. ბინადრობის ნებართვების ტიპების ანალიზი აჩვენებს, რომ, ძირითადად, იზრდება ოჯახის გაერთიანების და „სხვა“ საფუძვლით გაცემული ბინადრობის ნებართვების რაოდენობა (იხ. ცხრილი N6).

ცხრილი N6: ევროკავშირის წევრ 28 სახელმწიფოში საქართველოს მოქალაქეებზე გაცემული მოქმედი ბინადრობის ნებართვების რაოდენობა წლების და საფუძვლების მიხედვით.

წელი	საგანმანათლებლო	ოჯახის გაერთიანება	შრომითი (ანაზღაურებადი) საქმიანობა	სხვა	სულ
2012	4,056	21,673	18,147	16,992	60,868
2013	4,150	24,419	19,301	18,413	66,283
2014	4,360	25,086	19,563	20,863	69,872
2015	4,626	25,547	18,411	22,639	71,223
2016	4,730	26,538	18,435	24,713	74,416

წყარო: *ევროსტატი (მონაცემები ნანახია 31.10.2017)*

17 ევროკომისია - მიგრაციის და საშინაო საქმეთა გენერალური დირექტორატი: https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/policies/borders-and-visas/visa-policy_en ნანახია: 31.10.2017

რაც შეეხება ევროკავშირის 28 წევრ სახელმწიფოში საქართველოს მოქალაქეებზე პირველად გაცემულ ბინადრობის ნებართვებს, მათი რიცხვი ბოლო წლების განმავლობაში 7,902-დან 9,850-მდე მერყეობს. 2013 წელთან შედარებით, 2015 და 2016 წლებში შემცირებულია შრომითი (ანაზღაურებადი) საქმიანობის საფუძველზე გაცემული ბინადრობის ნებართვები (იხ. ცხრილი N7). თუმცა ზრდის ტენდენცია შეინიშნება საგანმანათლებლო და ოჯახის გაერთიანების მიზნით გაცემულ ბინადრობის ნებართვებში.

ცხრილი N7: საქართველოს მოქალაქეებზე ევროკავშირის წევრ 28 სახელმწიფოში პირველად გაცემული ბინადრობის ნებართვები საფუძვლების მიხედვით.

წელი	საგანმანათლებლო	ოჯახის გაერთიანება	შრომითი (ანაზღაურებადი) საქმიანობა	სხვა	სულ
2012	1145	2654	3222	1487	8508
2013	1224	2516	4290	1820	9850
2014	1399	2440	3220	1839	8898
2015	1447	2880	1686	1889	7902
2016	1919	3077	1861	2389	9246

წყარო: *ევროსტატი (მონაცემები ნანახია 31.10.2017)*

1.2.3. რუსეთი

ყველა არსებული შეფასებისა და სტატისტიკური მონაცემის თანახმად (იხ. ცხრილები N2 და N4), ყველაზე მეტი ემიგრანტი საქართველოდან რუსეთში იმყოფება. რუსეთის მიგრაციის ფედერალური სამსახურის 2016 წლის მონაცემებით, რუსეთში მიგრაციულ აღრიცხვაზე მყოფი საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა 49,983-ს შეადგენდა, რაც აღემატება 2015 წლის იმავე მაჩვენებელს (43,762).[18]

რუსეთის სტატისტიკის ფედერალური სამსახურის მონაცემებით, რუსეთ-საქართველოს შორის მიგრაციის დინამიკა, 1997 წლიდან მოყოლებული, საკმაოდ ცვალებადია. 2000 წლამდე, სანამ რუსეთი საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმს შემოიღებდა, ემიგრანტთა რაოდენობა საქართველოდან საკმაოდ სტაბილური იყო და წელიწადში 20,000-დან 25,000 ადამიანამდე მერყეობდა (იხ. დიაგრამა N2). თუმცა 2001 წლიდან ემიგრანტთა რიცხვი ორჯერ შემცირდა და 2004 წელს ყველაზე დაბალ მაჩვენებელს მიაღწია (4,886). 2004 წლიდან ემიგრანტთა რაოდენობამ ისევ დაიწყო ზრდა და 2007 წლისთვის დაახლოებით 10,000-ს მიაღწია. 2007 წლიდან კი საქართველოდან რუსეთში ჩამსვლელთა რაოდენობა ისევ კლების ტენდენციით ხასიათდება, ხოლო რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებულთა რაოდენობა მზარდია. აღსანიშნავია, რომ 1997 წლიდან მოყოლებული, რუსეთში ჩასულთა რაოდენობა ყოველ წელს გაცილებით აღემატებოდა რუსეთიდან საქართველოში ჩამომსვლელთა რაოდენობას. ბოლო წლებში კი საქართველოდან რუსეთში და რუსეთიდან საქართველოში მიგრაციის მაჩვენებლები შედარებით დაბალანსდა. 2016 წლის (იანვარი-ნოემბერი) მონაცემებით, რუსეთში 5,890 საქართველოს მოქალაქე ჩავიდა, ხოლო რუსეთიდან საქართველოში 3,825 ჩამოვიდა.

18 https://xn--b1aew.xn--p1ai/Deljatelnost/statistics/migracionnaya/item/9359228/ ნანახია: 31.10.2017

დიაგრამა N2: საქართველოდან რუსეთში და რუსეთიდან საქართველოში მიგრაციის დინამიკა (1997-2016 წწ.)[19].



წყარო: *რუსეთის სტატისტიკის ფედერალური სამსახური[20] (მონაცემები ნანახია 31.10.2017)*

1.2.4. აშშ

აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტის მონაცემებით, 2000-2015[21] წლებში საქართველოს 20,375-მა მოქალაქემ მიიღო შეერთებულ შტატებში მუდმივი ბინადრობის ნებართვა.[22] 2015 წელს 1,410 საქართველოს მოქალაქიდან 734-მა ეს ნებართვა აშშ-ს მოქალაქის უშუალო ნათესავის სტატუსით და 431-მა - საიმიგრაციო ვიზის პროგრამაში[23] გამარჯვების საფუძველზე მიიღო. იმ 20,000-ზე მეტი საქართველოს მოქალაქის გარდა, რომელსაც შეერთებულ შტატებში აქვს მუდმივი ბინადრობის ნებართვა, აშშ-ში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების გარკვეული ნაწილი, სავარაუდოდ, სამართლებრივი საფუძვლის გარეშეც ცხოვრობს და მათი ზუსტი რიცხვის დადგენა რთულია.

დიაგრამა N3. აშშ-ს კანონიერი მუდმივი ბინადრობის ნებართვა საფუძვლის მიხედვით, 2015 წელი.



წყარო: *აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტი[24]*

19 http://www.gks.ru/free_doc/new_site/population/demo/migr1_bd.htm ნანახია: 31.10.2017
20 2016 წლის მონაცემები არასრულია და მოიცავს იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით პერიოდს.
21 აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტის სტატისტიკის მიხედვით, 2000 წლამდე საქართველოს მოქალაქეები გაერთიანებული იყვნენ ან რუსეთის იმპერიის (1820-1920 წწ.), ან სსრკ-ს (1920-1990 წწ.), ან რუსეთის ფედერაციის (1991-1999 წწ.) მოქალაქეთა ჯგუფებში. იხ.: 2012 YEARBOOK OF IMMIGRATION STATISTICS. OFFICE OF IMMIGRATION STATISTICS. HOMELAND SECURITY. 2013, გვ. 11.
22 2015 წლის საიმიგრაციო სტატისტიკის წლიური ანგარიში (2015 Yearbook of Immigration Statistics): http://bit.ly/2jVQQp6 ნანახია: 31.10.2017
23 „მწვანე ბარათის“ გათამაშება.
24 https://www.dhs.gov/immigration-statistics/yearbook/2015 ნანახია: 31.10.2017

ამავდროულად, 2001-2016 წლებში, საქართველოს 8,841-მა მოქალაქემ მოიგო აშშ-ს საიმიგრაციო ვიზა - „მწვანე ბარათი“.[25] მიუხედავად იმისა, რომ, დიდი ალბათობით, ყველა მათგანი არ დასახლდა აშშ-ში მუდმივად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გამარჯვებულთა უმრავლესობამ მიიღო ბინადრობის სტატუსი.

1.2.5. თურქეთი

2014 წლის საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით, თურქეთი რიგით მესამე ქვეყანაა, სადაც ყველაზე მეტი ქართველი ემიგრანტი იმყოფება (იხ. ცხრილი N2). თურქეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2016 წელს თურქეთში 18,511 საქართველოს მოქალაქე ფლობდა ბინადრობის ნებართვას. აქედან უმრავლესობა შრომითი (8,014) ან მოკლევადიანი (7,478) ბინადრობის ნებართვაა, ხოლო 2,477 შემთხვევაში ბინადრობის ნებართვა ოჯახის გაერთიანების მიზნით გაიცა.[26]

თურქეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული საზღვრის კვეთის მონაცემების თანახმად, საქართველო (გერმანიის შემდეგ) რიგით მეორე ქვეყანაა, რომლის მოქალაქეებიც თურქეთში ყველაზე ხშირად შედიან. 2016 წელს საქართველოს მოქალაქეებმა საქართველო-თურქეთის საზღვარი 2,195,727-ჯერ გადაკვეთეს თურქეთის მიმართულებით, ხოლო 2,176,867-ჯერ - საქართველოს მიმართულებით.[27] ეს მონაცემები მიუთითებს, რომ მიგრაცია საქართველოსა და თურქეთს შორის, როგორც საზღვრისპირა მიგრაციისთვისაა დამახასიათებელი, ცირკულარობით გამოირჩევა და ორმხრივ ტრანზიტული მიგრაციის ხასიათსაც ატარებს.

1.3. საერთაშორისო დაცვა

UNHCR-ის მონაცემების თანახმად, საქართველოს მოქალაქეების მიერ სხვადასხვა ქვეყანაში თავშესაფრის მოთხოვნის წლიური მაჩვენებელი საკმაოდ ცვალებადია. თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადების ყველაზე დიდი რაოდენობა 2009 წელს (15,735), რუსეთ-საქართველოს ომიდან ერთი წლის შემდეგ, დაფიქსირდა. 2015 წლის განმავლობაში საქართველოდან 11,413-მა მოქალაქემ მოითხოვა თავშესაფარი სხვადასხვა ქვეყანაში, ხოლო 2016-ში 11,197-მა. ეს რიცხვები წინა 3 წელთან შედარებით ოდნავ უფრო დაბალია. ამასთან, უკანასკნელ წლებში საქართველოს მოქალაქეების მიერ თავშესაფრის მოთხოვნაზე შეტანილი განაცხადების აღიარების კოეფიციენტი 6%-დან 3%-მდე შემცირდა (იხ. ცხრილი N8).

ცხრილი N8: განხილვის პროცესში არსებული განაცხადების (წლის დასაწყისი და წლის ბოლო), წლის განმავლობაში შემოსული განაცხადებისა და უარყოფითი გადაწყვეტილებების რაოდენობა.

	2012	2013	2014	2015	2016
წლის დასაწყისი	2,958	4,238	11,394	8,275	9,260
წლის განმავლობაში შეტანილი განა-ცხადების რაოდენობა	14,094	12,592	12,377	11,413	11,197
დადებითი პასუხების საერთო რაოდენობა	402	258	263	250	192
უარი	6,779	6,900	7,641	6,768	7,105

25 http://bit.ly/2zedOju ნანახია: 31.10.2017
26 http://www.goc.gov.tr/icerik6/residence-permits_915_1024_4745_icerik ნანახია: 31.10.2017
27 http://www.goc.gov.tr/icerik3/entry---exit_915_1024_4744 ნანახია: 31.10.2017

სხვა მიზეზებით არადაკმაყოფილებული განცხადებები	5,296	4,862	5,132	3,231	4,203
გადაწყვეტილებების საერთო რაოდენობა	12,591	12,364	13,448	10,553	11,884
აღიარების კოეფიციენტი[28]	6%	4%	3%	4%	3%
უარის კოეფიციენტი[29]	94%	96%	97%	96%	97%
წლის ბოლო	4,583	11,571	7,809	9,255	10,252

წყარო: *UNHCR*[30]

2016 წელს თავშესაფრის მოპოვების თაობაზე ყველაზე მეტი განაცხადი საქართველოს მოქალაქეების მიერ გერმანიაში იქნა შეტანილი (3,448). გერმანიაში თავშესაფრის მოთხოვნის რაოდენობა 2016 წელს შეადგენს საქართველოს მოქალაქეების მიერ თავშესაფრის მოთხოვნების მთლიანი რაოდენობის (7,496) თითქმის ნახევარს. UNHCR-ის მონაცემებით, გერმანიასა და აშშ-ში საქართველოს მოქალაქეების მიერ თავშესაფრის მოთხოვნის რაოდენობა ბოლო ხუთი წლის (2012-2016 წწ.) განმავლობაში საგრძნობლად გაზრდილია. ამის პარალელურად შემცირებულია საქართველოს მოქალაქეების მიერ საფრანგეთსა და საბერძნეთში თავშესაფრის მოთხოვნის რაოდენობა (იხ. ცხრილი N9).

ცხრილი N9: საქართველოს მოქალაქე თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადები ძირითადი დანიშნულების ქვეყნების მიხედვით (წლის განმავლობაში შეტანილი განაცხადები).

ქვეყნები	2012	2013	2014	2015	2016
გერმანია	1,298	2,336	2,873	2,782	3,448
საფრანგეთი	2,552	2,456	1,369	1,084	833
შვედეთი	748	625	735	782	638
ნიდერლანდები	226	209	319	261	584
აშშ	39	50	117	215	394
შვეიცარია	614	565	402	365	396
საბერძნეთი	893	532	350	297	201
იტალია	65	107	88	135	194
ბელგია	386	229	280	200	184
ავსტრია	300	257	348	no data	124
კანადა	62	32	79	81	106
სხვა ქვეყნები	3,771	1,687	1,201	740	394
სულ (ყველა ქვეყანა)	10,954	9,085	8,161	6,942	7,496

წყარო: *UNHCR* [31]

ევროსტატის მონაცემები ნაწილობრივ ემთხვევა UNHCR-ის მონაცემებს ევროკავშირის ქვეყნებ-თან მიმართებით და ასევე აჩვენებს, რომ საქართველოს მოქალაქეები 2016 წელს თავშესაფარს ყველაზე ხშირად გერმანიაში ითხოვდნენ. ორივე წყარო ცხადყოფს, რომ 2012 წლის შემდეგ

28 აღიარების კოეფიციენტი = დადებითი პასუხები, გაყოფილი დადებითი პასუხებისა და უარყოფითი პასუხების ჯამზე, გარდა სხვა მიზეზებით დაუკმაყოფილებელი განცხადებებისა.
29 უარის კოეფიციენტი = უარყოფილი განცხადებები, გაყოფილი დადებითი პასუხებისა და უარყოფითი პასუხების ჯამზე, გარდა სხვა მიზეზებით დაუკმაყოფილებელი განცხადებებისა.
30 http://popstats.unhcr.org/en/asylum_seekers ნანახია: 31.10.2017
31 http://popstats.unhcr.org/en/asylum_seekers ნანახია: 31.10.2017

შეინიშნება საქართველოს მოქალაქეების მიერ საზღვარგარეთ თავშესაფრის მოთხოვნის კლების ტენდენცია. განსხვავებები, რომლებიც ევროსტატის და UNHCR-ის მონაცემებს შორის არსებობს, ამ ორი ორგანიზაციის მიერ ინფორმაციის შეგროვების განსხვავებული მეთოდოლოგიით აიხსნება.

ცხრილი N10: საქართველოს მოქალაქე თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადები ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში. ძირითადი დანიშნულების ქვეყნები (წლის განმავლობაში შეტანილი განაცხადები).

ქვეყნები	2012	2013	2014	2015	2016
გერმანია	1,430	2,485	3,180	3,195	3,770
საფრანგეთი	2,680	2,695	1,610	1,325	1,165
შვედეთი	750	620	805	890	720
საბერძნეთი	895	535	350	385	690
ნიდერლანდები	250	215	335	265	595
შვეიცარია	725	655	465	405	465
ავსტრია	300	255	415	405	350
ბელგია	505	370	430	300	240
იტალია	65	105	90	135	195
პოლონეთი	3,235	1,240	720	390	125
სხვა ქვეყნები	840	640	670	510	520
სულ (ევროკავშირის / შენგენის ქვეყნები)	11,675	9,815	9,070	8,205	8,835

წყარო: *ევროსტატი (მონაცემები ნანახია 31.10.2017)*

UNHCR-ის მოსახლეობის სტატისტიკის მონაცემთა ბაზის მიხედვით, ბოლო წლებში შეინიშნება საქართველოდან ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის შემცირების ტენდენცია (საერთაშორისო დაცვის სხვა ფორმების მინიჭების ჩათვლით).[32] საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირთა მაჩვენებელი, 2009 წელთან შედარებით, 2010 წელს შემცირდა 30%-ით (15,020-დან 10,640-მდე, რაც, ძირითადად, უკრაინაში ქართველი ლტოლვილების რაოდენობის კლებით იყო გამოწვეული) და კლების ტენდენცია მომდევნო წლებშიც გრძელდება, ძირითადად, რუსეთში, გერმანიაში, უკრაინასა და აშშ-ში ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთა შემცირებიდან გამომდინარე.

32 პირები, რომლებიც გაერო-ს 1951 წლის კონვენციით / 1967 წლის ოქმით, აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის 1969 წლის კონვენციით, UNHCR-ის წესდების თანახმად, აღიარებული არიან ლტოლვილებად; პირები, რომელთაც მიენიჭათ დამატებითი დაცვა (complementary form of protection) და პირები, რომლებიც სარგებლობენ დროებითი დაცვით (temporary protection). ასევე მოიცავს პირებს, რომლებიც იმყოფებიან საერთაშორისო დაცვის სხვა ფორმებით და არ დაუდგინდათ ლტოლვილის სტატუსი, პრაქტიკული ან სხვა მიზეზების გამო. სახელმწიფო ოფიციალური მონაცემების არარსებობის ფონზე, UNHCR-მა ლტოლვილი მოსახლეობის რაოდენობა ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყანაში გამოთვალა 10 წლის მანძილზე ინდივიდუალური თავშესაფრის მაძიებელთა აღიარების მონაცემებზე დაყრდნობით.

ცხრილი N11: საზღვარგარეთ მცხოვრები ლტოლვილების რაოდენობა საქართველოდან, დანიშნულების ქვეყნების და წლების მიხედვით.

ბინადრობის ქვეყანა	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
საფრანგეთი	2105	2153	2249	2391	2571	2714	2826	3011
ავსტრია	654	730	774	819	788	739	681	630
გერმანია	1943	2034	2105	2202	333	343	360	394
აშშ	1091	928	802	693	608	496	422	370
საბერძნეთი	-	-	13	31	84	264	266	266
რუსეთი	2329	2478	1900	1404	762	537	344	261
იტალია	89	84	89	90	109	130	188	259
კანადა	501	495	506	504	485	474	449	257
შვედეთი	165	173	177	170	158	161	153	173
შვეიცარია	78	76	80	-	83	87	100	115
კვიპროსი	81	85	85	85	85	85	85	85
ირლანდია	169	172	168	150	72	70	75	70
ბელარუსი	100	96	94	92	90	87	81	61
უნგრეთი	104	92	87	88	45	45	56	61
ნიდერლანდები	216	173	146	117	111	89	62	53
უკრაინა	5079	571	568	66	63	62	60	49
სხვა ქვეყნები	316	300	269	359	331	298	285	250
სულ	15,020	10,640	10,112	9,261	6,778	6,681	6,493	6,365

წყარო: *UNHCR*[33]

2016 წლის მდგომარეობით, ლტოლვილთა ყველაზე დიდი რაოდენობა საქართველოდან საფრანგეთში, ავსტრიაში, გერმანიასა და აშშ-ში იმყოფებოდა.

ევროსტატის მონაცემებით, 2016 წელს ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებს შორის ყველაზე მეტი დადებითი გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქეებისთვის საერთაშორისო დაცვის სტატუსის მინიჭების თაობაზე საფრანგეთის, გერმანიის და იტალიის პირველი ინსტანციის ადმინისტრაციულმა ორგანოებმა მიიღეს (იხ. ცხრილი N12).

33 http://popstats.unhcr.org/en/time_series ნანახია: 31.10.2017

ცხრილი N12: საქართველოს მოქალაქეებისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილებების რაოდენობა ევროკავშირის/შენგენის ქვეყნების პირველი ინსტანციის ადმინისტრაციული ორგანოების მიერ.

ბინადრობის ქვეყანა	2012	2013	2014	2015	2016
საფრანგეთი	70	125	195	205	200
გერმანია	5	5	10	5	75
იტალია	15	25	25	60	70
შვეიცარია	5	10	10	25	35
ავსტრია	30	20	20	45	30
შვედეთი	0	10	15	15	15
ირლანდია	0	0	5	5	10
უნგრეთი	0	15	5	0	5
ნიდერლანდები	0	5	5	0	5
ესტონეთი	5	0	0	0	5
სხვა ქვეყნები	45	75	75	20	0
სულ ევროკავშირის/შენგენის (32) ქვეყანა	175	290	365	380	450

წყარო: *ევროსტატი (მონაცემები ნანახია 31.10.2017)*

ევროსტატის მონაცემებით, ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში 2016 წელს 450 საქართველოს მოქალაქეს მიანიჭეს საერთაშორისო დაცვის სტატუსი, რაც 70-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. ზოგადად, 2012 წლიდან მოყოლებული, ეს რიცხვი მზარდი ტენდენციით ხასიათდება. თუმცა, როგორც UNHCR-ის მოსახლეობის სტატისტიკის მონაცემთა ბაზა აჩვენებს, ეს არ იწვევს საქართველოს მოქალაქე ლტოლვილების საერთო რაოდენობის ზრდას ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში, რადგან შესაძლებელია, მათ ნაწილს ნატურალიზაციის ან წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების გამო, პერიოდულად უწყდებათ ლტოლვილის სტატუსი.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში საქართველო უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნების სიაში შეიყვანა რამდენიმე ქვეყანამ (ბელგია, ისლანდია, საფრანგეთი, ავსტრია, ბულგარეთი, ისრაელი,[34] ნიდერლანდები[35]), რაც იმას ნიშნავს, რომ ამ სახელმწიფოებში საქართველოს მოქალაქეებს თავშესაფრის მოპოვების ძალიან დაბალი შანსი აქვთ.

1.4. საქართველოს მოქალაქეთა არალეგალური მიგრაცია ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში

ზოგადად, უკანონო მიგრაციის შესახებ რთულია ზუსტი სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება. თუმცა ევროკავშირის/შენგენის ქვეყნების შემთხვევაში არსებობს ორი წყარო, რომლითაც შეიძლება განვსაზღვროთ უკანონო ემიგრაციის დაახლოებითი მასშტაბები საქართველოდან: 1. ევროსტატის მონაცემები და 2. FRONTEX-ის მონაცემები, რომელიც ყოველწლიურად ქვეყნდება „აღმოსავლეთ პარტნიორობის რისკების ანალიზის ქსელის ანგარიშში“. ევროსტატის მონაცემები მოიცავს ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებიდან მიღებულ ინფორმაციას, ხოლო FRONTEX-ის

34 http://mfa.gov.ge/News/israelis-sakhelmcifom-saqartvelo-usafrtkho-qveyneb.aspx?CatID=5 ნანახია: 31.10.2017
35 https://www.government.nl/topics/asylum-policy/question-and-answer/list-safe-countries-of-origin ნანახია: 31.10.2017

ანგარიში ეყრდნობა მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მოსაზღვრე ევროკავშირის/ შენგენის ქვეყნების (ნორვეგია, ფინეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი და რუმინეთი) მონაცემებს, რომლებიც გროვდება აღმოსავლეთ პარტნიორობის რისკების ანალიზის ქსელის (EaP-RAN) ფარგლებში.[36]

1.4.1. ქვეყანაში შესვლაზე უარი

ევროსტატის მონაცემების თანახმად, საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის/ შენგენის ქვეყნებში შესვლაზე უარის შემთხვევები წლიდან წლამდე საგრძნობლად მცირდება (იხ. ცხრილი N13).

ევროსტატის მონაცემებით, იმ ქვეყნებს შორის, რომლებში შესვლაზეც საქართველოს მოქალაქეებს ყველაზე ხშირად ეუბნებიან უარს, 2016 წელს ლიდერობდნენ პოლონეთი, საბერძნეთი და საფრანგეთი. ამასთან, ბოლო ხუთი წლის (2012-2016 წწ.) განმავლობაში პოლონეთში შესვლაზე უარების რაოდენობა საქართველოს მოქალაქეებისთვის მკვეთრად არის შემცირებული. თუმცა გაზრდილია საფრანგეთსა და ირლანდიაში შესვლაზე უარების რაოდენობა.

ცხრილი N13: საქართველოს მოქალაქეებისთვის ქვეყანაში შესვლაზე უარის მონაცემები ქვეყნების და წლების მიხედვით (ცხრილში წარმოდგენილია ევროკავშირის წევრი 10 სახელმწიფო, სადაც 2016 წელს ყველაზე ხშირად ეთქვათ საქართველოს მოქალაქეებს უარი ქვეყანაში შესვლაზე).

ქვეყანა	2012	2013	2014	2015	2016
პოლონეთი	8,245	7,250	1,345	505	200
საბერძნეთი	95	160	210	135	130
საფრანგეთი	20	30	5	25	105
ირლანდია	10	10	5	15	70
რუმინეთი	10	25	230	170	55
გერმანია ნიდერლანდები	20	20	25	25	40
ლიტვა	115	110	145	65	40
ნიდერლანდები	60	60	45	50	40
იტალია	35	60	70	30	30
უნგრეთი	10	10	10	25	30
სხვა ქვეყნები	375	460	1,120	325	160
სულ (ევროკავშირის / შენგენის 32 ქვეყანა)	8,995	8,195	3,210	1,370	900

წყარო: *ევროსტატი (მონაცემები ნანახია 31.10.2017)*

საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა ევროკავშირის ქვეყნებში შესვლაზე უარს უმეტესწილად სახმელეთო საზღვარზე იღებს (იხ. ცხრილი N14). თუმცა ბოლო ხუთი წლის (2012-2016 წწ.) განმავლობაში სახმელეთო საზღვარზე უარების წილი მთლიან რაოდენობაში საგრძნობლად შემცირდა, ძირითადად, საჰაერო საზღვარზე უარების წილის გაზრდის ხარჯზე.

36 http://frontex.europa.eu/assets/Publications/Risk_Analysis/EaP_RAN/EaP-RAN_Q4_2016.pdf გვ. 3. ნანახია: 31.10.2017

ცხრილი N14: საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის/შენგენის 32 ქვეყანაში შესვლაზე უარების პროცენტული განაწილება საზღვრის ტიპის მიხედვით.

საზღვრის ტიპი	2012	2013	2014	2015	2016
სახმელეთო	96,3%	95,7%	87,9%	71,4%	54,5%
საჰაერო	3,6%	4,0%	11,9%	27,5%	44,4%
საზღვაო	0,1%	0,2%	0,2%	1,1%	1,1%

წყარო: *ევროსტატი (მონაცემები ნანახია 31.10.2017)*

რაც შეეხება ქვეყანაში შესვლაზე უარის მიზეზებს, ევროსტატის მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოს მოქალაქეების შემთხვევაში მოქმედი ვიზის ან ბინადრობის მოწმობის არქონა წარმოადგენს უარის თქმის ყველაზე გავრცელებულ საფუძველს. თუმცა წინა წლებთან შედარებით, 2016 წელს გაცილებით გახშირდა საქართველოს მოქალაქეების მიერ მოქმედი სამგზავრო დოკუმენტის არქონის და ყალბი ვიზის ან ბინადრობის მოწმობის წარდგენის გამო ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში შესვლაზე უარი (იხ. ცხრილი N15).

ცხრილი N15: საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის/შენგენის 32 ქვეყანაში შესვლაზე უარის მიზეზების პროცენტული განაწილება.

უარის მიზეზი	2012	2013	2014	2015	2016
მოქმედი ვიზის ან ბინადრობის მოწმობის არქონა	99.6%	99.3%	98.5%	95.5%	71.2%
მოქმედი სამგზავრო დოკუმენტის არქონა	0.1%	0.2%	0.2%	2.5%	16.9%
ყალბი ვიზა ან ბინადრობის მოწმობა	0.1%	0.4%	1.1%	1.0%	11.0%
ყალბი სამგზავრო დოკუმენტი	0.2%	0.1%	0.2%	1.0%	0.8%

წყარო: *ევროსტატი (მონაცემები ნანახია 31.10.2017)*

საქართველოს მოქალაქეებისთვის ქვეყანაში შესვლაზე უარების კლებას აჩვენებს FRONTEX-ის 2017 წლის ყოველწლიური ანგარიშიც, რომლის თანახმად, 2015 წელთან შედარებით, 2016 წელს საქართველოს მოქალაქეებისთვის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მეზობელ ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში შესვლაზე უარის მაჩვენებელი განახევრებულია. ანგარიშის თანახმად, 2015 წელს უარების რაოდენობა 5,268 იყო, ხოლო 2016 წელს - 2470-მდე შემცირდა.[37]

1.4.2. საზღვრის უკანონო კვეთა

FRONTEX-ის აღმოსავლეთ პარტნიორობის რისკების ანალიზის ქსელის (EaP-RAN) 2017 წლის ყოველწლიური ანგარიშის თანახმად, წინა წელთან შედარებით, 2016 წელს აღმოსავლეთ ევროპის საზღვრებზე 3-ჯერ არის შემცირებული საქართველოს მოქალაქეთა მიერ სასაზღვრო-გამტარ პუნქტებს შორის საზღვრის უკანონო გადაკვეთის შემთხვევათა რაოდენობა. ანგარიშის მიხედვით, 2016 წელს საქართველოს მოქალაქეების მიერ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის 108 ფაქტი გამოვლინდა. ხოლო 2015 წელს 345 ასეთი ფაქტი აღირიცხა.[38]

37 http://frontex.europa.eu/assets/Publications/Risk_Analysis/EaP-ARA_2017.pdf გვ. 29. ნანახია: 31.10.2017

38 სასაზღვრო-გამტარი პუნქტების ტერიტორიის გარეთ არსებულ გარე საზღვრების (მწვანე საზღვარი) გადაკვეთით სხვა ქვეყანაში გადასვლა, რისი გამოვლენაც ხდება „მწვანე საზღვრებზე“ მიმდინარე სათვალთვალო ოპერაციების შედეგად. http://frontex.europa.eu/assets/Publications/Risk_Analysis/EaP-ARA_2017.pdf გვ. 26. ნანახია: 31.10.2017

1.4.3. არალეგალურად მყოფი ემიგრანტების გამოვლენა

ევროსტატის მონაცემების თანახმად, ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში არალეგალურად მყოფი საქართველოს მოქალაქეების გამოვლენის ფაქტები 2008 წლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად მერყეობს 4,495-სა და 7,170-ს შორის. აღსანიშნავია, რომ 2016 წელს ევროკავშირის/შენგენის 32 ქვეყანაში არალეგალურად მყოფი საქართველოს მოქალაქეების გამოვლენის ფაქტები შემცირებულია წინა ორ წელთან შედარებით (იხ. ცხრილი N16).

ცხრილი N16: ევროკავშირის/შენგენის 32 ქვეყანაში გამოვლენილი არალეგალურად მყოფი საქართველოს მოქალაქეები.

წელი	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
სულ	5,015	7,170	5,320	4,495	5,560	5,270	6,630	5,590	5,400
ასაკი									
-14	75	165	130	95	125	140	240	95	185
14-17	60	120	60	60	60	55	60	45	30
18-34	2,360	4,525	3,230	2,620	3,275	3,220	3,760	2,880	2,800
35+	1,385	2,345	1,875	1,710	2,075	1,795	2,510	2,585	2,355
სქესი									
კაცი	3,895	5,295	4,205	3,545	4,470	4,490	5,200	4,200	4,045
ქალი	1,100	1,865	1,120	945	1,065	765	1,415	1,395	1,365
უცნობი							905		

წყარო: *ევროსტატი (მონაცემები ნანახია 31.10.2017)*

ევროსტატის მონაცემებით, ევროკავშირის/შენგენის 32 ქვეყანაში გამოვლენილი არალეგალურად მყოფი საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა 18-იდან 34 წლამდე ასაკის კაცია. ეს მონაცემები მიანიშნებს, რომ საზღვარგარეთ არალეგალურად მყოფი საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა პოტენციურ სამუშაო ძალას წარმოადგენს, რომლებიც, სავარაუდოდ, საზღვარგარეთ დასაქმების შესაძლებლობების საძიებლად იმყოფებიან.

FRONTEX-ის აღმოსავლეთ პარტნიორობის რისკების ანალიზის ქსელის (EaP-RAN) 2017 წლის ყოველწლიური ანგარიშის თანახმად, 2015 წელთან შედარებით ოდნავ შემცირებულია საქართველოს მოქალაქეების არალეგალურად ყოფნის გამოვლენის შემთხვევები: 2015 წელს არალეგალურად ყოფნის 2,610, ხოლო 2016 წელს - 2,496 შემთხვევა გამოვლინდა. [39]

1.5. ემიგრაციის გავლენა

1.5.1 დემოგრაფიული ასპექტი

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის საბოლოო შედეგების მიხედვით, 2015 წლის 1 იანვრისთვის საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3,713,700 შეადგინა.[40] 2002 წლის აღწერის შედეგებთან შედარებით, მოსახლეობის რიცხოვნობა

39 ანგარიშში ასახულია საერთო სახმელეთო საზღვარზე მხოლოდ გასვლისას გამოვლენილი ქვეყანაში უკანონოდ ყოფნის შემთხვევები. იხ.: FRONTEX 2017, „Eastern Partnership Annual Risk Analysis“, გვ. 28. ნანახია: 31.10.2017

40 http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf ნანახია: 31.10.2017

2014 წლის აღწერისთვის 657,731-ით შემცირდა[41]. საქსტატის მონაცემებით, 2016 წლის 1 იანვრისთვის მოსახლეობის რიცხოვნობამ 3,720,400, ხოლო 2017 წლის 1 იანვრისთვის - 3,718,200 შეადგინა.[42]

ამასთან, საქართველოს მოსახლეობა კლებასთან ერთად, დაბერების ტენდენციითაც ხასიათდება, რადგან 2002 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით, 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში 2014 წლის აღწერის შედეგებით 1.6%-ით გაიზარდა და 14.3% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის დაბერების პროცესის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი ემიგრაციაა.

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერამ აჩვენა, რომ 2002 წლის აღწერის შემდგომ ცვლილებები მოხდა საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაშიც. კერძოდ, შემცირებულია ძირითადი ეთნიკური უმცირესობის ჯგუფების როგორც რაოდენობა, ასევე ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში. 2002-2014 წლებში საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანლების რაოდენობა 285,000-დან 233,000-მდე შემცირდა, სომხების - 249,000-დან 168,000-მდე, რუსების - 68,000-დან 26,000-მდე, ხოლო ოსების - 38,000-დან 14,000-მდე.[43]

დიაგრამა N4. საქართველოს მუდმივი მოსახლეობა ეროვნების მიხედვით (%).



წყარო: *საქსტატი*

აღწერათაშორის პერიოდში გარე და შიდა მიგრაციის შედეგად შეიცვალა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ხვედრითი წილიც (იხ. დიაგრამა N22). ქალაქის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში თითქმის 5%-ით გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის კლება თვალსაჩინოა სოფელშიც და ქალაქშიც, სოფელში მოსახლეობის კლების მაჩვენებელი სამჯერ აღემატება ქალაქისას (იხ. მიგრაცია სოფლიდან ქალაქში - ქალაქიდან სოფელში გვ. 69), რაც გარკვეულ სოფლებში დეპოპულაციის საფრთხეს ქმნის.

2014 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით, ემიგრანტთა 75% 20-დან 54 წლამდე ასაკის პირია.[44] ემიგრანტთა ეს კატეგორია წარმოადგენს შრომისუნარიან და ფერტილური ასაკის მოსახლეობას, მათი გადინება კი, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ და დემოგრაფიულ მდგომარეობაზე.

41 მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერიდან მიღებულმა მონაცემებმა დღის წესრიგში დააყენა წინა წლების ძირითადი დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშება და განახლება. ამჟამად საქსტატი ახორციელებს წინა წლების ძირითადი დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშებას, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება ისტორიული მონაცემების (1994-2014 წლების პერიოდი) 2014 წლის აღწერის მონაცემებთან ჰარმონიზაცია.

42 2015 წლის პირველი იანვრისთვის მოსახლეობის რიცხოვნობის გაანგარიშების საფუძველს წარმოადგენს 2014 წლის მოსახლეობის აღწერის წინასწარი შედეგები; ხოლო 2016 და 2017 წლების 1 იანვრისთვის მოსახლეობის რიცხოვნობა გაანგარიშებულია 2014 წლის აღწერის მონაცემებისა და ყოველწლიური ბუნებრივი მატების საფუძველზე.

43 https://goo.gl/WwifxD ნანახია: 31.10.2017

44 http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf ნანახია: 31.10.2017

1.5.2. ფულადი გზავნილები

საქართველოში ფულადი გზავნილების ოდენობა სხვადასხვა ქვეყნიდან ყოველწლიურად ერთ მილიარდ აშშ დოლარს აჭარბებს. 2014 წლამდე საქართველოში ფორმალური არხების მეშვეობით გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა სტაბილურად იზრდებოდა.[45] გამონაკლისს წარმოადგენდა 2009 წელი, როდესაც ფულადი გზავნილების მოცულობა შემცირდა 2007-2008 წლებში მსოფლიოში განვითარებული ფინანსური კრიზისის გამო. 2014 წელთან შედარებით, 2015 წელს ფულადი გზავნილების მოცულობა საქართველოში კვლავ შემცირდა თითქმის მეოთხედით, რაც დიდწილად რუსეთიდან ფულადი გზავნილების კლებით იყო გამოწვეული და უკავშირდებოდა იქ შექმნილ ეკონომიკურ კრიზისს და რუბლის გაუფასურებას (იხილეთ ცხრილი N17). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფულადი გზავნილების საერთო მოცულობა 2016 წელს ისევ გაიზარდა (იხ. დიაგრამა N5).

2016 წელს ფულადი გზავნილების ყველაზე დიდი რაოდენობა რუსეთიდან, აშშ-დან, საბერძნეთიდან და იტალიიდან შემოვიდა. ფულადი გზავნილების შემოდინების ყველაზე მნიშვნელოვანი კლება აღინიშნება რუსეთიდან და საბერძნეთიდან. ორივე ქვეყნის შემთხვევაში 2015 წელს ფულადი გზავნილები თითქმის 40%-ით შემცირდა 2014 წელთან შედარებით.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ყველაზე დიდი მოცულობის ფულადი გზავნილები კვლავ რუსეთიდან შემოდის, მისი წილი ფულად გზავნილებში თანდათანობით მცირდება და 2016 წელს ყველაზე დაბალ ნიშნულს - 34%-ს მიაღწია. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ 2015 წელს ევროკავშირის ქვეყნებიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილების აბსოლუტური მოცულობა შემცირდა, ძირითადად, საბერძნეთიდან გზავნილების შემცირების გამო, 2012-2016 წლებში გაიზარდა ევროკავშირის ქვეყნებიდან (28 ქვეყანა) შემოსული ფულადი გზავნილების მთლიანი წილი.[46]

ცხრილი N17: საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილები ძირითადი ქვეყნების მიხედვით (2012-2016 წწ. ათასი აშშ დოლარი).

ქვეყანა	2012	2013	2014	2015	2016
რუსეთი	747,449.059	801,428.419	709,238.042	432,687.902	394,499.000
აშშ	74,038.455	74,855.423	82,062.934	100,037.117	127,659.057
საბერძნეთი	159,617.327	197,970.440	204,781.891	117,750.709	124,565.290
იტალია	102,871.876	110,184.195	121,469.558	109,077.712	121,248.934
თურქეთი	29,979.738	41,736.088	64,336.936	68,945.457	87,067.874
ისრაელი	15,968.063	19,732.896	23,626.722	32,878.737	60,732.702
ესპანეთი	27,813.731	25,372.466	28,048.538	26,771.932	30,876.353
გერმანია	13,214.996	17,800.784	24,217.680	26,661.893	29,853.266
უკრაინა	47,420.926	45,573.156	30,800.553	20,850.230	20,808.138
გაერთიანებული სამეფო	19,715.084	18,635.624	15,059.741	15,964.841	17,381.858
აზერბაიჯანი	10,351.831	14,964.157	17,789.818	15,507.003	14,751.075
საფრანგეთი	9,823.814	11,587.497	11,638.028	10,856.217	11,946.356

45 საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფულადი გზავნილების შესახებ მონაცემები ასახავს ელექტრონული გადარიცხვის სისტემებით განხორციელებულ ფულად გადარიცხვებს საქართველოდან და საქართველოში („ვესტერნ იუნიონი“, „მანიგრამი“, „ანელიკი“, „იუნისტრიმი“ და ა.შ.). მონაცემები აღებულია კომერციული ბანკების ყოველთვიური ანგარიშებიდან, მათ შორის, საქართველოში არარეზიდენტი ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფილიალებიდან. ამდენად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოწოდებული მონაცემები არ მოიცავს არაფორმალური გზით განხორციელებულ გზავნილებს, დაქირავებულთა ხელფასებს, ან საქართველოს საბანკო ანგარიშებზე განხორციელებულ გადარიცხვებს.

46 მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი: ფულადი გზავნილები http://migration.commission.ge/files/geo__1_.pdf ნანახია: 31.10.2017

ყაზახეთი	12,622.127	16,076.506	17,581.114	14,656.271	11,838.787
ერაყი	1,627.719	5,625.753	6,404.687	9,986.462	11,480.419
სხვა	59,647.190	75,476.130	83,698.023	77,319.636	86,527.058
სულ	1,334,173.935	1,477,019.533	1,440,754.264	1,079,952.119	1,151,236.167

წყარო: *საქართველოს ეროვნული ბანკი*

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ყოველწლიურად შემოსული ფულადი გზავნილების დიდი მოცულობის მიუხედავად, ქვეყნის ეკონომიკა გზავნილებზე ზედმეტად დამოკიდებული არ არის. საქსტატის და საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების თანახმად, 2016 წელს მშპ მიმდინარე ფასებში 14 377,9 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა.[47] ამავდროულად, ფულადი გზავნილების მოცულობამ ამავე წელს 1,151,236,167 აშშ დოლარს მიაღწია, შესაბამისად, ფულადი გზავნილების წილი მშპ-ს 8 % იყო.

2009 წლიდან 2014 წლამდე ფულადი გზავნილების ყოველწლიური ოდენობა ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყოველწლიურ ოდენობას აჭარბებდა. ეს ტენდენცია 2014 წელს შეიცვალა და მას შემდეგ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წლიური მაჩვენებელი დაახლოებით 500 მილიონით აჭარბებს საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების მაჩვენებელს (იხ. დიაგრამა N5). ეს ცვლილება ადასტურებს მოსაზრებას, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დამოკიდებულია ქვეყნის საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობასა და სხვა მრავალ ფაქტორზე, ფულადი გზავნილების შემოდინება კი შედარებით სტაბილური პროცესია და ემიგრანტების წარმოშობის ქვეყანასთან არსებული კავშირების სიმყარეზეა დამოკიდებული.

დიაგრამა N5: ფულადი გზავნილებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება საქართველოში (მილიონი აშშ დოლარი).



** 2016 წლის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა გამოთვლილია წინასწარი მონაცემების მიხედვით;*
წყარო: *საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი*

ემიგრანტთა ფულად გზავნილებს, როგორც დანაზოგის და ინვესტიციების პოტენციურ წყაროს, გააჩნია შესაძლებლობა, ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას. კერძოდ, ფულად გზავნილებს აქვთ პოტენციალი, მოახდინონ ეკონომიკის ცალკეული სექტორების სტიმულირება, ხელი შეუწყონ ეროვნული ვალუტის სტაბილურობას, გააუმჯობესონ მრავალი ოჯახის ცხოვრების დონე და შეამცირონ სიღარიბის მაჩვენებლები.[48] მიუხედავად იმისა, რომ ეს არის პირადი გზავნილი, რომელსაც მიმღები საკუთარი საჭიროებისამებრ განკარგავს, სახელმწიფოს შეუძლია

47 http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/GDP%202016%20Press%20release_Geo.pdf ნანახია: 31.10.2017
48 EPRC, "The Role of Remittances in Georgian Economy", 2011 http://bit.ly/2kvKDzF ნანახია: 31.10.2017

შესაბამისი პოლიტიკის განხორციელებით ფულადი გზავნილების რესურსის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისკენ მიმართვა.

2016 წელს მსსკ-ს დაკვეთით ACT-საქართველოს მიერ ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს საქართველოში არსებულ ზოგად სურათს მიმღები ოჯახების მიერ ფულადი გზავნილების გამოყენებასთან დაკავშირებით. კვლევამ აჩვენა, რომ ყოველი მეორე ემიგრანტის მიერ გამოგზავნილი თანხა ოჯახის ბიუჯეტის ნახევარს ან ¾-ს შეადგენდა, ემიგრანტების 15%-ის მიერ გამოგზავნილი თანხა კი მათი ოჯახის შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა. ამასთან, იმ ოჯახების, რომელთა წევრებიც გამოკითხვის დროს უცხოეთში იმყოფებოდნენ, 55% აღნიშნავს, რომ ოჯახის წევრის მიგრაციამ გააუმჯობესა ცხოვრების პირობები, 30%-ისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდა ჯანდაცვა, ხოლო 25%-ისთვის - განათლება.[49]

იმავეს ადასტურებს 2017 წელს საია-ს და CIPDD-ის დაკვეთით CRRC-საქართველოს მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევაც. კითხვას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ფულად გზავნილებს ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობისთვის, ფულადი გზავნილების მიმღები ოჯახების 36% პასუხობს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში მის გარეშე თავს ვერ გაიტანდა; 40% ამბობს, რომ თავს გაიტანდა, მაგრამ მაინც გაუჭირდებოდა. იმავე კვლევის თანახმად, გადაწყვეტილებას, თუ რაში დაიხარჯოს ფულადი გზავნილი, ძირითადად, საქართველოში დარჩენილი ოჯახის წევრები იღებენ (64%), 29%-ის შემთხვევაში კი გადაწყვეტილებას ემიგრანტი და მისი ოჯახის წევრები ერთობლივად იღებენ.

არსებული კვლევები მიუთითებს, რომ საქართველოში ფულადი გზავნილების დიდი ნაწილი, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, პირველადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად იხარჯება (იხ. დიაგრამა N6). თუმცა ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯანდაცვასა და განათლებასაც ხმარდება, რაც, საერთო ჯამში, ჯანმრთელი და კვალიფიციური მუშახელის არსებობას და მდგრად ეკონომიკურ წინსვლას უწყობს ხელს.

დიაგრამა N6. მიმღები ოჯახების მიერ ფულადი გზავნილების გამოყენება, %.



წყარო: *მსსკ, საზოგადოებრივი აზრის კვლევა, 2016 წ.*

ზემოხსნებული ორივე კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ საქართველოში დაბალია ფულადი გზავნილების დაგროვების და სამეწარმეო საქმიანობაში ინვესტირების წილი.

კვლევამ „კავშირი მიგრაციას, განვითარებასა და საჯარო პოლიტიკას შორის“, რომელიც 2014 წელს OECD-ის მიერ მსსკ-ს სამდივნოსთან და CRRC-საქართველოსთან პარტნიორობით განხორციელდა, აჩვენა, რომ ფულადი გზავნილების მიმღები ოჯახების წილი უფრო მაღალია

49 მონაცემები ეყრდნობა 215 ოჯახის გამოკითხვას, რომელსაც ერთი ოჯახის წევრი მაინც ჰყავდა საზღვარგარეთ გამოკითხვის მომენტში.

სოფლად, ვიდრე ქალაქში. კვლევის თანახმად, ფულადი გზავნილების მიმღები ოჯახები უფრო მეტს ხარჯავენ სოფლის მეურნეობის განვითარებისა და განათლებისთვის, ვიდრე ის ოჯახები, რომლებიც ფულად გზავნილებს არ იღებენ. კვლევის შედეგები ასევე მიუთითებს, რომ ქალები, საშუალოდ, უფრო მეტ თანხას გზავნიან, ვიდრე კაცები.[50]

მაკროეკონომიკურ დონეზე გავლენის თვალსაზრისით, ფულადი გზავნილები უცხოური ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. უცხოური ვალუტის რეზერვები კი, თავის მხრივ, საშუალებას აძლევს ქვეყნებს, შეიძინონ იმპორტირებული საქონელი ან გადაიხადონ საგარეო ვალი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სავაჭრო დეფიციტის მქონე ქვეყნებისთვის.[51]

ბოლო სამი წლის (2014-2016 წწ.) განმავლობაში ფულადი გზავნილების შემცირების ტენდენციამ, სხვა მაკროეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად, შესაძლოა, გავლენა იქონია ამ წლებში ეროვნული ვალუტის გაუფასურებაზეც (იხ. ცხრილი N18).

ცხრილი N18: აშშ დოლარის გაცვლითი კურსის საშუალო წლიური მაჩვენებელი და ფულადი გზავნილების საერთო მოცულობა წლების მიხედვით.

წელი	აშშ დოლარი/ლარი გაცვლითი კურსი (წლის საშუალო)	ფულადი გზავნილები უცხოეთიდან საქართველოში (ათასი აშშ დოლარი)
2012	1.6513	1,334,173.9
2013	1.6634	1,477,019.5
2014	1.7659	1,440,754.2
2015	2.2702	1,079,952.1
2016	2.3667	1,151,236.1

წყარო: *საქართველოს ეროვნული ბანკი*

უკანასკნელ წლებში ჩატარებული კვლევების შედეგები მიუთითებს, რომ ფულადი გზავნილების გამოყენებისთვის რამდენიმე მიმართულებითაა საჭირო მუშაობა. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ემიგრანტების და მათი ოჯახის წევრების ფინანსური განათლების გაუმჯობესება და სამეწარმეო უნარების განვითარება, რათა მათ უკეთ შეძლონ ბიუჯეტის დაგეგმვა/მართვა და სრული ინფორმაცია ჰქონდეთ არსებულ საბანკო პროდუქტებზე, ინვესტირების საშუალებებსა და ბიზნესის მართვის ძირითად პრინციპებზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ემიგრანტებს მეტი კონტროლი ჰქონდეთ მათ მიერ გამოგზავნილ ფულად გზავნილებზე და შეძლონ მათი სწორად განკარგვა ოჯახის საჭიროებების გათვალისწინებით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ქვეყანაში დანაზოგების შექმნის სისტემის გაუმჯობესება, რათა წახალისდეს ფულადი გზავნილების პროდუქტიული გამოყენება. ამ მხრივ საჭიროა ადგილობრივი კაპიტალური ბაზრების გაუმჯობესება და დაფინანსების ალტერნატიულ წყაროებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, მათ შორის, ემიგრანტებისთვის თანადაფინანსების ან ინვესტირების შეღავათიანი პირობების შეთავაზება.

1.5.3. დიასპორის ჩართულობა

დიასპორა მნიშვნელოვან როლს თამაშობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში, ექსპორტის და იმპორტის, ტურიზმის განვითარებაში და, რაც ასევე მნიშვნელოვანია, ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გავრცელებაში.[52]

50 http://bit.ly/2kvRdGt პროექტი განხორციელდა (2013-2016 წწ.) ნანახია: 31.10.2017
51 საქსტატის თანახმად, საქართველოს სავაჭრო დეფიციტი 2015 წელს 5,096 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო 2016 წელს 5,181 მილიონი აშშ დოლარი იყო. http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=133&lang=geo ნანახია: 31.10.2017
52 Migration Policy Institute, What We Know About Diasporas and Economic Development, (2013) http://bit.ly/2BnQmlF ნანახია: 31.10.2017

ქართული დიასპორის წარმომადგენლების სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი მდგომარეობა განსხვავდება ადგილსამყოფელი ქვეყნების მიხედვით. შესაბამისად, განსხვავდება მათი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის დონეც.

საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემების თანახმად, საქართველოს საზღვრებს გარეთ 300-ზე მეტი ქართული დიასპორული გაერთიანება არსებობს.[53] მიუხედავად იმისა, რომ ეს სია ამომწურავი არაა და მხოლოდ იმ აქტიურ დიასპორულ გაერთიანებებს მოიცავს, რომლებსაც რეგულარული კავშირები აქვთ დამყარებული სამინისტროსთან, იგი მაინც გარკვეულწილად გვიჩვენებს, თუ რომელ ქვეყნებში არიან ქართველი ემიგრანტები უფრო თვითორგანიზებული, რომელი დიასპორული საზოგადოებებია უფრო აქტიური ან/და სურვილი აქვთ, ითანამშრომლონ სახელმწიფო ორგანოებთან.[54] მეორე მხრივ, დიასპორული გაერთიანებების დიდი რაოდენობა შესაძლებელია მიუთითებდეს ამ ქვეყნებში მცხოვრები ქართული საზოგადოების ფრაგმენტაციაზეც.

დიაგრამა N7: 2016 წელს საზღვარგარეთ არსებული დიასპორული გაერთიანებების, საკვირაო სკოლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების რაოდენობა, ძირითადი ქვეყნების მიხედვით.



წყარო: *საგარეო საქმეთა სამინისტრო*

დიასპორული გაერთიანებების, მათ შორის, საკვირაო სკოლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების ყველაზე დიდი რაოდენობა უკრაინასა და რუსეთშია (იხ. დიაგრამა N7). შემდეგ ადგილზეა საბერძნეთი და თურქეთი, რომელთაც საფრანგეთი, აშშ და გერმანია მოსდევენ. 5-დან 10-მდე მერყეობს დიასპორული ორგანიზაციების რიცხვი ყაზახეთში, ისრაელში, ბელგიაში, ესტონეთში, ესპანეთში, იტალიაში, ნიდერლანდებში, შვედეთსა და შვეიცარიაში. უმეტესად ეს საზოგადოებრივ ან/და რელიგიურ საფუძვლებზე შექმნილი გაერთიანებებია, რომელთა მიზანია, საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართულ საზოგადოებებს შეუნარჩუნონ ქართული ენა და კულტურა, რაც შეესაბამება საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დეკლარირებულ პრიორიტეტებს, კერძოდ, ხელი შეუწყოს საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების ეროვნული იდენტობის შენარჩუნებას, სამშობლოსთან მათი კონტაქტების განმტკიცებას და თანამშრომლობის განვითარებას, მათ შორის, ქართული კულტურის, ისტორიისა და ტრადიციების პოპულარიზაციის მიმართულებით.[55]

2016 წელს მსსკ-ს დაკვეთით ACT-საქართველოს მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ემიგრანტებში საკმაოდ დაბალია დიასპორულ ან სხვა ფორმალურ ორგანიზაციებში წევრობის

53 ტერმინი „დიასპორა“ მოიცავს საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ მიგრანტთა ყველა თემს, მათ შორის, ისტორიული დიასპორის წევრებს, მოკლევადიან ემიგრანტებს, გრძელვადიან ემიგრანტებს, ექსპატრიანტებსა და იმ პირებს, რომლებიც უკვე გახდნენ ადგილსამყოფელი ქვეყნის მოქალაქეები.

54 საქართველოს მთავრობაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან გაუქმდა დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი და ხსენებული თარიღიდან მისი ფუნქციები შეითავსა საგარეო საქმეთა სამინისტრომ.

55 https://goo.gl/ZGJzFG ნანახია: 31.10.2017

მაჩვენებელი.[56] იმ გამოკითხული ოჯახების, რომლებსაც ერთი წევრი მაინც ჰყავთ საზღვარგარეთ, 3/4 აღნიშნავს, რომ ეს ოჯახის წევრი არ ყოფილა საზღვარგარეთ ქართველი ემიგრანტების მიერ შექმნილი არცერთი გაერთიანების (ფორმალური ან არაფორმალური) წევრი; მხოლოდ 4%-მა აღნიშნა რომ საზღვარგარეთ მყოფი ოჯახის წევრი ქართული დიასპორის წევრია, ხოლო 14%-ის შემთხვევაში საზღვარგარეთ მყოფი ოჯახის წევრი ქართული ეკლესიის მრევლია. ეს უკანასკნელი მიუთითებს, რომ ამ ეტაპზე ეკლესიას დიასპორის მობილიზაციის უფრო დიდი პოტენციალი აქვს, ვიდრე არსებულ ფორმალურ თუ არაფორმალურ დიასპორულ გაერთიანებებს.

საქართველოში დიასპორის ჩართულობის კიდევ ერთი ინდიკატორია საქართველოს ყოფილი მოქალაქეებისთვის ბინადრობის ნებართვის, თანამემამულის სტატუსის და ე.წ. ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების სტატისტიკა. 2015-2016 წლებში სულ 4,610 ბინადრობის ნებართვა გაიცა საქართველოს ყოფილ მოქალაქეებზე (იხ. გვ 42), ხოლო 8,868 პირს მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით.

ორმაგი მოქალაქეობისა და საქართველოს ყოფილი მოქალაქის ბინადრობის ნებართვის მფლობელთა უმრავლესობა შრომისუნარიანი, 18-დან 65 წლამდე ასაკის პირია და ორივე შემთხვევაში უმრავლესობას მამაკაცები წარმოადგენდნენ.

დიაგრამა N8: საქართველოს ყოფილ მოქალაქეებზე 2015-2016 წლებში გაცემული ბინადრობის ნებართვები და მინიჭებული ორმაგი მოქალაქეობა.



წყარო: *სსგს*

2015-2016 წლებში, თანამემამულის სტატუსი 1,147 პირს მიენიჭა, აქედან 857 აზერბაიჯანის, ხოლო 241 ირანის მოქალაქე იყო. თანამემამულის სტატუსი ენიჭებათ ქართული წარმოშობის უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ან/და პირებს, რომელთა მშობლიური ენაც ქართველურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება, ასევე საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც ხანგრძლივად ცხოვრობენ საქართველოს ფარგლებს გარეთ. თანამემამულის სტატუსის მქონე პირებს უფლება აქვთ, საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებში საქართველოს სახელით მიიღონ მონაწილეობა, ვიზის გარეშე შემოვიდნენ და დარჩნენ საქართველოში 30 დღის განმავლობაში, ისარგებლონ სახელმწიფო დაფინანსებით ზოგადი და უმაღლესი განათლების მისაღებად, გახდნენ საჯარო მოხელეები და მონაწილეობა მიიღონ დიასპორის წევრებისთვის განკუთვნილ სახელმწიფო პროგრამებში.

1.5.4. უნარ-ჩვევების განვითარება და ცოდნის ქსელები

ემიგრანტებს შეუძლიათ, დიდი წვლილი შეიტანონ წარმოშობის ქვეყნის განვითარებაში ადამიანური კაპიტალის გაძლიერებით და ცოდნისა და უნარ-ჩვევების გადაცემით. თუმცა

56 დასკვნები ემყარება 142 ინდივიდის პასუხებს, რომელთა ოჯახის ერთი წევრი მაინც იმყოფებოდა გამოკითხვის დროს საზღვარგარეთ და არ ვრცელდება ყველა ემიგრანტზე.

ეს დამოკიდებულია, ერთი მხრივ, იმაზე, თუ რამდენად ახერხებენ ისინი საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლებას და ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენას, ხოლო, მეორე მხრივ, მათ ნებაზე, დაბრუნდნენ წარმოშობის ქვეყანაში.

2017 წელს საია-ს და CIPDD-ის დაკვეთით CRRC-საქართველოს მიერ ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ ქვეყნის დატოვებამდე ემიგრანტების 37%-ს საშუალო განათლება აქვს მიღებული, 19%-ს საშუალო ტექნიკური ან საშუალო სპეციალური, 11%-ს ბაკალავრის ხარისხი, 7%-ს მაგისტრის, ხოლო 22%-ს ხუთწლიანი უმაღლესი განათლება (სპეციალისტის დიპლომი) გააჩნია.[57] 2016 წელს მსსკ-ს დაკვეთით ACT-საქართველოს მიერ ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ გამოკითხვის დროს საზღვარგარეთ მყოფი ემიგრანტების და დაბრუნებულების უმრავლესობას (3/4 და 2/3) საზღვარგარეთ არ მიუღია რამე სახის განათლება. გამოკითხული ოჯახებიდან ემიგრანტების ნახევარი კი საზღვარგარეთ ცხოვრების განმავლობაში, ძირითადად, ქართველებთან ურთიერთობდა (მხოლოდ 1/3 ურთიერთობდა, ძირითადად, ადგილობრივებთან).

კვლევამ „კავშირი მიგრაციას, განვითარებასა და საჯარო პოლიტიკას შორის“, რომელიც 2014 წელს OECD-ის მიერ მსსკ-ს სამდივნოსთან და CRRC-საქართველოსთან პარტნიორობით განხორციელდა, აჩვენა, რომ დაბრუნებულ მიგრანტთა მხოლოდ 9%-ს ჰქონდა მიღებული განათლება საზღვარგარეთ.

ზემოაღნიშნული კვლევები მიუთითებს, რომ ემიგრანტების უმრავლესობას საშუალოზე მაღალი განათლება აქვს, თუმცა მათი დიდი ნაწილი განათლების გაუმჯობესებას საზღვარგარეთ ვერ ახერხებს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ, ერთი მხრივ, ხელი შეეწყოს კვალიფიციური კადრის შენარჩუნებას შრომის ბაზრისა და განათლების პრიორიტეტული სფეროების ერთმანეთთან თანხვედრაში მოყვანით და, მეორე მხრივ, მოხდეს საზღვარგარეთ კვალიფიკაციაამაღლებული პირების მოზიდვა თუნდაც დროებით, გამოცდილების და ცოდნის გაზიარების მიზნით.

ცირკულარული მიგრაცია (დროებითი ლეგალური შრომითი მიგრაცია) შრომითი მიგრაციის რეგულირების ერთ-ერთი ეფექტიანი და წარმატებული გზაა, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს როგორც მიგრაციის პროცესში მონაწილე მხარეების უფლებების დაცვას, ისე კოორდინირებულ თანამშრომლობას სახელმწიფოებს შორის. იგი ასევე ითვალისწინებს მიმღები და წარმოშობის ქვეყნების ინტერესებს სამუშაო ძალის გადინება-შემოდინების პროცესში. სწორად მართულ ცირკულარულ მიგრაციას შეუძლია შეამციროს უმუშევრობის დონე და ამავდროულად შექმნას ახალი, კვალიფიციური სამუშაო ძალა.

2013-2016 წლებში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების და სსგს-ს მიერ ერთობლივად განხორციელდა საცდელი პროექტი „ევროკავშირის პარტნიორობა მობილობისათვის, განვითარების პოტენციალის გაძლიერება საქართველოში მიზნობრივი ცირკულარული მიგრაციისა და დიასპორის მობილიზაციის გზით“, რომლის ფარგლებშიც 32 სპეციალისტი საქართველოდან (12 ექთანი და ტურიზმის სფეროს 20 წარმომადგენელი) სხვადასხვა ვადით (14-18 თვემდე) დასაქმდა გერმანიაში. [58]

IOM-ის და შრომის სამინისტროს თანამშრომლობით 2015 წელს დაიწყო პროექტი „საქართველოს სამუშაო ძალის დროებითი შრომითი მიგრაციის პილოტირება პოლონეთსა და ესტონეთში“, რაც გულისხმობს ევროკავშირის ამ ორ ქვეყანასთან დროებითი შრომითი (ცირკულარული) მიგრაციის ოპერაციული ჩარჩოს განვითარებას საქართველოდან პოლონეთსა და ესტონეთში შრომითი მობილობის წასახალისებლად.

საქართველოს განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაცია,[59] ისევე როგორც ქართველ სტუდენტთა ხელშეწყობა, რომ საზღვარგარეთ მიიღონ განათლება და სამუშაო გამოცდილება, საქართველოს მთავრობის დეკლარირებულ პრიორიტეტს წარმოადგენს. 2007 წლიდან საქართველოს მთავრობა ახალგაზრდა პროფესიონალებს და ახალ კურსდამთავრებულებს

57 მონაცემები დათვლილია 364 შემთხვევიდან.
58 http://migration.commission.ge/files/pcms_geo_final.pdf ნანახია: 31.10.2017
59 საქართველოს მთავრობის მიზანი ბოლონიის პროცესის ფარგლებში საქართველოს განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციის 20%-მდე გაზრდაა (როგორც სტუდენტები, ისე აკადემიური პერსონალი).

უფინანსებს საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მიღებას. ბოლო 3 წლის (2014-2016 წწ.) განმავლობაში 301-მა სტუდენტმა მიიღო დაფინანსება უცხოეთში აკადემიურ პროგრამებზე სასწავლებლად, ხოლო 12 პირი გაიგზავნა კვალიფიკაციის ასამაღლებლად (იხ. ცხრილი N19). გაცემული სტიპენდიების უმრავლესობა აშშ-ს და ევროპის უნივერსიტეტებში მაგისტრატურის საფეხურზე სწავლებას აფინანსებს. საინტერესოა, რომ სტუდენტთა მიერ არჩეული საგანმანათლებლო სფეროებიდან სოციალური მეცნიერებები აირჩია მთავრობის მიერ დაფინანსებული სტუდენტების 34%-მა, ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები - 15%-მა, სამართალი - 12%-მა, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - 10%-მა, ბიზნესის ადმინისტრირება/მენეჯმენტი და ინჟინერია/ტექნოლოგია კი 9-9%-მა (იხ. ცხრილი N20).

ცხრილი N19: სახელმწიფოს მიერ საზღვარგარეთ დაფინანსებული სწავლება.

	2014			2015				2016			
დანიშნულების ქვეყანა ან რეგიონი	განათლების დონე			განათლების დონე				განათლების დონე			
	ბაკალავრი	მაგისტრი	დოქტორი	ბაკალავრი	მაგისტრი	დოქტორი	კვალიფიკაციის ამაღლება	ბაკალავრი	მაგისტრი	დოქტორი	კვალიფიკაციის ამაღლება
აშშ	10	16	5	17	19	5	2	11	16	6	1
კანადა							1				
ევროპა	5	28	9	6	51	9	2	4	68	8	6
რუსეთი	1			1				1			
ჩინეთი		2			1						
იაპონია									1		
ისრაელი									1		
სულ	16	46	14	24	71	14	5	16	86	14	7

წყარო: *საერთაშორისო განათლების ცენტრი*

ცხრილი N20: სახელმწიფოს მიერ საზღვარგარეთ დაფინანსებული სწავლება, სპეციალობების მიხედვით

სპეციალობების მიხედვით	2014	2015	2016	სულ	წილი მთლიან რაოდენობაში
სოციალური მეცნიერებები/საჯარო მმართველობა	26	36	39	101	34%
ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები	14	14	17	45	15%
სამართალი	7	11	17	35	12%
ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	5	15	10	30	10%
ბიზნესის ადმინისტრირება და მენეჯმენტი	7	10	10	27	9%
ინჟინერია და ტექნოლოგია	6	11	9	26	9%
სხვა	11	12	14	37	12%
სულ	76	109	116	301	100%

წყარო: *საერთაშორისო განათლების ცენტრი*

სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული კიდევ ერთი პროგრამა, რომელსაც რუსთაველის ფონდი ახორციელებს, ქართულ დიასპორასა და ემიგრანტებს ეხმარება, შეინარჩუნონ კავშირები სამშობლოსთან და წვლილი შეიტანონ მეცნიერების განვითარებაში. ფონდი საქართველოს უნივერსიტეტების, კვლევითი ინსტიტუტების და ემიგრაციაში მყოფი ქართველი მეცნიერების ერთობლივ კვლევით პროექტებს აფინანსებს. 2011-2016 წლებში ფონდის მიერ 69 ერთობლივი

კვლევითი პროექტი დაფინანსდა.[60] გარდა ამისა, აღნიშნული ფონდი აფინანსებს ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევით სტაჟირებას უცხოეთში 2-დან 8 თვემდე ვადით. 2011-2016 წლებში ამ პროგრამის დაფინანსებით 215-მა ახალგაზრდა ქართველმა მეცნიერმა ისარგებლა.[61]

სახელმწიფო სტიპენდიების გარდა, არსებობს სხვა სასტიპენდიო პროგრამებიც, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებს საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მიღებაში ეხმარება. ამ პროგრამებიდან ნაწილი უცხო ქვეყნების სახელმწიფო პროგრამებია (მაგალითად, Future Leaders Exchange Program, Global Undegraduate Exchange Program, Fulbright Graduate Student Program - აშშ, Chevening - დიდი ბრიტანეთი, DAAD - გერმანია, Netherlands Fellowship Program - ნიდერლანდები და სხვა), ნაწილი ევროკავშირის საგანმანათლებლო პროგრამების (TEMPUS, ERASMUS) ფარგლებშია დაფინანსებული, ნაწილი კი საქართველოს ან უცხოური უნივერსიტეტების გაცვლით და/ან სასტიპენდიო პროგრამებს წარმოადგენს. ამ პროგრამების ბენეფიციარები დაბრუნების შემდეგ ადვილად საქმდებიან და მოთხოვნად კადრებად მიიჩნევიან საქართველოში. მათ ნაწილს დღესაც უკავია მაღალი თანამდებობები საქართველოს სახელმწიფო უწყებებში, ბიზნეს-სექტორსა და სხვადასხვა საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაციაში. ეს ყოველივე კი ხელს უწყობს ცოდნის ქსელების შექმნასა და ქვეყანაში ინტელექტის შემოდინებას.

2. იმიგრაცია

2.1. იმიგრანტთა მიმოხილვა

საქართველოში იმიგრანტთა რაოდენობის შესახებ მონაცემთა რამდენიმე წყარო არსებობს. მოცემულ თავში გაანალიზებულია საქსტატის, UN DESA-ს და სსგს-ს მონაცემები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი მათგანი არ იძლევა სრულყოფილ და ზუსტ სურათს საქართველოში იმიგრანტთა რაოდენობისა და დინამიკის შესახებ.

საქსტატი 2012 წლიდან ყოველწლიურად აქვეყნებს იმიგრანტთა და ემიგრანტთა სტატისტიკას საზღვრის კვეთის მონაცემებზე დაყრდნობით. საქსტატის მეთოდოლოგიის მიხედვით, იმიგრანტად მიიჩნევა ნებისმიერი პირი (მოქალაქეობრივი კუთვნილების მიუხედავად), რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ 2 პირობას: 1. გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი და ბოლო 12 თვეში, სულ მცირე, 183 დღე (შესაძლებელია ეს იყოს რამდენიმე შემოსვლის კუმულაციური ჯამი) იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე და 2. საქართველო არ იყო მისთვის მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა, ე.ი. მას საქართველოს საზღვრებს გარეთ წინა 12 თვეში გატარებული აქვს, სულ მცირე, 183 დღე.

საქსტატის მონაცემებით, 2015 წელს საქართველოში 92,557 იმიგრანტი იყო, რომელთა ნახევარზე მეტი (55%) საქართველოს მოქალაქეა. 2016 წელს იმიგრანტთა რიცხვი ოდნავ შემცირდა და 90,228 შეადგინა, მათ შორის, 51% საქართველოს მოქალაქე იყო (იხ. ცხრილი N21).

როგორც N21 ცხრილი აჩვენებს, იმიგრანტები, ძირითადად, საქართველოს მეზობელი ქვეყნების მოქალაქეები არიან (რუსეთი, თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და უკრაინა). საქსტატის მონაცემებით, იმიგრანტთა რაოდენობა 2014 წელს 82,161 იყო. 2014 წელთან შედარებით, 2016 წელს გაზრდილია თურქეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, ირანის, ჩინეთის და ინდოეთის მოქალაქე იმიგრანტების რაოდენობა. ამასთან, იმიგრანტი კაცების რაოდენობა გასული 2 წლის განმავლობაში აღემატება იმიგრანტი ქალების რაოდენობას.

60 რუსთაველის ფონდი, ერთობლივი კვლევები უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით.
61 რუსთაველის ფონდი, ახალგაზრდა მეცნიერთა სტაჟირება უცხოეთში.

ცხრილი N21: იმიგრანტთა რაოდენობა მოქალაქეობისა და სქესის მიხედვით 2015 და 2016 წლებში.

2015				2016			
მოქალაქეობა	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი	მოქალაქეობა	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი
საქართველო	50,924	30,411	20,513	საქართველო	47,086	28,263	18,823
რუსეთის ფედერაცია	10,552	5,972	4,580	რუსეთის ფედერაცია	11,185	6,262	4,923
თურქეთი	5,810	4,687	1,123	თურქეთი	6,294	4,823	1,471
სომხეთი	4,143	2,582	1,561	სომხეთი	6,241	3,550	2,691
უკრაინა	2,886	1,414	1,472	აზერბაიჯანი	3,420	1,935	1,485
აზერბაიჯანი	2,839	1,554	1,285	უკრაინა	2,922	1,445	1,477
ირანი	1,766	1,368	398	ინდოეთი	1,435	1,016	419
ქუვეითი	1,320	850	470	აშშ	1,101	628	473
ერაყი	1,618	1,244	374	ჩინეთი	873	675	198
ჩინეთი	1,267	1,044	223	ისრაელი	832	402	430
აშშ	1,081	639	442	ქუვეითი	643	415	228
სხვა ქვეყნის მოქალაქე	8,206	4,836	3,370	სხვა ქვეყნის მოქალაქე	7,979	4,811	3,168
არ არის მითითებული	145	91	54	არ არის მითითებული	217	130	87
სულ	92,557	56,692	35,865	სულ	90,228	54,355	35,873

წყარო: *საქსტატი*

2014 წლის საქართველოს მოსახლეობის აღწერის შედეგები მოიცავს მონაცემებს 2014 წელს საქართველოში მყოფ იმიგრანტთა რაოდენობის შესახებ. 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მეთოდოლოგიის მიხედვით, იმიგრანტად მიიჩნევა ნებისმიერი პირი (მოქალაქეობრივი კუთვნილების მიუხედავად), რომელსაც ოდესმე უცხოვრია საზღვარგარეთ 12 თვეზე მეტ ხანს. ამ განმარტების მიხედვით, 2014 წელს საქართველოში 184,629 იმიგრანტი აღირიცხა. მათი პროცენტული გადანაწილება წინა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოცემულია N9 დიაგრამაში.

დიაგრამა N9: იმიგრანტთა პროცენტული გადანაწილება წინა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, 2014 წელი.



წყარო: *საქსტატი - 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა*

იმიგრანტთა განაწილება მოქალაქეობის მიხედვით აჩვენებს, რომ 184,629 იმიგრანტიდან 91% (167,506) მხოლოდ საქართველოს მოქალაქეა, 6% (11,751) მხოლოდ სხვა ქვეყნის მოქალაქე, 3%-ს (4,897) ორმაგი მოქალაქეობა აქვს, ხოლო 1% მოქალაქეობის გარეშეა ან მოქალაქეობა არ აქვს მითითებული. 11,751 იმიგრანტიდან, რომელიც მხოლოდ სხვა ქვეყნის მოქალაქეა, უმრავლესობა რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის და თურქეთის მოქალაქეები არიან (იხ. დიაგრამა N10).

დიაგრამა N10: მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქე და ორმაგი მოქალაქეობის მქონე იმიგრანტების განაწილება მოქალაქეობის მიხედვით.



წყარო: *საქსტატი - 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა*

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 99% საქართველოს მოქალაქეა, ხოლო 97% საქართველოშია დაბადებული. N22 ცხრილი აჩვენებს საქართველოს მოსახლეობის გადანაწილებას მოქალაქეობის მიხედვით.

ცხრილი N22: საქართველოს მოსახლეობის განაწილება მოქალაქეობის და დაბადების ადგილის მიხედვით.

მოქალაქეობა	რაოდენობა	საქართველოში დაბადებული	სხვა ქვეყანაში დაბადებული	დაბადების ადგილი არაა მითითებული
საქართველო	3,677,833	3,602,530	51,098	24,205
სხვა ქვეყნები	22,131	8,474	11,820	1,837
რუსეთი	7,620	4,312	2,571	737
სომხეთი	3,784	1,953	1,606	225
აზერბაიჯანი	3,236	1,044	1,975	217
უკრაინა	1,631	368	1,132	131
თურქეთი	1,410	72	1,245	93
საბერძნეთი	531	241	234	56
ერაყი	485	6	451	28
აშშ	429	81	287	61
ინდოეთი	416	2	371	43

ჩინეთი	365	6	313	46
სხვა	2,224	389	1,635	200
ორმაგი მოქალაქეობა	6,757	4,012	2,702	43
მოქალაქეობის არმქონე	379	172	154	53
არ არის მითითებული	6,704	1,693	456	4,555
სულ	3,713,804	3,616,881	66,230	30,693

წყარო: *საქსტატი - 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა*

როგორც მოსახლეობის აღწერის მონაცემები ცხადყოფს, საქართველოში მცხოვრებ უცხოელებში რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის და თურქეთის მოქალაქეები ჭარბობენ. საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა თითქმის ნახევარი (47%) საქართველოშია დაბადებული, განსაკუთრებით, ეს რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის და საბერძნეთის მოქალაქეებს ეხება, ხოლო დანარჩენი ქვეყნების მოქალაქეთა შემთხვევაში კი, საზღვარგარეთ დაბადებულთა რიცხვი აჭარბებს საქართველოში დაბადებულთა რიცხვს (იხ. ცხრილი N22).

UN DESA იმიგრანტთა რაოდენობას ითვლის „საზღვარგარეთ დაბადებულთა“ კატეგორიაზე დაყრდნობით. ამ კატეგორიაში შესაძლებელია შედიოდეს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც წარმოშობით საქართველოდანაა, მაგრამ დაბადებულია ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, ან საბჭოთა კავშირის პერიოდში, ან მისი დაშლის შემდეგ, რომლებიც საბოლოოდ დასახლდნენ საქართველოში და შესაძლოა საქართველოს მოქალაქეებიც კი იყვნენ. UN DESA-ს ამ მიდგომის თანახმად, 2015 წელს საქართველოში 168,802 იმიგრანტი იყო, რომელთა დიდ ნაწილს რუსეთში, უკრაინაში, ყაზახეთში, ბელარუსსა და უზბეკეთში დაბადებული პირები წარმოადგენენ (იხ. ცხრილი N23).

ცხრილი N23: იმიგრანტთა რაოდენობა დაბადების ადგილის მიხედვით 2015 წელს.

დაბადების ქვეყანა	რაოდენობა
რუსეთი	92, 937
უკრაინა	22, 263
ყაზახეთი	10, 763
ბელარუსი	8, 272
უზბეკეთი	7, 639
აზერბაიჯანი	3, 891
პოლონეთი	2, 673
მოლდოვა	2, 213
ლიტვა	2, 202
სომხეთი	1, 980
ტაჯიკეთი	1, 834
ყირგიზეთი	1, 720
გერმანია	1, 515
სხვა ქვეყნები	8, 900
სულ	168, 802

წყარო: *UN DESA*[62]

62 International migrant stock - by destination and origin. http://bit.ly/1W6TROn ნანახია: 31.10.2017

გამომდინარე იქიდან, რომ UN DESA და საქსტატი იმიგრანტის განსხვავებულ დეფინიციას ეყრდნობიან და იმიგრანტთა რაოდენობის განსაზღვრის განსხვავებულ მეთოდოლოგიას იყენებენ, მათი მონაცემები ერთმანეთს არ ემთხვევა. თუმცა ორივე ერთად გარკვეულ წარმოდგენას ქმნის საქართველოში იმიგრანტთა რაოდენობასა და წარმოშობის ქვეყნებზე.

იმიგრანტთა რაოდენობის დასადგენად ასევე ვიყენებთ სსგს-ს მონაცემებს. სსგს აგროვებს უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ბინადრობის ნებართვის (როგორც დროებითი, ასევე მუდმივი) გაცემის და მოქალაქეობის მინიჭების მონაცემებს.

N24 ცხრილში წარმოდგენილია სსგს-ს მიერ გაცემული ბინადრობის ნებართვების რაოდენობა ტიპების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ სასწავლო, შრომითი, ოჯახის გაერთიანების, საქართველოს ყოფილი მოქალაქის, სპეციალური და მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვები გაიცემა დროებითი ცხოვრების უფლებით, 6 წლამდე ვადით (პირველად გაიცემა 1 წლის ვადით და შესაძლებელია გაგრძელება 5 წლის ვადით). ხოლო საინვესტიციო და მუდმივი ცხოვრების ნებართვები გაიცემა უვადოდ.

ცხრილი N24: სსგს-ს მიერ გაცემული ბინადრობის ნებართვები საფუძვლების მიხედვით (2012-2016 წწ.).

წელი	შრომითი	სასწავლო	ოჯახის გაერთიანების მიზნით	საინვეს-ტიციო[63]	საქართველოს ყოფილი მოქალაქის	მუდმივი ცხოვრების[64]	სპეცია-ლური[65]	მოკლე-ვადიანი[66]	სულ
2012	5091	876	961	-	840	4	-	-	7,772
2013	3921	554	931	-	620	4	-	-	6,030
2014	4666	1130	1136	54	2282	676	181	-	10,125
2015	9441	4663	2636	214	4250	7077	1044	37	29,362
2016	9664	2901	1694	95	360	1610	587	308	17,219
სულ	32783	10124	7358	363	8352	9371	1812	345	70,508

წყარო: *სსგს*

ამდენად, სსგს-ს მიერ ბოლო 5 წლის (2012-2016 წწ.) განმავლობაში გაიცა 70,000-ზე მეტი ბინადრობის ნებართვა.[67] ის ფაქტი, რომ 2015 წელთან შედარებით 2016 წელს გაცემული ბინადრობის ნებართვების რაოდენობა გაცილებით დაბალია, იმ საკანონმდებლო ცვლილებებით აიხსნება, რომელიც 2015 წლის ივნისში შევიდა ძალაში და მნიშვნელოვნად შეცვალა ბინადრობის ნებართვების და სავიზო პოლიტიკა პროცედურების გამარტივების კუთხით.[68] კერძოდ, საქართველოში უვიზოდ შემოსვლის და 1 წლით ყოფნის უფლება მიენიჭა 94 ქვეყნის მოქალაქეს. მანამდე ამ ქვეყნების მოქალაქეებს უფლება ჰქონდათ, საქართველოში ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში მაქსიმუმ 90 კალენდარული დღით დარჩენილიყვნენ, ხოლო ქვეყანაში უფრო მეტი ხნით დარჩენისთვის ბინადრობის ნებართვის მიღება იყო აუცილებელი. ახალმა რეგულაციამ, გარკვეულწილად, შეამცირა მოთხოვნა ბინადრობის ნებართვებზე, რადგან ამ კატეგორიის უცხოელებისთვის ქვეყანაში გრძელვადიანი ყოფნისთვის უვიზო მიმოსვლის პირობები სრულიად საკმარისია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლებთან (2012-2014 წწ.) შედარებით, 2016 წელს გაცემული ბინადრობის ნებართვების რაოდენობა მაინც მომატებულია.

63 საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა გაიცემა 2014 წლის სექტემბრიდან.

64 2014 წლის სექტემბრიდან გაიცემა საქართველოს მოქალაქის ოჯახის წევრებზე და იმ პირებზე, რომლებმაც დროებითი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე ბოლო 6 წლის განმავლობაში იცხოვრეს საქართველოში (2014 წლამდე გაიცემოდა მხოლოდ ბოლო 6 წლის განმავლობაში ცხოვრების საფუძველზე).

65 სპეციალური ბინადრობის ნებართვა 2014 წლის სექტემბრიდან გაიცემა თანამემამულის სტატუსის მქონე პირზე, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლზე ან დაზარალებულზე და უცხოელზე, რომელზედაც წერილობით ინიციატივას წარადგენს საქართველოს მთავრობის წევრი.

66 მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა გაიცემა 2015 წლის ივნისიდან იმ უცხოელებზე, რომელთაც საქართველოს ტერიტორიაზე საკუთრების უფლებით აქვთ უძრავი ქონება (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა), რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 35,000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში.

67 ეს რიცხვი ზუსტად არ ასახავს ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელთა რაოდენობას, ვინაიდან ერთსა და იმავე პირს, შესაძლებელია, სხვადასხვა წელს მიემართა და მიეღო ან გაეგრძელებინა ბინადრობის ნებართვა.

68 უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილება: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2841058 ნანახია: 31.10.2017

2016 წელს გაცემული ბინადრობის ნებართვების სტატისტიკის ანალიზი ასაკის და სქესის მიხედვით მიუთითებს, რომ ნებართვების დიდი წილი კაცებზე და ორივე სქესის 26-დან 40 წლამდე პირებზე გაიცა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ხანგრძლივად მყოფი იმიგრანტების დიდი ნაწილი შრომისუნარიანი და ფერტილური ასაკისაა.

დიაგრამა N11: 2016 წელს გაცემული ბინადრობის ნებართვები ასაკობრივ ჭრილში.



წყარო: *სსგს*

დიაგრამა N12: 2016 წელს გაცემული ბინადრობის ნებართვები სქესობრივ ჭრილში.



წყარო: *სსგს*

ბოლო ორი წლის მონაცემებს თუ შევაჯამებთ, ვნახავთ, რომ 2015-2016 წლებში ყველაზე მეტი ბინადრობის ნებართვა გაიცა აზერბაიჯანის, რუსეთის, თურქეთის, სომხეთის, უკრაინის, ინდოეთის, ჩინეთის და ირანის მოქალაქეებზე.

გარკვეული განსხვავებები შეინიშნება იმ მაჩვენებლებში, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეები მიმართავენ განცხადებებით კონკრეტული ტიპის ბინადრობის ნებართვის მისაღებად. მაგალითისთვის, 2015-2016 წლებში შრომითი ბინადრობის ნებართვების დიდი ნაწილი თურქეთის, ინდოეთის, ჩინეთის, უკრაინის და ირანის მოქალაქეებზეა გაცემული. მუდმივი ცხოვრების ნებართვებს, ძირითადად, აზერბაიჯანის, რუსეთის, სომხეთის, უკრაინის და თურქეთის მოქალაქეები იღებენ. სასწავლო ბინადრობის ნებართვების დიდი წილი ინდოეთის, ერაყის, ნიგერიის, აზერბაიჯანის და თურქეთის მოქალაქეებზე მოდის; ხოლო ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვები გაცემულია აზერბაიჯანის, რუსეთის, სომხეთის, უკრაინის და თურქეთის მოქალაქეებზე (იხ. ცხრილი N25). საქართველოს ყოფილი მოქალაქის ბინადრობის ნებართვა ბოლო 2 წლის (2015-2016 წწ.) განმავლობაში, ძირითადად, რუსეთის და სომხეთის მოქალაქეებზე გაიცემოდა, ხოლო სპეციალური ბინადრობის ნებართვა აზერბაიჯანის მოქალაქეებზე.

ცხრილი N25: 2015-2016 წლებში გაცემული ბინადრობის ნებართვები მოქალაქეობის ქვეყნების მიხედვით (ტოპ 5 ქვეყანა).

შრომითი ბინადრობის ნებართვები		მუდმივი ცხოვრების ნებართვები		სასწავლო ბინადრობის ნებართვები		ოჯახის გაერთიანების მიზნით გაცემული ნებართვები	
თურქეთი	4861	აზერბაიჯანი	2428	ინდოეთი	2511	თურქეთი	762
ინდოეთი	3269	რუსეთი	2028	ერაყი	1595	ირანი	530
ჩინეთი	3000	სომხეთი	1608	ნიგერია	956	აზერბაიჯანი	474
უკრაინა	1585	უკრაინა	795	აზერბაიჯანი	791	რუსეთი	463
ირანი	1551	თურქეთი	413	თურქეთი	674	უკრაინა	439

წყარო: *სსგს*

2012-2016 წლებში 9,408 პირის განაცხადი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე (სულ შემოსული განცხადებების დაახლოებით 12%) არ დაკმაყოფილდა (იხ. ცხრილი N26).

ცხრილი N26: ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარების საერთო რაოდენობა (2012-2016 წწ.).

წელი	შემოსული განაცხადების საერთო რაოდენობა	გაცემული ბინადრობის ნებართვების რაოდენობა	უარყოფითი გადაწყვეტილებების რაოდენობა
2012	9,545	7,772	1,773
2013	8,775	6,030	2,745
2014	12,460	10,125	2,335
2015	30,253	29,362	891
2016	18,883	17,219	1,664
სულ	79,916	70,508	9,408

წყარო: *სსგს*

2.1.1. ნატურალიზაცია

„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონით დადგენილია ნატურალიზაციის ხუთი ფორმა: 1) საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მინიჭება; 2) საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭება; 3) საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭება; 4) საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭება და 5) საქართველოს მოქალაქეობის სპეციალური წესით მინიჭება. ნატურალიზაციის ამ ხუთი ფორმიდან ყველაზე მეტი მოთხოვნა ფიქსირდება საგამონაკლისო წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე, რომელიც იმ შემთხვევაში ენიჭება უცხო ქვეყნის მოქალაქეს, თუ მას საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურება აქვს ან რომლისთვისაც საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობს. N27 ცხრილში წარმოდგენილია ნატურალიზაციის ხუთივე ფორმის დაჯამებული მონაცემები ბოლო ხუთი წლის (2012-2016 წწ.) მიხედვით. აღსანიშნავია, რომ დადებითი გადაწყვეტილებების საერთო რაოდენობის 96% მოდის სწორედ საგამონაკლისო წესით მოქალაქეობის მინიჭებაზე (ე.წ. ორმაგი მოქალაქეობა).

ცხრილი N27: ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების ხუთივე ფორმის დაჯამებული მონაცემები წლების მიხედვით (2012-2016 წწ.).

წელი	დადებითი გადაწყვეტილებების რაოდენობა	უარყოფითი გადაწყვეტილებების რაოდენობა
2012	7,447	1,400
2013	9,947	2,427
2014	5,086	2,420
2015	4,433	1,328
2016	4,677	1,325
სულ	31,590	8,900

წყარო: *სსგს*

2012-2016 წლებში ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობა სულ 31,590 პირს მიენიჭა (იხ. ცხრილი N27), აქედან საგამონაკლისო წესით 30,199 უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელთა დიდი ნაწილი (60%) რუსეთის მოქალაქეა და მათი უმეტესობა მანამდეც ფლობდა საქართველოს მოქალაქეობას. თურქეთი, აშშ, საბერძნეთი, ისრაელი, სომხეთი და უკრაინა ასევე შედიან იმ ქვეყანათა პირველ ექვსეულში, რომელთა მოქალაქეებსაც 2012-2016 წლებში მიენიჭათ საქართველოს მოქალაქეობა (იხ. დიაგრამა N13).

დიაგრამა N13: ძირითადი ქვეყნები, რომელთა მოქალაქეებსაც მიენიჭათ საქართველოს მოქალაქეობა 2012-2016 წლებში.



წყარო: *სსგს*

N13 დიაგრამაში, ძირითადად, ის ქვეყნებია წარმოდგენილი, სადაც სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით ყველაზე მეტი ქართველი ემიგრანტი ცხოვრობს. ეს გარემოება კი იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს მოქალაქეობა უმეტეს შემთხვევაში ყოფილ მოქალაქეებს ან იმ პირებს ენიჭებათ, რომლებიც წარმოშობით საქართველოდან არიან.

2.1.2. განათლების მიღების მიზნით ჩამოსული უცხოელები

იმიგრანტებს შორის შედარებით ახალ და მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენენ განათლების მიღების მიზნით ჩამოსული უცხოელები, რომლებიც საქართველოში, ძირითადად, უმაღლესი განათლების მისაღებად მოდიან. 2006-2016 წლებში საქართველოს უნივერსიტეტებში ჩარიცხული უცხოელი სტუდენტების ყოველწლიური რაოდენობა საკმაოდ მზარდია (იხ. დიაგრამა N14). 2016 წლის მონაცემებით, ბოლო 11 წლის განმავლობაში საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჯამში 13,527 უცხოელი სტუდენტი ჩაირიცხა.

დიაგრამა N14: საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა ჩარიცხვის წლების მიხედვით.



წყარო: *განათლების სამინისტრო*

როგორც N14 დიაგრამაში ჩანს, ჩარიცხულ უცხოელ სტუდენტთა რაოდენობის მაქსიმალური ზრდა დაფიქსირდა 2010/2011 და 2011/2012 სასწავლო წლებში, როდესაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა თითქმის გაორმაგდა. ხოლო უცხოელი სტუდენტების ყველაზე დიდი მაჩვენებელი საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2015 წელს იყო, 2016 წელს კი ასეთი სტუდენტების რიცხვი მკვეთრად შემცირდა. ეს შეიძლება ნაწილობრივ აიხსნას 2014 წელს მიღებული „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის ახალი რეგულაციებით, რომელიც 2015 წლის მეორე ნახევრიდან კვლავ შეიცვალა პროცედურების გამარტივების კუთხით. 2016 წელს უცხოელი სტუდენტების კლება კი, სავარაუდოდ, უფრო იმით იყო გამოწვეული, რომ 2014 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების გამო 2015 წელს ნაკლებმა სტუდენტმა მიიღო საქართველოში ჩამოსვლის გადაწყვეტილება, რაც საბოლოო ჯამში 2016 წლის ჩარიცხვების რაოდენობაზე აისახა.

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები თანდათან იწყებენ საერთაშორისო სტუდენტთა მოთხოვნების გათვალისწინებას და შედეგად, სულ უფრო მეტი ქართული უნივერსიტეტი სთავაზობს უცხოელ სტუდენტებს უცხოენოვან საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო სასწავლო პროგრამებს. 2014 წლისათვის 25 ქართულ უნივერსიტეტში 160 უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა ისწავლებოდა, 2016 წელს კი 33 ასეთი უნივერსიტეტი იყო 205 უცხოენოვანი პროგრამით, საიდანაც ნახევარზე მეტი (127) ინგლისურენოვანია.

2006-2016 წლებში საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული ყველაზე მეტი უცხოელი სტუდენტი აზერბაიჯანიდან, ინდოეთიდან, თურქეთიდან, ნიგერიიდან, რუსეთიდან და ერაყიდან იყო (იხ. დიაგრამა N15). ეს მონაცემები შეესაბამება სსგს-ს მიერ გაცემულ სასწავლო ბინადრობის ნებართვების მაჩვენებლებს (იხ. ცხრილი N25).

დიაგრამა N15: უცხოელ სტუდენტთა ძირითადი წარმოშობის ქვეყნები (2006-2016 წწ. დაჯამებული მონაცემები).



წყარო: *განათლების სამინისტრო*

უცხოელ სტუდენტთა ნახევარი საქართველოში სამედიცინო განათლებას იღებს, მეოთხედი კი - ბიზნესის, ეკონომიკის ან სამართლის ფაკულტეტზე სწავლობს. არსებული კვლევების თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობა უცხოელი სტუდენტების მოსაზიდად საქართველოში და საზღვარგარეთ არსებულ რეკრუტირების სააგენტოებს იყენებს. საქართველოში უცხოელი სტუდენტების მოზიდვაში მნიშვნელოვან როლს საქართველოს უსაფრთხო ქვეყნად აღქმა და სწავლის შედარებით დაბალი საფასური განაპირობებს. [69]

გაცილებით დაბალია უცხოელი სტუდენტების რაოდენობა პროფესიულ სასწავლებლებში. განათლების და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით, საქართველოს პროფესიულ სასწავლებლებში 2015 წელს - 119, ხოლო 2016 წელს 106 უცხოელი სტუდენტი სწავლობდა.

უცხოელ მოსწავლეთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებშიც. 2011/2012 სასწავლო წლებში მათი რაოდენობა 1,147-ს შეადგენდა, ხოლო 2016/2017 სასწავლო წელს 4,177-მდე გაიზარდა. საშუალო სკოლებში უცხოელ მოსწავლეთა უმრავლესობა რუსეთის (38%), აზერბაიჯანის (14%), უკრაინის (11%), სომხეთის (8%), აშშ-ს (5%) და თურქეთის (4%) მოქალაქეებისგან შედგება. მოსწავლეთა ეს კატეგორია, სავარაუდოდ, საქართველოში ჩამოსულია ოჯახთან გაერთიანების მიზნით და არა კონკრეტულად ზოგადი განათლების მიღებისთვის.

2.1.3. შრომითი იმიგრანტები

შრომის ბაზრის მობილობა საქართველოში რეგულირდება „შრომითი მიგრაციის შესახებ“, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონებით[70] და სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტებით. „შრომითი მიგრაციის შესახებ“ კანონის თანახმად, საქართველოში ლეგალურად მცხოვრები უცხოელები და საქართველოს მოქალაქეები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ შრომით ბაზარზე. ადგილობრივ დამსაქმებლებს არ აქვთ შეზღუდვები უცხოური სამუშაო ძალის დასაქმებისას.

69 მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი: უცხოელი სტუდენტები საქართველოში http://bit.ly/2zdm6YA ნანახია: 31.10.2017
70 კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“ (2015 წ.) https://matsne.gov.ge/ka/document/view/2806732 ნანახია: 31.10.2017; კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ (2014 წ.) http://bit.ly/2AST7Yb ნანახია: 31.10.2017

სსგს-ს მონაცემების მიხედვით, ბოლო წლებში გაცემული შრომითი ბინადრობის ნებართვების რიცხვი მზარდია.[71] 2015 და 2016 წლებში გაცემული შრომითი ბინადრობის ნებართვების რაოდენობა დაახლოებით ორჯერ აღემატება წინა წლებში გაცემული ამავე ტიპის ბინადრობის ნებართვების რიცხვს (იხ. დიაგრამა N16).

დიაგრამა N16: 2012-2016 წლებში გაცემული შრომითი ბინადრობის ნებართვები.



წყარო: *სსგს*

საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის მფლობელთა უმრავლესობას თურქეთის, ჩინეთის, ინდოეთის და ირანის მოქალაქეები წარმოადგენენ. 2012-2016 წლების განმავლობაში გაცემული 32,783 შრომითი ბინადრობის ნებართვიდან 7,739 (24%) გაიცა თურქეთის, 7,173 (22%) - ჩინეთის, 4,357 (13%) - ინდოეთის, 2,896 (9%) - ირანის, ხოლო 1,943 (6%) - უკრაინის მოქალაქეებზე. როგორც ცხრილი N28 აჩვენებს, წინა წლებთან შედარებით, 2016 წლისთვის მნიშვნელოვნად გაიზარდა ინდოეთის და ირანის მოქალაქეებზე გაცემული შრომითი ბინადრობის ნებართვების რაოდენობა. ხოლო 2015 წელს განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა უკრაინის მოქალაქეებზე გაცემულ შრომითი ბინადრობის ნებართვებზე. თუმცა ეს უკანასკნელი 2016 წლისთვის თითქმის განახევრდა.

ცხრილი N28: შრომითი ბინადრობის ნებართვის მფლობელთა რაოდენობა იმ 5 ქვეყნის მიხედვით, რომელთა მოქალაქეებზეც გაიცა ყველაზე მეტი ნებართვა 2012-2016 წლებში (პირველადი ნებართვები და გაგრძელებები).

ქვეყანა/წელი	2012	2013	2014	2015	2016	სულ
თურქეთი	806	736	1,336	2,911	1,950	7,739
ჩინეთი	1,803	1,416	954	1,449	1,551	7,173
ინდოეთი	396	328	364	600	2,669	4,357
ირანი	822	312	211	524	1,027	2,896
უკრაინა	63	71	224	1102	483	1,943

წყარო: *სსგს*

71 გასათვალისწინებელია, რომ შრომითი ბინადრობის ნებართვა გაიცემა როგორც შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად ჩამოსულ უცხოელებზე, ასევე სამეწარმეო საქმიანობის (თვითდასაქმებული პირები) და თავისუფალი პროფესიის ადამიანებზეც.

2.1.4. უცხოელი მეწარმეები/ინვესტორები

საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, 2012-2016 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ან ბინის/სახლის საკუთრების უფლებით რეგისტრაციის 34,024 შემთხვევა დაფიქსირდა. უცხოელებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლებით შეძენაზე მორატორიუმის ამოქმედების შემდეგ, 2014 წელს, უცხოელების მიერ ასეთი მიწების საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შემთხვევები მკვეთრად შემცირდა. თუმცა მას შემდეგ, რაც მორატორიუმი მოიხსნა,[72] 2015 წლიდან, ეს რიცხვი კვლავ მზარდია, ისევე როგორც უცხოელთა მიერ ბინის ან სახლის საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შემთხვევები (იხ. ცხრილი N29).

ცხრილი N29: უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონება წლების და ქონების ტიპის მიხედვით.

წელი	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	ბინა/სახლი	სულ
2012	1,776	987	1871	4,634
2013	2,146	1,273	2,808	6,227
2014	1,424	1,651	3,943	7,018
2015	3,209	878	3,283	7,370
2016	4,443	920	3,412	8,775
სულ	12,998	5,709	15,317	34,024

წყარო: *საჯარო რეესტრი*

საქართველოში უძრავ ქონებაში ინვესტიციებს, ძირითადად, საქართველოს მეზობელი ქვეყნების მოქალაქეები ახორციელებენ (რუსეთი, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი და უკრაინა). შესაძლოა, მათ შორის იყვნენ საქართველოს ყოფილი მოქალაქეები, რომლებმაც თავის დროზე დატოვეს საქართველო და სხვა ქვეყნებში გადავიდნენ საცხოვრებლად და სურვილი აქვთ, უძრავ ქონებაში ინვესტირების მეშვეობით შეინარჩუნონ საქართველოსთან კავშირები. იგივე შეიძლება ითქვას აშშ-ს და ისრაელის მოქალაქეთა შესახებაც.

ცხრილი N30: უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონება ქონების ტიპისა და იმ ქვეყნების მიხედვით, რომელთა მოქალაქეებმაც ყველაზე მეტი რეგისტრაცია განახორციელეს (2012-2016 წწ.).

	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	ბინა/სახლი	სულ
რუსეთი	7835	2364	7842	18041
უკრაინა	476	222	1117	1815
სომხეთი	1117	253	421	1791
აზერბაიჯანი	1133	126	419	1678
ისრაელი	103	324	789	1216
აშშ	150	164	730	1044
საბერძნეთი	527	150	338	1015
გერმანია	149	132	556	837
ირანი	171	204	399	774
ერაყი	77	410	236	723
თურქეთი	80	127	363	570

წყარო: *საჯარო რეესტრი*

72 უცხოელებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლებით შეძენაზე მორატორიუმი მოქმედებდა 2013 წლის ივლისიდან 2014 წლის ივლისამდე.

2012-2016 წლებში სულ 35,575-მა უცხოელმა დაარეგისტრირა საქართველოში სამეწარმეო ან არასამეწარმეო სუბიექტი. აქედან არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა უმნიშვნელოა. რეგისტრირებულ სუბიექტთა აბსოლუტური უმრავლესობა (იხ. ცხრილი N31) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებსა (შპს) და ინდივიდუალურ მეწარმეებზე მოდის. 2014 წელს რეგისტრირებული შპს-ების რაოდენობა წინა წელთან შედარებით თითქმის 50%-ით შემცირდა, თუმცა 2015-2016 წლებში კვლავ მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ცხრილი N31: უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობა მათ მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების, სუბიექტის ფორმისა და წლების მიხედვით.

	სამეწარმეო სუბიექტები				არასამეწარმეო სუბიექტები		სულ
	ინდივი-დუალური მეწარმე	შპს	უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	სააქციო საზოგადოება	არასამე-წარმეო იურიდიული პირი	უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	
2012	355	7,076	95	0	0	6	7,532
2013	429	7,713	101	0	0	9	8,252
2014	563	3,766	164	0	0	13	4,506
2015	626	5,551	130	6	0	8	6,321
2016	749	7,982	224	3	0	6	8,964
სულ	2,722	32,088	714	9	0	42	35,575

წყარო: *საჯარო რეესტრი*

საჯარო რეესტრის მონაცემებით, საქართველოს რეგიონების მიხედვით უცხოელების უმრავლესობა სამეწარმეო იურიდიულ პირს ან ინდივიდუალური მეწარმის სტატუსს თბილისსა (59%) და აჭარაში (13%) არეგისტრირებს. 2016 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხოელების მიერ კახეთის რეგიონში დარეგისტრირებული სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა (2015 წელს - 441, 2016 წელს - 1,361).

N32 ცხრილში წარმოდგენილია ის ქვეყნები, რომელთა მოქალაქეებიც ყველაზე ხშირად არეგისტრირებენ სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტებს საქართველოში. მათ შორის ჭარბობენ ირანის, თურქეთისა და ეგვიპტის მოქალაქეები.

ცხრილი N32: ყველა ტიპის რეგისტრირებული სამეწარმეო/არასამეწარმეო სუბიექტების ჯამური რაოდენობა უცხო ქვეყნის მოქალაქეების ძირითადი წარმოშობის ქვეყნების მიხედვით (2012-2016 წწ.).

ქვეყანა	სულ
ირანი	7110
თურქეთი	5171
ეგვიპტე	3507
ინდოეთი	2817
რუსეთი	2555
უკრაინა	1915
აზერბაიჯანი	1575
ერაყი	1407

სომხეთი	916
ჩინეთი	708
აშშ	673
ისრაელი	567
პაკისტანი	427
სირია	413
გერმანია	386

წყარო: *საჯარო რეესტრი*

ინვესტიციების განხორციელებასთან ერთად უცხო ქვეყნის მოქალაქეებს უფლება აქვთ, აღნიშნული საფუძვლით საქართველოში ბინადრობის ნებართვაც მოიპოვონ. ბოლო ორი წლის (2015-2016 წწ.) განმავლობაში გაცემული საინვესტიციო და მოკლევადიანი[73] ბინადრობის ნებართვების რიცხვი (იხ. ცხრილი N24) სხვა ტიპის ბინადრობის ნებართვებთან შედარებით, საკმაოდ დაბალია. თუმცა 2016 წელს მკვეთრად გაიზარდა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვების რაოდენობა. მათი უმრავლესობა ირანის და ერაყის მოქალაქეებზეა გაცემული, ხოლო საინვესტიციო ბინადრობის ნებართვების დიდი ნაწილი ეგვიპტის, ერაყის და ირანის მოქალაქეებზე ნაწილდება (იხ. ცხრილი N33).

ცხრილი N33: 2015-2016 წლებში გაცემული მოკლევადიანი და საინვესტიციო ბინადრობის ნებართვები ძირითადი მოქალაქეობის ქვეყნების მიხედვით.

საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა		მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა	
ერაყი	80	ირანი	101
ეგვიპტე	73	ერაყი	89
ირანი	47	რუსეთი	42
რუსეთი	18	უკრაინა	29
ინდოეთი	16	ეგვიპტე	12

წყარო: *სსგს*

საჯარო რეესტრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია აჩვენებს, რომ უცხოელთა მიერ საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების თუ დარეგისტრირებული სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების რიცხვი მზარდია, რაც საქართველოს, როგორც უცხოელებისთვის სამეწარმეო საქმიანობისთვის მიმზიდველი ქვეყნის იმიჯზე მიუთითებს, რასაც საქართველოს ეკონომიკაზე დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია.

2.2. იმიგრაციის ეკონომიკური გავლენა

უცხო ქვეყნის გამოცდილ და მაღალკვალიფიციურ მოქალაქეთა იმიგრაციას შეუძლია დადებითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე და ადგილობრივ შრომით ბაზარზე უნარების ჩამოყალიბების და ცოდნის გადაცემის პროცესზე.

73 მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა გაიცემა უცხოელზე, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვს საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა), რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 35,000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში, და მისი ოჯახის წევრებზე (გაიცემა 2015 წლის ივნისიდან). საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა გაიცემა უცხოელზე, რომელმაც საქართველოში განახორციელა არანაკლებ 300,000 ლარის ოდენობის ინვესტიცია „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში ბინადრობის ნებართვა ასევე გაიცემა მისი ოჯახის წევრებზეც.

ორი შედარებით ახალი კვლევა, რომელიც 2015 და 2016 წლებში ჩატარდა და გარკვეულ წარმოდგენას ქმნის იმიგრანტთა ეკონომიკურ აქტივობაზე საქართველოში, ეხება შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტს და უცხოელ სტუდენტებს საქართველოში.

„შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა“ შრომის სამინისტროს დაკვეთით 2015 წელს ჩატარდა.[74] ეს პირველი კვლევაა, რომელიც მეტ-ნაკლები სიზუსტით ასახავს საქართველოში დასაქმებულ უცხოელთა განაწილებას სამუშაო სფეროების და პოზიციების მიხედვით. კვლევამ მოიცვა 6,000 ორგანიზაცია როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორიდან.

კვლევის მიხედვით, საქართველოში 2015 წელს დასაქმებული იყო 5,578 უცხოელი, რომელთა ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია შემდეგ პოზიციებზე (იხ. დიაგრამა N17): სამოქალაქო მშენებლობის დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი (1,089), ავტომობილის მექანიკოსები და შემკეთებლები (1,088), მმართველი დირექტორები და მთავარი აღმასრულებელი პირები (611), სატვირთო ავტომობილის მძღოლები (366), სამოქალაქო ინჟინრები (240) და პროფესიული მომსახურების მენეჯერები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას (210).

დიაგრამა N17: უცხოელი სამუშაო ძალის განაწილება პოზიციის მიხედვით (%).



წყარო: *შრომის სამინისტრო*

იმავე კვლევის თანახმად, უცხოელთა დიდი ნაწილი მშენებლობის, ვაჭრობის და ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმის და პირადი მოხმარების საგნების რემონტის სფეროშია დასაქმებული.

დიაგრამა N18: უცხოელი სამუშაო ძალის განაწილება ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით (%).



წყარო: *შრომის სამინისტრო*

74 http://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/01_GEO/Shroma/kvleva/33.pdf ნანახია: 31.10.2017

უცხოელების 57% თბილისშია დასაქმებული, 31% კი - აჭარაში. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ უცხოელების მიერ დაკავებული პოზიციების უმრავლესობაზე მოითხოვება საშუალო და პროფესიული განათლება. დამსაქმებლის მიერ უცხოური სამუშაო ძალის დასაქმების მიზეზად კი ყველაზე ხშირად ადგილობრივ ბაზარზე არსებული სამუშაო ძალის დაბალი კვალიფიკაცია დასახელდა. ეს ყოველივე კიდევ ერთხელ მიუთითებს პროფესიული განათლების და მისი პოპულარიზაციის მნიშვნელობაზე საზოგადოებაში. უცხოელთა დასაქმების რიგით მეორე მიზეზად დასახელდა სამუშაო ადგილების თავად უცხოელების მიერ შექმნა, რაც ხშირად განაპირობებს მათ დასაქმებას მმართველ პოზიციებზე. [75]

უცხოელ სტუდენტთა ეკონომიკური გავლენის შესახებ მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილში (2017 წ.) წარმოდგენილი კვლევა, რომელიც ISET-ის მიერ 2017 წელს ჩატარდა, აჩვენებს, რომ უცხოელ სტუდენტებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ როგორც ქვეყნის ეკონომიკაში, ასევე ქართული უნივერსიტეტების განვითარებაში. კვლევის თანახმად, საქართველოში უცხოელი სტუდენტების ჯამური წლიური ფინანსური ხარჯი 195,000,000 ლარს აღწევს, რაც საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 0.6 %, ხოლო მომსახურების ექსპორტის 6%-ია. ამასთან, კვლევის მიხედვით, უცხოელი სტუდენტების ძალიან მცირე ნაწილი გეგმავს საქართველოში სწავლის შემდეგ საფეხურზე გაგრძელებას ან სამუშაოდ დარჩენას, რაც მათ სამომავლო გავლენას საქართველოს შრომის ბაზარზე დიდწილად უმნიშვნელოს ხდის. ამასთან, კვლევის მიხედვით, უცხოელი სტუდენტების გარკვეული ნაწილი უკმაყოფილოა სწავლის დაბალი ხარისხით, პრაქტიკული გამოცდილების მიღების შეუძლებლობით და საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის მომსახურებით.

უნივერსიტეტებისთვის უცხოელი სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური მთლიანი წლიური ხარჯების თითქმის 39%-ია, რაც ქართულ უნივერსიტეტებს საშუალებას აძლევს, განახორციელონ მნიშვნელოვანი ინვესტიციები ინფრასტრუქტურასა და ტექნოლოგიებში და განავითარონ ახალი საგანმანათლებლო პროგრამები.[76]

საქართველოში იმიგრანტები არა მხოლოდ სხვადასხვა კვალიფიკაციის სამუშაოებს ასრულებენ, არამედ თავადაც ქმნიან სამუშაო ადგილებს. 2012-2016 წლებში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყო უცხოელების მიერ დაფუძნებული 35,533 შპს, უცხოური იურიდიული პირის ფილიალი, სააქციო საზოგადოება და უცხო ქვეყნის მოქალაქე ინდივიდუალური მეწარმე. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყველა მათგანი დღეის მდგომარეობით მოქმედია და ეწევა სამეწარმეო საქმიანობას.

უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ დაფუძნებული მოქმედი ორგანიზაციების რაოდენობა შესაძლებელია დადგინდეს საქართველოში გადასახადების გადამხდელ იურიდიულ პირთა მიხედვით, რომელსაც ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური აღრიცხავს. შემოსავლების სამსახურის მონაცემებით, 2015-2016 წლებში რეგისტრირებულ გადამხდელთა რაოდენობა,[77] რომელთა ერთ-ერთი დამფუძნებელი მაინც უცხოელი პირია, 3,913-ს შეადგენდა, ხოლო იმავე პერიოდში უცხოური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობა) რაოდენობა 13 იყო. მათგან 2015 წელს 572-ს დაუფიქსირდა გადასახადის გადახდა და ჯამში 15,915 ათას ლარს გადააჭარბა. 2016 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ პირთა რაოდენობა (1,298), რომელთაც გადახდა დაუფიქსირდათ და მათ მიერ გადახდილმა თანხამ 53,191 ათას ლარს გადააჭარბა.

არსებული მონაცემები შრომის ბაზარზე ამ ინვესტიციების გავლენის შესახებ თამამი ვარაუდების გამოთქმის საშუალებას არ იძლევა. მიუხედავად ამისა, საქსტატისთვის კომპანიების მიერ მიწოდებულ დეკლარაციებზე დაყრდნობით, ეკონომიკის სამრეწველო და სამშენებლო სექტორებზე ზოგად დადებით ეფექტზე მაინც შეგვიძლია ვისაუბროთ.[78] ბოლო 7 წლის (2010-

75 http://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/01_GEO/Shroma/kvleva/33.pdf ნანახია: 31.10.2017
76 მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი: უცხოელი სტუდენტები საქართველოში http://bit.ly/2zdm6YA ნანახია: 31.10.2017
77 ეს კატეგორია აერთიანებს გადამხდელებს შემდეგი სამართლებრივი ფორმით: შპს, ამხანაგობა, უცხოური ორგანიზცია, უცხოური საწარმო და სხვა
78 http://geostat.ge/?action=page&p_id=283&lang=geo ნანახია: 31.10.2017

2016 წწ.) მანძილზე უცხოური კომპანიების ხვედრითი წილი სამშენებლო სექტორის წლიურ ბრუნვაში N34 ცხრილშია წარმოდგენილი.

სამშენებლო სექტორში 2011-2012 წლებში საერთო წლიური ბრუნვა თითქმის გაორმაგდა წინა წლებთან შედარებით,[79] რაშიც წვლილი უცხო ქვეყნის მოქალაქეების მფლობელობაში არსებულმა კომპანიებმაც შეიტანეს. 2013 წელს სამშენებლო სექტორის ბრუნვა 1,2 მილიარდი ლარით შემცირდა და მცირედით გაიზარდა 2014 წელს. 2015-2016 წლებში სამშენებლო სექტორის ბრუნვა კვლავ საგრძნობლად გაიზარდა (2015 წელს 1,48 მილიარდი ლარით წინა წელთან შედარებით) და 2016 წელს 5,64 მილიარდ ლარს მიაღწია. ბოლო შვიდი წლის განმავლობაში უცხო ქვეყნის მოქალაქეების მფლობელობაში არსებული კომპანიების ხვედრითი წილი საერთო წლიურ ბრუნვაში გაოთხმაგდა და 11%-დან (2010 წ.) 46,9%-ს (2016 წ.) მიაღწია (იხ. ცხრილი N34).

ცხრილი N34: სამშენებლო სექტორში უცხოურ ფიზიკურ/იურიდიულ პირთა წილი საერთო ბრუნვაში წლების მიხედვით (მილიონი ლარი).

მშენებლობის ბრუნვის მოცულობა			
წელი	საერთო ბრუნვა	უცხოელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი/ები	უცხოელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირ(ებ)ის წილი
2010	1694,5	191,3	11,3%
2011	3348,0	921,7	27,5%
2012	4444,7	1368,1	30,8%
2013	3244,7	1047,2	32,3%
2014	3807,0	1315,3	34,5%
2015	5287,8	2244,4	42,4%
2016	6515,7	3054,3	46,9%

წყარო: *საქსტატი*

2.3. უცხოელთა ინტეგრაცია

იმიგრანტებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ მიმღები ქვეყნის ეკონომიკური, ასევე დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებასა და კულტურის გამრავალფეროვნებაში. შესაბამისად, უცხოელთა ინტეგრაციის პოლიტიკის სწორ დაგეგმვას და განხორციელებას შეუძლია ხელი შეუწყოს ქვეყნის განვითარებას და გაზარდოს ის სარგებელი, რომელიც იმიგრანტებისგან შეიძლება მიიღოს სახელმწიფომ.

საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელებს ისეთივე სოციალური უფლებები აქვთ, როგორიც საქართველოს მოქალაქეებს. კერძოდ, მათ უფლება აქვთ, მიიღონ სახელმწიფო პენსია, სოციალური დახმარება და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სამედიცინო დაზღვევის პაკეტები. 2015 წელს ასეთი სახელმწიფო სერვისებით ისარგებლა 465-მა უცხოელმა, ხოლო 2016 წელს - 552-მა.

საქართველოს შრომის ბაზარი შეიძლება მიჩნეულ იქნეს საკმაოდ ლიბერალურად იმიგრანტებისთვის, რადგან არ არის განსაზღვრული მინიმალური სახელფასო მოთხოვნები და ადგილობრივ დამსაქმებლებს არ აქვთ შეზღუდვები უცხოური სამუშაო ძალის დასაქმებისას.

იმ პირებისთვის კი, რომლებიც საქართველოში ოჯახის გაერთიანების მიზნით შემოდიან, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონით უზრუნველყოფილია D4 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზა და შესაბამისი ტიპის

79 http://geostat.ge/?action=page&p_id=466&lang=geo ნანახია: 31.10.2017

ბინადრობის ნებართვა. აღსანიშნავია, რომ უცხოელ ოჯახის წევრებთან გაერთიანების უფლება აქვთ როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ასევე საქართველოში ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელებს (საქართველოში ოჯახის გაერთიანების მიზნით გაცემული ბინადრობის ნებართვების სტატისტიკა მოცემულია 42-ე გვერდზე, ცხრილი N24).

განათლების მიღების მიზნით ჩამოსულ იმიგრანტებს საშუალება აქვთ, ისწავლონ საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. უცხო ქვეყნის მოქალაქეების შვილები ჩვეულებრივ მიიღებიან საჯარო/კერძო ბაღებსა და სკოლებში. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში კი უცხოელები გათავისუფლებული არიან ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებისგან და მხოლოდ განაცხადისა და გასაუბრების საფუძველზე მიიღებიან (ზოგად და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ უცხოელ მოსწავლეთა/სტუდენტთა სტატისტიკა მოცემულია 46-ე გვერდზე, დიაგრამა N14).

საქართველოს კანონმდებლობა ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებას ითვალისწინებს. უცხოელებს, რომლებიც საქართველოში 5 წლის განმავლობაში უწყვეტად ცხოვრობენ, ასევე საქართველოს მოქალაქეებზე დაქორწინებულ უცხოელებს, რომლებიც მინიმუმ 2 წლის განმავლობაში ცხოვრობენ საქართველოში, უფლება აქვთ, საქართველოს მოქალაქეობა სტანდარტული პროცედურების გავლით მიიღონ; ხოლო უცხოელებს, რომლებსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით საქართველოს წინაშე, ან თუ არსებობს სახელმწიფო ინტერესი, შესაძლებელია საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო გზით მიენიჭოთ (ორმაგი მოქალაქეობა) (ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების სტატისტიკა მოცემულია 45-ე გვერდზე, ცხრილი N27).

რაც შეეხება არადისკრიმინაციულ მოპყრობას, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მეორე თავი კრძალავს „უცხოელთა დისკრიმინაციულ, დამაკნინებელ და დამამცირებელ მოპყრობას“.[80] ხოლო საქართველოში მოქმედი კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ უზრუნველყოფს ნებისმიერი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობას „რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად“.[81]

ბოლოდროინდელი კვლევები მიუთითებენ, რომ საზოგადოება იმიგრანტთა და იმიგრაციის დადებითი მხარეების შესახებ ნაკლებადაა გათვითცნობიერებული. თავის მხრივ, იმიგრანტებიც (მიუხედავად მათთვის მინიჭებული უფლებებისა) არასაკმარისად ინფორმირებული არიან ინტეგრაციის შესაძლებლობებზე, ან თავად არ ინტერესდებიან ამგვარი უფლებების შესახებ ინფორმაციით. თუმცა ორივე შემთხვევაში როგორც მიმღები საზოგადოების, ასევე იმიგრანტთა არასაკმარისი ინფორმირებულობა გარკვეულ სირთულეებს წარმოშობს და არასასურველ ნიადაგს ქმნის ამ უკანასკნელთა წარმატებული ინტეგრაციისათვის.

2017 წელს საია-ს და CIPDD-ის დაკვეთით, CRRC-საქართველოს მიერ ჩატარებული კვლევა მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე აჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობის 79%-ს არასოდეს ჰქონია ურთიერთობა ქვეყანაში ხანგრძლივი ვადით ჩამოსულ უცხოელებთან (უცხოელები, რომლებიც საქართველოში 3 თვეზე მეტი ხნით იმყოფებიან). ეს შეიძლება ნიშნავდეს როგორც იმას, რომ საქართველოში გრძელვადიანი იმიგრანტების რაოდენობა დაბალია, ასევე იმასაც, რომ ისინი ნაკლებად ურთიერთობენ ადგილობრივ მოსახლეობასთან (ძირითადად, ქართული ენის არცოდნის გამო), რაც მათი ინტეგრაციის დაბალ ხარისხზე მიუთითებს.

80 „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონი http://bit.ly/2AST7Yb ნანახია: 31.10.2017

81 საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ http://bit.ly/2jV0Kas ნანახია: 31.10.2017

2016 წელს მსსკ-ს დაკვეთით ACT-საქართველოს მიერ ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობისთვის უცხო ქვეყნის მოქალაქეების საქართველოში ხანგრძლივი ვიზიტის დადებითი მხარეები, ძირითადად, ეკონომიკურ და არა კულტურულ მიზეზებს უკავშირდება - გამოკითხულთა 60% მათ მიერ ადგილზე ფულის ხარჯვას, 42% კი ამ ფულის ქვეყანაში დაბანდებას ასახელებს. რაც შეეხება იმიგრაციის უარყოფით მხარეებს, მოსახლეობა საფრთხეს, ძირითადად, უცხოელების მიერ მიწების შეძენასა და შრომის ბაზარზე კონკურენციის ზრდაში ხედავს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია, შემუშავდეს კონკრეტული მექანიზმები იმიგრანტთა ინტეგრაციისთვის და შეიქმნას ინსტიტუციური ჩარჩო, რომელიც იმუშავებდა საქართველოში ჩამოსულ გრძელვადიან იმიგრანტთა ინტეგრაციაზე.

2.4. საერთაშორისო დაცვა საქართველოში

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ ახალი კანონი, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 თებერვლიდან. ახალი კანონით საქართველოში განისაზღვრა საერთაშორისო დაცვის სამი ფორმა: 1) ლტოლვილის სტატუსი; 2) ჰუმანიტარული სტატუსი; 3) დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი.

2012-2016 წლებში საქართველოში 5,504 თავშესაფრის მაძიებლის განცხადება დარეგისტრირდა. 2016 წელს თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვმა 974 შეადგინა, რაც წინა ორი წლის მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად ნაკლებია (იხ. ცხრილი N35). 2014 წლიდან განსაკუთრებით გაიზარდა თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა ერაყიდან და უკრაინიდან, რაც ამ ქვეყნებში განვითარებული შეიარაღებული კონფლიქტებით აიხსნება. როგორც N35 ცხრილი აჩვენებს, 2012-2016 წლებში შემოსული თავშესაფრის მაძიებელთა განცხადებების ნახევარზე მეტი ერაყის მოქალაქეებზე მოდის. რაც შეეხება სქესობრივ გადანაწილებას, 2012-2016 წლებში საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა უმრავლესობა (65%) მამრობითი სქესის წარმომადგენელია. განსხვავებული მდგომარეობაა მხოლოდ უკრაინის მოქალაქეების შემთხვევაში, სადაც თავშესაფრის მაძიებელთა 38% მამრობითი სქესის წარმომადგენელია, ხოლო 62% - მდედრობითის.

ცხრილი N35: საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადების რაოდენობა ძირითადი წარმოშობის ქვეყნების მიხედვით.

	განაცხადების რაოდენობა					
ძირითადი წარმოშობის ქვეყნები	2012	2013	2014	2015	2016	სულ
ერაყი	438	478	1070	650	259	2,895
უკრაინა	1	2	419	404	54	880
ეგვიპტე	26	79	41	31	73	250
ირანი	41	26	44	25	63	199
სირია	17	60	79	19	21	196
ბანგლადეში	1	9	2	80	69	161
რუსეთი	36	28	30	27	34	155
სხვა	39	35	107	213	374	768
სულ თავშესაფრის მაძიებლები	599	717	1792	1449	947	5504

წყარო: *ლტოლვილთა სამინისტრო*

საქართველო თავშესაფრის მაძიებელ პირებს უზრუნველყოფს დროებითი განთავსებით სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ ცენტრში, რომელიც სოფელ მარტყოფში მდებარეობს. თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის პირველი კორპუსი 60 ადამიანზეა გათვლილი და იგი 2010 წლის ივნისიდან ფუნქციონირებს. 2016 წლის თებერვლიდან ფუნქციონირება დაიწყო თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის მეორე კორპუსმაც, რომელიც გათვლილია 72 ადამიანზე.

თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა დროებითი განთავსების ცენტრში ბოლო ხუთი წლის (2012-2016 წწ.) განმავლობაში 76-დან 121-მდე მერყეობს. ცენტრში განთავსებას, ძირითადად, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მოქალაქეები ითხოვენ (იხ. ცხრილი N36).

ცხრილი N36: თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა დროებითი განთავსების ცენტრში წარმოშობის ქვეყნების მიხედვით.

წარმოშობის ქვეყანა	2012	2013	2014	2015	2016
ერაყი	50	52	31	36	3
ეგვიპტე	2	17	7	9	13
ირანი	11	2	2	13	12
რუსეთი	3	7	4	7	6
აზერბაიჯანი	2	1	5	4	8
ავღანეთი	1	0	1	4	14
სირია	1	1	9	5	0
სხვა	22	12	17	43	31
სულ	92	92	76	121	87

წყარო: *ლტოლვილთა სამინისტრო*

საქართველოში ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა რაოდენობა ბოლო ხუთი წლის (2012-2016 წწ.) განმავლობაში მზარდია. 2016 წლისთვის საქართველოში საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი 1,513 პირი იყო, რაც ოთხჯერ აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს (345). ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობა ბოლო 5 წლის (2012-2016 წწ.) განმავლობაში 297-დან 414-მდე მერყეობს; ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭება საქართველოში 2013 წლიდან დაიწყო და 2016 წელს ასეთი სტატუსის მქონე პირთა რაოდენობამ საქართველოში 1,099-ს მიაღწია (იხ. დიაგრამა N19).

დიაგრამა N19: საქართველოში საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირთა რაოდენობა წლების და სტატუსის მიხედვით.



წყარო: *ლტოლვილთა სამინისტრო*

ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე უარყოფითი გადაწყვეტილებების კოეფიციენტი 2012-2016 წლებში 16%-დან 35%-მდე მერყეობს.

ცხრილი N37: ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე უარების რაოდენობა.

წელი	განაცხადების საერთო რაოდენობა	სულ უარის რაოდენობა / უარის კოეფიციენტი[9] (საერთო რაოდენობის %)
2012	599	94/16%
2013	717	337/47%
2014	1792	362/20%
2015	1449	328/23%
2016	947	336/35%

წყარო: *ლტოლვილთა სამინისტრო*

თავშესაფრის მაძიებლების მიერ ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის ვერ მიღება ხშირად მათი განაცხადების განხილვის შეწყვეტის გამო ხდება. თავშესაფარზე განაცხადების განხილვის შეწყვეტის ძირითადი მიზეზებია: განმცხადებლის გასაუბრებაზე არგამოცხადება და საკუთარი ინიციატივით განცხადების განხილვის შეწყვეტის მოთხოვნა (იხ. ცხრილი N38).

ცხრილი N38: თავშესაფრის განაცხადების შეწყვეტა შეწყვეტის მიზეზის მიხედვით.

წელი	შეწყვეტილი განაცხადების რაოდენობა	შეწყვეტის მიზეზი			
		შეწყდა განმცხადებლის გასაუბრებაზე გამოუცხადებლობის გამო	შეწყდა პირადი განცხადების საფუძველზე	განმ-ცხადებელი დაბრუნდა წარმოშობის ქვეყანაში	განმცხა-დებლის UNHCR-ის გადასახლების პროგრამაში მონაწილეობის გამო
2012	47	13	34	0	0
2013	473	232	241	0	0
2014	387	209	172	1	5
2015	756	342	412	0	2
2016	633	248	385	0	0

წყარო: *ლტოლვილთა სამინისტრო*

2.4.1. საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირთა ინტეგრაცია

საქართველოში ლტოლვილთა ერთ-ერთ ყველაზე დიდ ჯგუფს რუსეთის ფედერაციიდან ლტოლვილები წარმოადგენენ. მათმა უმრავლესობამ 1990-იანი წლების ბოლოს რუსეთის ფედერაციის ჩეჩნეთის რესპუბლიკაში დაწყებული საომარი მოქმედებების შემდეგ მოიპოვა საქართველოში თავშესაფარი. სსგს-ს მონაცემებით, 2015-2016 წლებში სულ 27 ლტოლვილს მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა, რომელთა უმრავლესობა (25) რუსეთის მოქალაქეა.

საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირებისთვის საერთაშორისო მობილობის გამარტივების მიზნით, საქართველო 2009 წლიდან გასცემს ლტოლვილის, ხოლო 2017 წლიდან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა სამგზავრო დოკუმენტებს. სამგზავრო დოკუმენტი უფლებას აძლევს საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირს, იმოგზაუროს საზღვარგარეთ ნებისმიერ ქვეყანაში, გარდა მისი მოქალაქეობის ან მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნისა და იმ ქვეყნებისა, სადაც

82 უარის კოეფიციენტი წარმოადგენს განაცხადების საერთო რაოდენობაში უარების პროცენტს.

საფრთხე ემუქრება პირადად მას და მის ოჯახის წევრებს. 2015 წელს 93, ხოლო 2016 წელს 59 ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტი გაიცა სსგს-ს მიერ და ამ დოკუმენტების უმრავლესობას ერაყის და ირანის მოქალაქეები ფლობენ (იხ. დიაგრამა N20).

დიაგრამა N20: 2015-2016 წლებში გაცემული ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტები.



წყარო: *სსგს*

საქართველოში ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს უფლება აქვთ, ისარგებლონ სახელმწიფო დახმარების პროგრამებით (სოციალური დახმარება და საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული სადაზღვევო პაკეტი). 2015-2016 წლებში სოციალური დახმარების პროგრამით 382-მა, ხოლო - ჯანდაცვის პროგრამით 392-მა პირმა ისარგებლა.

მიუხედავად კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებისა, საქართველოში მყოფი ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები გარკვეულ პრობლემებს აწყდებიან ინტეგრაციის კუთხით. UNHCR-ის და UNDP-ის მიერ 2015 წელს ჩატარებული ერთობლივი კვლევის მიხედვით, მათ მთავარ სირთულეს წარმოადგენს დასაქმება, ქართული (და ზოგჯერ ინგლისური) ენის არცოდნა, განათლებაზე და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა, რაც, როგორც წესი, გამოწვეულია ინფორმაციის არქონით. კვლევის თანახმად, საქართველოში საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი ოჯახებიდან ბაღის ასაკის ბავშვთა 65% არ დადის საბავშვო ბაღში (ძირითადად, ბაღებში ადგილების არარსებობის, სურვილის არქონის, ფინანსური და ენის ბარიერის გამო), ხოლო სკოლის ასაკის ბავშვთა 21% არ დადის სკოლაში (ძირითადად, ფინანსური, ენის ბარიერის და სკოლებში არასაკმარისი ადგილების გამო). მიუხედავად იმისა, რომ მათი დასაქმების/ თვითდასაქმების და პროფესიული განათლების მიღების სურვილი დიდია, ლტოლვილთა მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს (7%) აქვს გავლილი პროფესიული გადამზადების კურსები საქართველოში და აქაც მთავარ მიზეზად ინფორმაციის არქონა ან ქართულის არცოდნა სახელდება.[83]

ამავე კვლევით დადგინდა, რომ ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირების დიდ ნაწილს აქვს საშუალო ან უმაღლესი განათლება, სამუშაო გამოცდილება და სხვადასხვა პროფესიული უნარი. მათ ასევე აქვთ სურვილი, დარჩნენ საქართველოში და ინტეგრირდნენ ადგილობრივ საზოგადოებაში, რაც გასათვალისწინებელია შესაბამისი პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელებისას.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლიდან ლტოლვილთა სამინისტროს ადმინისტრირებით ფუნქციონირება დაიწყო საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ცენტრმა. 100 ბენეფიციარზე გათვლილ ცენტრში საერთაშორისო დაცვის მქონე პირებს შესაძლებლობა აქვთ, შეისწავლონ ქართული ენა, გაეცნონ საქართველოს კანონმდებლობის საბაზისო პრინციპებს, ქვეყნის მოკლე

83 http://www.refworld.org/docid/575519054.html ნანახია: 31.10.2017

ისტორიასა და კულტურულ თავისებურებებს, რაც ხელს შეუწყობს მათი შემდგომი ინტეგრაციის პროცესს. ცენტრში ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს კონსულტაციას უწევენ და აწვდიან ინფორმაციას იმ სახელმწიფო პროგრამების შესახებ, რომლებსაც მათ შრომის და განათლების სამინისტროები დასაქმების კუთხით სთავაზობენ. ინტეგრაციის ცენტრის კეთილმოწყობა და საჭირო ინვენტარით აღჭურვა UNHCR-ის ფინანსური დახმარებით მოხდა, ხოლო მისი ადმინისტრირება და ინტეგრაციის პროგრამების განხორციელება ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.

2.5. კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელები

2.5.1. კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელების გამოვლენა

შსს-ს მონაცემებით, 2012-2016 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეთა კანონიერი საფუძვლის გარეშე ყოფნის სულ 19,117 შემთხვევა გამოვლინდა. აღნიშნული სტატისტიკა მოიცავს იმ უცხოელებს, რომლებიც კანონიერად ყოფნის ვადის ამოწურვის შემდეგ დარჩნენ ქვეყანაში და არ მოიცავს იმ პირებს, რომლებმაც არალეგალურად გადმოკვეთეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი. როგორც N39 ცხრილი გვიჩვენებს, ასეთი შემთხვევების ყველაზე მაღალი რიცხვი (7,938) 2015 წელს დაფიქსირდა, რაც ნაწილობრივ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ახალი კანონის ამოქმედებით და უცხოელთა საქართველოში შემოსვლის/ყოფნის ვადების და საფუძვლების შეცვლით იყო განპირობებული.

ცხრილი N39: საქართველოში გამოვლენილი კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელების რაოდენობა ძირითადი მოქალაქეობის ქვეყნების მიხედვით (2012-2016 წწ.).

	რაოდენობა					
მოქალაქეობის ქვეყანა	2012	2013	2014	2015	2016	სულ
რუსეთი	1,339	1,357	1,225	1,926	399	6,246
თურქეთი	175	215	329	1,122	135	1,976
ჩინეთი	204	194	423	594	521	1,936
ირანი	85	280	617	266	309	1,557
აზერბაიჯანი	0	1	175	1,136	197	1,509
სომხეთი	0	0	62	1,089	286	1,437
ინდოეთი	99	107	157	192	269	824
სხვა	210	387	582	1,613	840	3,632
სულ	2,112	2,541	3,570	7,938	2,956	19,117

წყარო: *შსს*

ამ ჯგუფში უცხოელთა უმრავლესობას წარმოადგენენ რუსეთის მოქალაქეები (6,246), ხოლო, მომდევნო ადგილებს იკავებენ თურქეთის, ჩინეთის, ირანის, აზერბაიჯანის, სომხეთის და ინდოეთის მოქალაქეები. სწორედ ამ შვიდი ქვეყნის მოქალაქეები შეადგენენ ბოლო ხუთი წლის (2012-2016 წწ.) განმავლობაში საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელების 80%-ზე მეტს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნების მოქალაქეები ასევე წარმოადგენენ საქართველოში ლეგალურად მყოფ იმიგრანტთა ყველაზე დიდ ჯგუფებსაც.

2.5.2. კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელების გაძევება

2014 წლის სექტემბერში შსს-ს სისტემაში შეიქმნა მიგრაციის დეპარტამენტი, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფ უცხოელთა აღმოჩენასა და ქვეყნიდან გაძევებაზე არის პასუხისმგებელი. შსს-ს მონაცემებით, 2015 წელს საქართველოდან გაძევებული იქნა 44, ხოლო 2016 წელს 74 უცხო ქვეყნის მოქალაქე. N40 ცხრილში წარმოდგენილია 2015-2016 წლებში საქართველოდან გაძევების შესახებ აღსრულებული გადაწყვეტილებების რაოდენობა, გაძევებულთა მოქალაქეობის ქვეყნების მიხედვით.

ცხრილი N40: აღსრულებული გაძევების გადაწყვეტილებები 2015-2016 წლებში გაძევებულთა ძირითადი მოქალაქეობის ქვეყნების მიხედვით.

მოქალაქეობა	2015 წელი	2016 წელი	სულ
რუსეთი	4	7	11
ნიგერია	8	2	10
ინდოეთი	6	3	9
სომალი	0	9	9
სომხეთი	1	7	8
თურქეთი	0	8	8
აზერბაიჯანი	1	6	7
ირანი	3	4	7
ნეპალი	6	0	6
შრი-ლანკა	0	6	6
უზბეკეთი	4	1	5
კამერუნი	1	4	5
ავღანეთი	1	4	5
სხვა ქვეყნები	9	13	22
სულ	44	74	118

წყარო: *შსს*

შსს-ს მიგრაციის დეპარტამენტის სტრუქტურაში ასევე შედის 92 პირზე გათვლილი დროებითი განთავსების ცენტრი, რომელშიც გაძევებას დაქვემდებარებული უცხოელები გაძევების გადაწყვეტილების აღსრულებამდე იმყოფებიან.

3. დაბრუნება და რეინტეგრაცია

3.1. დაბრუნებითი მიგრაცია

საქართველოში დაბრუნებით მიგრაციაზე მონაცემების მიღება რამდენიმე წყაროდან ხდება, თუმცა ეს მონაცემები ფრაგმენტულია და ნაკლებად ასახავს დაბრუნებითი მიგრაციის სრულ სურათს. მოცემულ თავში განხილულია ევროსტატის, შსს-ს, ლტოლვილთა სამინისტროს და IOM-ის მონაცემები დაბრუნებითი მიგრაციის შესახებ. ყველა მათგანი აღრიცხავს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფი ემიგრანტების დაბრუნების შემთხვევებს.

ევროსტატის მონაცემებით, 2016 წელს საქართველოში ევროკავშირის 28 ქვეყნიდან 3,365 საქართველოს მოქალაქე დაბრუნდა [ევროკავშირის ტერიტორიის] დატოვების განკარგულების

შესაბამისად. როგორც N21 დიაგრამა აჩვენებს, 2008 წელთან შედარებით დაბრუნებულთა რიცხვი გაზრდილია, თუმცა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში სურათი ამ მხრივ დიდად არ შეცვლილა. 2016 წელს მიგრანტთა ყველაზე დიდი რაოდენობა (1,215) გერმანიიდან დაბრუნდა.

დიაგრამა N21: ევროკავშირის 28 ქვეყნიდან დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა წლების მიხედვით.



წყარო: *ევროსტატი (მონაცემები ნანახია 31.10.2017)*

„საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების“ 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2016 წლის ივნისიდან 2017 წლის 31 მარტის ჩათვლით, 460 დაბრუნებული მიგრანტის მიმართვა დაფიქსირდა. ყველაზე ხშირად სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამას მიმართავდნენ საბერძნეთიდან (103), გერმანიიდან (88) და რუსეთიდან (78) დაბრუნებული მიგრანტები.

IOM-ს, რომელიც სარეინტეგრაციო პროგრამებს ლტოლვილთა სამინისტროსთან ერთად მობილურობის ცენტრების მეშვეობით ახორციელებდა, 2015 წელს 1,505-მა ადამიანმა მიმართა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საბერძნეთიდან (612), რუსეთიდან (148) და გერმანიიდან (121) დაბრუნებული მიგრანტები იყვნენ. 2016 წელს კი მობილურობის ცენტრებს 1,173-მა დაბრუნებულმა მიგრანტმა მიმართა, რომელთა დიდი ნაწილი ასევე საბერძნეთიდან (476), რუსეთიდან (133) და გერმანიიდან (161) დაბრუნებული მიგრანტები იყვნენ.

IOM-ის ნებაყოფლობითი დაბრუნების და რეინტეგრაციის (AVRR) პროგრამა, რომელიც ემიგრანტებს სამშობლოში ნებაყოფლობით დაბრუნებაში ეხმარება, საქართველოში 2003 წლიდან მოქმედებს. 2003 წლიდან 2017 წლის მარტის ჩათვლით ამ პროგრამის ფარგლებში საქართველოში 5,453 მოქალაქე დაბრუნდა. მათი უმრავლესობა შემდეგი ქვეყნებიდანაა: საბერძნეთი (2,512), პოლონეთი (699), შვეიცარია (473), ბელგია (398), ლატვია (264) და გაერთიანებული სამეფო (212).

არსებული კვლევების მიხედვით, საქართველოს მოქალაქეების მიერ სამშობლოში დაბრუნების ყველაზე ხშირ მიზეზად ნოსტალგია სახელდება. 2016 წელს მსსკ-ს დაკვეთით ACT-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ დაბრუნებული მიგრანტების 33% დაბრუნების მიზეზად საქართველოს და/ან ოჯახის მიმართ ნოსტალგიას ასახელებს. OECD-ის კვლევის მიხედვით, რომელიც 2014 წელს ჩატარდა, დაბრუნებულ მიგრანტთა უმრავლესობა დაბრუნების მიზეზად ასახელებს იმას, რომ უპირატესობას საქართველოში ცხოვრებას ანიჭებს. იმავე კვლევის მიხედვით, დასაქმების და ინვესტიციის შესაძლებლობები, როგორც საქართველოში დაბრუნების მიზეზი, იშვიათად სახელდება დაბრუნებული მიგრანტების მიერ.[84]

84 http://bit.ly/2kvRdGt ნანახია: 31.10.2017

3.1.1. რეადმისია

„საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების“ გარდა, რეადმისიის ხელშეკრულებები საქართველოს გაფორმებული აქვს უკრაინასთან, შვეიცარიასთან, ნორვეგიასთან, დანიასთან, მოლდოვასთან, ბელარუსთან და ისლანდიასთან. ბოლო ხუთი წლის (2012-2016 წწ.) განმავლობაში საქართველოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა რეადმისიის თაობაზე მიღებული განაცხადების 95%. რეადმისიის შესახებ განაცხადების უმრავლესობა მიღებულია გერმანიიდან, საბერძნეთიდან, საფრანგეთიდან, ბელგიიდან და ესპანეთიდან (იხ. ცხრილი N41).

ცხრილი N41: რეადმისიის შეთანხმების ფარგლებში დაბრუნებული პირების რაოდენობა დაბრუნების ქვეყნების მიხედვით (2012-2016 წწ.).

ქვეყანა/წელი	2012	2013	2014	2015	2016	სულ
გერმანია	194	225	344	411	793	1967
საბერძნეთი	164	174	193	168	128	827
საფრანგეთი	33	162	200	196	164	755
ბელგია	71	124	103	61	64	423
ესპანეთი	66	46	61	108	95	376
შვედეთი	53	54	73	94	87	361
ავსტრია	123	54	26	24	80	307
ლიტვა	73	81	44	37	3	238
ნიდერლანდები	41	44	43	32	70	230
იტალია	48	42	24	58	43	215
შვეიცარია	-	-	25	106	78	209
სხვა ქვეყნები	63	74	77	80	76	370
სულ	929	1080	1213	1375	1681	6278

წყარო: *შსს*

3.2. დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეთა რეინტეგრაცია

2015 წლიდან სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მხარდამჭერი პროგ-რამები სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მეშვეობით ყოველწლიურად ხორციელდება[85].

2016 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2016 წლის ივნისიდან 2017 წლის 31 მარტის ჩათვლით 460 დაბრუნებული მიგრანტის მიმართვა აღირიცხა, საიდანაც ბენეფიციარად 398 დარეგისტრირდა. მათგან 46.5% - ქალი, ხოლო 53.5% კაცი იყო. რეგისტრირებულ ბენეფიციართა თითქმის ნახევარი (45%) 26-დან 40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება, ხოლო 39%-ის ასაკი 41-დან 60 წლამდე მერყეობს. დაბრუნების ქვეყნების მიხედვით, საბერძნეთი პირველ ადგილზეა (24%), შემდეგ მოდიან გერმანია (20%), რუსეთი (16%) და თურქეთი (9%). პირველ ათეულში ასევე არიან შვედეთი, იტალია, საფრანგეთი, ერაყი, უკრაინა და ავსტრია. ბენეფიციართა 64% ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან ნებაყოფლობით დაბრუნდა, 23% დაბრუნებულ იქნა იძულებით, ხოლო 13% საქართველო-ევროკავშირს შორის გაფორმებული „უნებართვოდ

85 http://www.mra.gov.ge/geo/static/8769 ნანახია: 31.10.2017

მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ ხელშეკრულების“ საფუძველზე დაბრუნდა. ყველაზე მაღალი მომართვიანობა თბილისში (43%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (16%) დაფიქსირდა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში 128 დაბრუნებულ მიგრანტს დაუფინანსდა სოციალური პროექტი (თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით), 49-ს დაუფინანსდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ხარჯები, 30 ბენეფიციარი ჩაერთო პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაში, ხოლო 12 ბენეფიციარს დაუფინანსდა იურიდიული დახმარება.

დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, მობილურობის ცენტრები[86] მიგრანტებს დახმარებას უწევდნენ დაბრუნების პროცესში, ტრანსპორტირებაში, დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფაში, ასევე სამედიცინო დახმარების მიღებაში (კონსულტაცია და მომსახურება), პროფესიულ მომზადება/გადამზადებაში (მათ შორის, კონსულტაცია, დაფინანსება და დასაქმების ხელშეწყობა) და სამეწარმეო საქმიანობაში (მათ შორის, კონსულტაცია, ტრენინგები, ბიზნესგეგმის შემუშავება და გრანტები).

2015-2016 წლებში მობილურობის ცენტრებს 2,678-მა ადამიანმა მიმართა, საიდანაც ბენეფიციარად 794 დარეგისტრირდა. მათგან 720 პირს გაეწია დახმარება (იხ. ცხრილი N42). რეგისტრირებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი საბერძნეთიდან (43%), რუსეთიდან (11%) და გერმანიიდან (9%) დაბრუნებული მიგრანტია.

ცხრილი N42: დაბრუნებული მიგრანტებისთვის მობილურობის ცენტრების მიერ 2015 და 2016 წლებში გაწეული დახმარება.

დახმარების ფორმა	რაოდენობა 2015	რაოდენობა 2016
სამედიცინო კონსულტირება	102	83
სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების დაფინანსება	40	39
საცხოვრისით უზრუნველყოფა/საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება	116	137
კონსულტირება პროფესიული სწავლების საკითხებზე	110	49
პროფესიული სწავლების დაფინანსება/თანადაფინანსება	29	15
ბიზნეს-კონსულტირება	336	124
ბიზნეს-გრანტი	127	40
დაქირავებით დასაქმების ხელშეწყობა	32	16
თვითდასაქმების ხელშეწყობა (ხელსაწყოების შეძენა)	84	44
ბენეფიციართა რაოდენობა, ვისაც გაეწია დახმარება	429	291

წყარო: *ლტოლვილთა სამინისტრო*

როგორც N42 ცხრილიდან ჩანს, დაბრუნებულთა ყველაზე მოთხოვნადი სერვისი ბიზნეს-კონსულტაციაა. OECD-ის კვლევის თანახმად, დაბრუნებული მიგრანტები მიდრეკილი არიან ინვესტირების (მათ შორის, სოფლის მეურნეობაში), ბიზნესის დაწყების და თვითდასაქმებისკენ, რაც ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ სხვა ქვეყნებიდან ისინი ბრუნდებიან როგორც დანაზოგით, ასევე ახალი ცოდნით და უნარებით, რაც მათ თვითდასაქმებაში და ბიზნესის განვითარებაში ეხმარება.[87]

86 IOM-ი სარეინტეგრაციო პროგრამებს ლტოლვილთა სამინისტროსთან ერთად, მობილურობის ცენტრების მეშვეობით ახორციელებს. მობილურობის ცენტრების პროექტი 2014-2017 წლებში ფინანსდებოდა ევროკავშირის პროგრამით - „მეტი მეტისთვის“. პროექტის დასრულების შემდეგ მობილურობის ცენტრის ეს ფუნქცია და მათ მიერ გაწეული დახმარების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს გადაეცა.

87 http://bit.ly/2kvRdGt ნანახია: 31.10.2017

4. შიდა მიგრაცია

საქართველოში შიდა მიგრაცია, ძირითადად, გამოწვეულია შეიარაღებული კონფლიქტებით, სტიქიური მოვლენებით და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით. შესაბამისად, შიდა მიგრანტების ძირითადი ნაწილი საქართველოში იმ პირებისგან შედგება, ვინც იძულებული იყო, შეიარაღებული კონფლიქტის გამო დაეტოვებინა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები (იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები) აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან) ან ეკოლოგიური საფრთხის გამო მიატოვა თავისი საცხოვრებელი ადგილი (ეკომიგრანტები), ან სოციალურ-ეკონომიკური მიზეზების გამო სოფლიდან ქალაქში და ქალაქიდან სოფლად გადავიდა საცხოვრებლად.

4.1. იძულებით გადაადგილებული პირები

საქართველოში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები) ორი ძირითადი ჯგუფისაგან შედგება: იძულებით გადაადგილებულ პირთა პირველი ტალღა, რომლებმაც 1991-1993 წლებში თავიანთი ნების საწინააღმდეგოდ დატოვეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიები, და მეორე ტალღა, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირები იმავე რეგიონებიდან. ლტოლვილთა სამინისტროს მონაცემების თანახმად, რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) საერთო რაოდენობა 2016 წლისთვის დაახლოებით 268,000-ს შეადგენდა (იხ. ცხრილი N43), რაც მთელი საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 7%-ია. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა თითქმის 10-ჯერ აღემატება ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობას. ამასთან, გენდერული განაწილების მხრივ, აფხაზეთიდან ოდნავ მეტი იძულებით გადაადგილებული (დევნილი) ქალია (54%), ვიდრე მამაკაცი (46%), ხოლო ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის ქალებისა და მამაკაცების რაოდენობა თითქმის თანაბარია. რაც შეეხება იძულებით გადაადგილებულ პირთა ასაკობრივ შემადგენლობას, ორივე შემთხვევაში, უფრო დიდ ასაკობრივ ჯგუფებს შეადგენდნენ - 18 წლამდე ასაკის და საშუალო ასაკის (41-65 წლის) პირები.

ცხრილი N43: ოკუპირებული აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები), გენდერული და ასაკობრივი მახასიათებლების მიხედვით.

წელი	იძულებით გადა-ადგილებულ პირთა რაოდენობა	იძულებით გადა-ადგილებული ოჯახების რაოდენობა	გენდერი		ასაკობრივი გადანაწილება				
აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები									
			ქალი	მამაკაცი	<18	18-25	26-40	41-65	65<
2015	237,124	77,492	127,898	109,226	65,747	22,193	47,961	72,556	28,667
2016	242,443	78,507	130,442	112,001	71,108	22,363	48,609	72,908	27,455
ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები									
2015	25,531	8,901	12,853	12,678	6,819	2,539	5,404	7,329	3,440
2016	25,976	8,966	13,090	12,886	7,319	2,554	5,467	7,354	3,282

წყარო: *ლტოლვილთა სამინისტრო*

2016 წლის მონაცემებით, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა 56% კომპაქტურ დასახლებებში, ხოლო 44% კერძო საცხოვრებლებში ცხოვრობს. 2014 წელთან შედარებით (56%), კერძო საცხოვრებელში მცხოვრები პირების წილი ოდნავ შემცირებულია. ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა შემთხვევაში, 27% - კომპაქტურ დასახლებებში და 73% - კერძო საცხოვრებლებში ცხოვრობს. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ სურათი მკვეთრად შეიცვალა და 2014 წელთან შედარებით 2016 წელს 35%-ით მეტი ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი ცხოვრობდა კერძო საცხოვრებელში, რაც, სავარაუდოდ, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის შედეგია, რომელიც 2013 წლიდან ლტოლვილთა სამინისტროს მიერ ხორციელდება.

რეგიონული გადანაწილების მხრივ, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობა თბილისში ან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეზობელ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონშია კონცენტრირებული. ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ძირითადი ნაწილი მცხეთა-მთიანეთის რეგიონში და ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მომიჯნავე შიდა ქართლის რეგიონშია განსახლებული.

ცხრილი N44: აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები განსახლების რეგიონების მიხედვით (2015-2016 წწ.).

	განსახლების რეგიონი										
წელი	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთა-მთიანეთი	რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი	სამეგრელო, ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი
აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები											
2015	97,670	6,480	486	24,801	1,227	1,289	839	85,020	2,297	9,291	7,724
2016	100,426	6,706	496	25,335	1,235	1,332	825	86,212	2,353	9,544	7,979
ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები											
2015	2,842	21	8	355	254	9,661	2	78	15	3,305	8,990
2016	2,954	24	8	357	257	9,715	2	80	16	3,384	9,179

წყარო: *ლტოლვილთა სამინისტრო*

ამასთან, 2016 წლის განმავლობაში 3000-ზე მეტმა იძულებით გადაადგილებულმა პირმა ისარგებლა სხვადასხვა სახის საარსებო წყაროების პროგრამებით, რომელთა მიზანია დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და შრომის ბაზარზე უკეთესი წვდომის ხელშეწყობა. ხსენებული პროგრამები მოიცავდა ისეთ ღონისძიებებს როგორიცაა: კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები და საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის ხელშეწყობა დასაქმების უზრუნველსაყოფად; სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის და მიკრო/მცირე ბიზნესის წამოწყების ან განვითარების წახალისება თანადაფინანსების გრანტების გაცემის გზით და დევნილთა ჩართულობა კოოპერატივების დახმარების პროგრამებში.

4.2. ეკოლოგიური მიგრანტები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ახორციელებს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული (ეკომიგრანტი) ოჯახების განსახლებას. 2014 წლის 1 ივნისიდან სამინისტროში მოქმედებს ეკომიგრანტთა საკითხების დეპარტამენტი, რომლის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს ეკომიგრანტი ოჯახების განსახლების პროცესის მართვა.

2016 წლიდან სამინისტროში ამოქმედდა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული (ეკომიგრანტი) ოჯახების მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზა, რომელშიც რეგისტრირებულია 5000-მდე ოჯახი.

2004-2016 წლების განმავლობაში, სამინისტრომ საცხოვრებლით უზრუნველყო სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული 1,345 ოჯახი. დაზარალებული ოჯახებისათვის სახლების შესყიდვა ხდება როგორც ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით, ასევე დონორთა დაფინანსებით. 2015-2016 წლებში ამ მიზნით მობილიზებულ იქნა 5,375,000 ლარი და შესყიდულ იქნა 233 საცხოვრებელი სახლი, მათ შორის, 140 - 2015 წელს, ხოლო 93 – 2016 წელს. როგორც N45 ცხრილი აჩვენებს, ბოლო ორი წლის (2015-2016 წწ.) განმავლობაში ეკომიგრანტებისთვის გამოყოფილი საერთო დაფინანსება მნიშვნელოვნად აღემატება წინა წლებში არსებულ დაფინანსებას.

ცხრილი N45: ეკომიგრანტთა ალტერნატიული საცხოვრებლის შესაძენად გამოყოფილი სახსრები (2012-2016 წწ.).

წელი	საერთო დაფინანსება (ლარი, ათასი)	სახელმწიფო ბიუჯეტი (ლარი, ათასი)	დაფინანსების სხვა წყაროები (ლარი, ათასი)	შესყიდული საცხოვრებლების საერთო რაოდენობა
2012	231.4	0	231.4	12
2013	647.8	647.8	0	33
2014	678.8	601.3	77,5	36
2015	2787.5	1800.0	987.5	140
2016	2250	2250	0	93
სულ	6595.5	5299.1	1296.4	314

წყარო: *ლტოლვილთა სამინისტრო*

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 მაისის N996 განკარგულებით დაიწყო პროექტი, რომლის მიზანიცაა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იმ უძრავი ქონების კერძო საკუთრებაში გადაცემა, რომელიც სარგებლობაში იყო გადაცემული ეკომიგრანტი ოჯახებისათვის. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 2016 წლის მდგომარეობით 300-ზე მეტ ოჯახს გადაეცა საკუთრებაში საცხოვრებელი სახლი, მათ შორის, წალკის, ნინოწმინდის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, აჭარის ა/რ მთავრობასა და სამინისტროს შორის 2016 წელს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, იმავე წელს აჭარის ა/რ ტერიტორიაზე დაზარალებული 96 ოჯახისათვის უსაფრთხო გარემოში შესყიდულ იქნა ახალი საცხოვრებელი სახლები.

4.3. ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე განვითარებული შეიარაღებული კონფლიქტების და რუსეთის ფედერაციის მიერ ამ ტერიტორიების ოკუპაციის შემდეგ შეუძლებელია იქ მცხოვრები მოსახლეობის ზუსტი რაოდენობის დადგენა და ზოგადად, დემოგრაფიული სიტუაციის აღწერა. პერიოდულად აღირიცხება მხოლოდ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის, საქართველოს რეგიონების მიხედვით.

საქართველოს მთავრობის მიზანია, ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის / სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის უზრუნველყოს ის უფლებები და პრივილეგიები, რომლითაც სარგებლობს საქართველოს ყოველი მოქალაქე.[88] ამისთვის საქართველოს მთავრობამ, ოკუპირებული აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების მოსახლეობის საქართველოსთან კავშირის შენარჩუნების და მათი სოციალური უფლებების რეალიზების მიზნით, 2011 წლიდან პირადობის ნეიტრალური მოწმობების და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტების გაცემა დაიწყო. ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი საოკუპაციო ხაზს მიღმა მცხოვრებ პირებს საშუალებას აძლევს, რუსეთის ფედერაციის და საქართველოს მოქალაქის პასპორტების მიღების გარეშე იმოგზაურონ საზღვარგარეთ; ხოლო ნეიტრალური პირადობის მოწმობა მათ საშუალებას აძლევს, გადაადგილდნენ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე და ისარგებლონ სახელმწიფო სერვისებით. ორივე დოკუმენტს გასცემს სსგს. საქართველოს მიერ გაცემული ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტები არ შეიცავს ბიომეტრიულ მონაცემებს. ამასთან, იგი როგორც სამგზავრო დოკუმენტი აღიარებულია მსოფლიოს 12 ქვეყანაში,[89] მათ შორის, ევროკავშირის წევრ 9 სახელმწიფოში.

ცხრილი N46: 2015-2016 წლებში საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებზე გაცემული პირადობის ნეიტრალური მოწმობები და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტები.

ბინადრობის ადგილი	სამგზავრო დოკუმენტი	პირადობის მოწმობა	მამაკაცი	ქალი	სულ
აფხაზეთი	11	57	25	43	68
ცხინვალის რეგიონი/ სამხრეთ ოსეთი	-	3	-	3	3
სულ	11	60	25	46	71

წყარო: *სსგს*

როგორც N46 ცხრილშია ნაჩვენები, პირადობის ნეიტრალური მოწმობა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს ოკუპირებული აფხაზეთის, ვიდრე ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთა შორის. ნეიტრალურ დოკუმენტებზე ყველაზე მაღალი მოთხოვნა 2012 წელს დაფიქსირდა და თითქმის თანაბრად იყო გადანაწილებული სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. ამასთან, გაზრდილი მოთხოვნა, ძირითადად, პირადობის ნეიტრალური მოწმობების გაცემაზე შეინიშნებოდა და არა სამგზავრო დოკუმენტებზე, რაც, სავარაუდოდ, განპირობებული იყო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შემოღებით და ამ პირების პროგრამაში ჩართვით.

88 სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ „ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ http://bit.ly/2B1J7x9 ნანახია: 31.10.2017

89 აშშ, იაპონია, ისრაელი და ევროკავშირის 9 ქვეყანა: რუმინეთი, პოლონეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, სლოვაკეთი, ჩეხეთი, ესტონეთი, ლატვია და ლიტვა.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით, საქართველოს მთავრობამ საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებშიც გახსნა საზოგადოებრივი ცენტრები[90], სადაც ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებსაც აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ საჯარო და კერძო სექტორის 200-ზე მეტი სერვისით.

4.4. მიგრაცია სოფლიდან ქალაქში - ქალაქიდან სოფელში

აღწერათაშორის პერიოდში (2002-2014 წწ.) მოსახლეობის შემცირება უფრო მეტად სასოფლო ტიპის დასახლებებმა განიცადა: სოფელში მოსახლეობის კლებამ ამ პერიოდში 23,7% შეადგინა, მაშინ როდესაც ქალაქის მოსახლეობის კლება 7,1%-ია. შედეგად, მნიშვნელოვნად შეიცვალა ქალაქი/სოფლის სტრუქტურაც: ქალაქის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში თითქმის 5%-ით, 52,3%-იდან 57,2%- მდე გაიზარდა. როგორც N22 დიაგრამა აჩვენებს, მოსახლეობის კლების ტენდენცია სოფლებში 2015 წლის 1 იანვრის შემდეგაც გრძელდება.

დიაგრამა N22: მოსახლეობის რიცხოვნობა წლების მიხედვით (1 იანვრისთვის) ქალაქის და სოფლის ტიპის დასახლებებში (ათასი კაცი).



წყარო: *საქსტატი*

საქსტატის მონაცემებით, მოსახლეობის რიცხოვნობა 2002-2014 წლებში 2.5 %-ით გაიზარდა თბილისში, ხოლო მნიშვნელოვნად (20%-ზე მეტით) არის შემცირებული რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის (37,4%) და სამეგრელო-ზემო სვანეთის (29%) რეგიონებში. თბილისში მოსახლეობის ზრდის, ხოლო ამ რეგიონებში კლების ტენდენცია 2015 წლის შემდეგაც გრძელდება (იხ. ცხრილი N47).

90 აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიების მახლობლად ამჟამად მოქმედებს 5 საზოგადოებრივი ცენტრი, რომელსაც ადმინისტრირებას უწევს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. ესენია: 1) გორის მუნიციპალიტეტის სოფელი მეჯვრისხევი (გაიხსნა - 09.12.2014); 2) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელი ორსანტია (გაიხსნა - 13.07.2015) 3); ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელი რუხი (გაიხსნა - 20.02.2016); 4) გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ტყვიავი (გაიხსნა - 08.09.2016); 5) ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი ბერძენაული (გაიხსნა - 30.09.2016). დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: http://centri.gov.ge/ge/ ნანახია: 31.10.2017

ცხრილი N47: მოსახლეობის რიცხოვნობა ყოველი წლის 1 იანვრისთვის ქალაქის და სოფლის ტიპის დასახლებებში რეგიონების მიხედვით (ათასი კაცი)[91].

ქალაქი/რეგიონი	2015			2016			2017		
	სულ	ქალაქი	სოფელი	სულ	ქალაქი	სოფელი	სულ	ქალაქი	სოფელი
თბილისი	1,108.9	1,078.5	30.4	1,113.0	1,082.4	30.6	1,114.6	1,083.8	30.8
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	334.3	185.0	149.3	337.0	186.7	150.3	339.0	187.8	151.2
გურია	113.3	31.9	81.4	113.0	31.8	81.2	112.6	31.7	80.9
იმერეთი	533.6	258.5	275.1	532.9	258.5	274.4	529.7	257.3	272.4
კახეთი	318.4	71.4	247.0	318.4	71.3	247.1	317.5	70.9	246.6
მცხეთა-მთიანეთი	94.5	21.2	73.3	94.2	21.0	73.2	93.8	20.8	73.0
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	32.0	7.0	25.0	31.5	6.9	24.6	31.0	6.9	24.1
სამეგრელო-ზემო სვანეთი	330.5	129.3	201.2	329.7	128.8	200.9	328.3	128.0	200.3
სამცხე-ჯავახეთი	160.6	54.7	105.9	160.5	54.6	105.9	160.6	54.7	105.9
ქვემო ქართლი	424.2	180.2	244.0	426.4	181.1	245.3	427.4	181.4	246.0
შიდა ქართლი	263.4	105.2	158.2	263.8	105.4	158.4	263.7	105.3	158.4

წყარო: *საქსტატი*

2002-2014 წლებში მოსახლეობის შემცირება ყველაზე ნაკლებად აჭარის ავტონომიურ რესპუბ-ლიკას შეეხო, 2015 წლის შემდგომი გამოთვლები კი აჭარაში მოსახლეობის ზრდაზე მიუთითებს.

5. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[1] მუხლის თანახმად, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) განიმარტება, როგორც „ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ან/და სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ან/და მიღება ექსპლუატაციის მიზნით“.[92]

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კუთხით წარმოშობის, სატრანზიტო და დანიშნულების ქვეყანას წარმოადგენს. ბოლო 2 წლის განმავლობაში

91 http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=1183&lang=geo ნანახია: 31.10.2017. 2015 წლის პირველი იანვრისთვის მოსახლეობის რიცხოვნობის გაანგარიშების საფუძველს წარმოადგენს 2014 წლის აღწერის წინასწარი შედეგები; ხოლო 2016 და 2017 წლის 1 იანვრისთვის მოსახლეობის რიცხოვნობა გაანგარიშებულია 2014 წლის აღწერის მონაცემებისა და ყოველწლიური ბუნებრივი მატების საფუძველზე.

92 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (1999 წ.) https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426 ნანახია: 31.10.2017

საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) საბრძოლველად, რის შედეგადაც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ 2016 წლის ანგარიშში საქართველომ მეორე კალათიდან პირველში გადაინაცვლა და იგივე კალათა შეინარჩუნა 2017 წლის ანგარიშშიც.[93] ამავე ანგარიშის მიხედვით, საქართველომ პროგრესს მიაღწია შემთხვევათა პროაქტიული გამოძიების, ბავშვთა ძალადობის რეფერალური მექანიზმების გაძლიერების, მსხვერპლთა დაცვის და ინფორმაციული კამპანიების წარმოების კუთხით. 2016 წლის ანგარიშში ხაზგასმულია საქართველოს მთავრობის ძალისხმევა, რომელიც 2015 წელს მიმართული იყო ადამიანით ვაჭრობასთან ბრძოლაში ჩართული უწყებების თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებისკენ, შრომითი პირობების ინსპექტირების ინსტიტუტის და მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვისკენ.[94]

ტრეფიკინგის მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, რომელიც წარმოადგენს შრომის სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულს, ტრეფიკინგის მსხვერპლებს და დაზარალებულებს სთავაზობს ისეთ მომსახურებებს, როგორიცაა თავშესაფრით, სამედიცინო, იურიდიული და ფსიქოლოგიური დახმარებით უზრუნველყოფა. ფონდი ბენეფიციარებს ასევე სთავაზობს ერთჯერად კომპენსაციას, რეაბილიტაციის, რეინტეგრაციის პროგრამებს და კრიზისული ცენტრით მომსახურების სერვისსაც.[95]

ბოლო 5 წლის (2012-2016 წწ.) განმავლობაში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევათა გამოძიებების რაოდენობა წელიწადში 10-ს (2012 წ.) და 20-ს (2016 წ.) შორის მერყეობდა. N48 ცხრილში მოცემულია მონაცემები გამოძიების, ტრეფიკინგის საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნის, გამოტანილი განაჩენების და მსჯავრდებულთა რაოდენობის შესახებ.

ცხრილი N48: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის სტატისტიკა.

	2012	2013	2014	2015	2016
გამოძიება	10	11	13	18	20
პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა	1	5	5	5	1
სასამართლოში გადაგზავნილი საქმეები	1	4	4	3	0
გამოტანილი განაჩენი	1	2	4	3	2
მსჯავრდებულთა რაოდენობა	1	2	6	3	4

წყარო: *ტრეფიკინგის საბჭოს სამდივნო*

2015 და 2016 წლებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ბრალდებით 7 ადამიანს დაუდგინდა ბრალი. აქედან 3 საქართველოს მოქალაქე იყო; ხოლო დანარჩენი ოთხი - უზბეკეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის და თურქეთის მოქალაქეები. აღსანიშნავია, რომ 2015-2016 წლებში ადამიანით ვაჭრობისთვის (ტრეფიკინგის) მსჯავრდებულთაგან 4 ქალია, ხოლო 3 - კაცი.

2015 წელს გამოვლენილ იქნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) 8 მსხვერპლი და 8 დაზარალებული, ხოლო 2016 წელს კი ერთი მსხვერპლი და ორი დაზარალებული. მსხვერპლთა უმრავლესობა (8) საქართველოს მოქალაქეა და შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლი საქართველოში, თურქეთსა და ერაყში გახდა. რაც შეეხება დაზარალებულებს, მათი

93 Trafficking in Persons Report, 2017. https://www.state.gov/j/tip/rls/tiprpt/2017/index.htm ნანახია: 31.10.2017. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ ანგარიშის მიხედვით, ქვეყნები განაწილებულია 4 კალათად (პირველი კალათა რანგით ყველაზე მაღლა დგას, ხოლო მე-3 - ყველაზე დაბლა) და ქვეყნების გადანაწილება დამოკიდებულია მათი მთავრობების მხრიდან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებზე. აღნიშნულ ანგარიშში კონკრეტულად ფასდება მთავრობის ძალისხმევა, რომელიც მიმართულია აშშ-ს 2000 წლის ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის შესახებ კანონის მინიმალური სტანდარტების დაკმაყოფილებისკენ.

94 Trafficking in Persons Report, 2016. https://www.state.gov/j/tip/rls/tiprpt/2016/index.htm ნანახია: 31.10.2017

95 ფონდის საქმიანობის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ: http://www.atipfund.gov.ge/ ნანახია: 31.10.2017

უმრავლესობა (7) უზბეკეთის მოქალაქეა, რომლებიც სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი საქართველოში გახდნენ.[96]

2016 წლის მონობის გლობალური ინდექსის *(Global Slavery Index)* თანახმად, საქართველოს მთავრობა მსოფლიოს იმ ქვეყნებს შორისაა, რომლებიც ყველაზე მეტ ღონისძიებას ახორციელებენ თანამედროვე მონობის აღმოსაფხვრელად.[97] საქართველოს მე-17 ადგილი უკავია და აღნიშნულია, რომ დაბალი მშპ-ს მქონე ქვეყნებიდან საქართველო გამოირჩევა ტრეფიკინგის წინააღმდეგ განხორციელებული ზომებით.

იმავე წყაროს მიხედვით, რეგიონულ ჭრილში, საქართველო პირველ ადგილზეა ტრეფიკინგის წინააღმდეგ სახელმწიფო დონეზე განხორციელებული ღონისძიებებით. რეგიონში კი მხოლოდ საქართველომ შეძლო ქმედითი რეფერალური მექანიზმის ამოქმედება ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის. [98]

N49 ცხრილი გვიჩვენებს, რომ მსხვერპლის/დაზარალებულის გამოვლენისთანავე, სახელმწიფო დაწესებულებები უზრუნველყოფენ შესაბამის დახმარებას, როგორც თავშესაფრისა და კომპენსაციის სახით, ასევე ფსიქოლოგიური, სამედიცინო და იურიდიული დახმარების თვალსაზრისით.

ცხრილი N49: სახელმწიფო დახმარება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთათვის.

დახმარების ტიპი	2012	2013	2014	2015	2016
თავშესაფარში განთავსება[99]	13	6	7	8	4
ფსიქოლოგიური დახმარება	7	4	4	6	1
სამედიცინო დახმარება	6	3	6	5	1
იურიდიული დახმარება	7	33	12	25	6
ერთჯერადი კომპენსაცია	6	21	9	18	2
პირთა რაოდენობა, რომელთაც გაეწიათ დახმარება	4	33	12	13	3

წყარო: *ტრეფიკინგის ფონდი*[100]

ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) მიმართებით შემდეგი ტენდენციები შეიმჩნევა:

- საქართველოს მოქალაქეები საზღვარგარეთ უფრო ხშირად შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლნი ხდებიან, ვიდრე სექსუალურის;
- საქართველოში გამოვლენილი საქმეების მიხედვით სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლად/დაზარალებულად, მეტწილად, უზბეკეთის მოქალაქე ქალები გვევლინებიან;
- 2015-2016 წლების მონაცემებით, საქართველოს მოქალაქეების შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევების უმეტესობა გამოვლენილია ერაყში და შედარებით ნაკლები - თურქეთში (ძირითადად, მამაკაცები);

96 მსხვეპრლის სტატუსის მინიჭება ხდება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმა-ხორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ. ხოლო, დაზარალებულის სტატუსის მინიჭება ხდება სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად პროკურორის დადგენილებით.

97 http://bit.ly/2odY3Wj ნანახია: 31.10.2017

98 https://www.globalslaveryindex.org/region/russia-and-eurasia/ ნანახია: 31.10.2017

99 თავშესაფარში განთავსებულ ბენეფიციართა რაოდენობაში ცალკეულ შემთხვევებში გათვალისწინებულია ბენეფიციარზე დამოკიდებული პირებიც (არასრულწლოვნები), რომელთაც ასევე ისარგებლეს თავშესაფრით.

100 სახელმწიფო ფონდის მიერ მოწოდებული ციფრები მიუთითებს ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა და დაზარალებულთათვის გაწეული მომსახურების რაოდენობას.

- საქართველოს ტერიტორიაზე იდენტიფიცირებულ ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა უმრავლესობა 18 წელს გადაცილებული პირია, თუმცა საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა ბოლო ორი წლის (2015-2016 წწ.) განმავლობაში არასრულწლოვანთა ტრეფიკინგის 2 შემთხვევა გამოავლინეს.

6. მიგრაციის მართვა

6.1. მიგრაციის პოლიტიკის ჩარჩო

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია მიგრაციის მართვის მექანიზმების განვითარების კუთხით, რაც ეროვნულ დონეზე სფეროს თანმიმდევრული პოლიტიკის შექმნაში გამოიხატება. აღნიშნული მნიშვნელოვანწილად განაპირობა ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით წარმოებულმა საქმიანობამ.

სტრატეგიული დაგეგმვა

1990-იან წლებში, ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოში მიგრაციის პოლიტიკის განმსაზღვრელი პირველი სტრატეგიული ტიპის დოკუმენტი 1997 წელს შეიქმნა. ეს იყო პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული „საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის კონცეფცია“. თავისი დროისათვის ამ მეტად ნოვატორულ დოკუმენტს, ძირითადად, უფრო დეკლარაციული ხასიათი ჰქონდა, რადგან არ გააჩნდა განხორციელების სამოქმედო გეგმა. შესაბამისად, რთულია იმის დადგენა, თუ რამდენად შესრულდა კონცეფციაში განსაზღვრული ამოცანები და რა როლი ითამაშა მან ქვეყანაში მიგრაციის მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად.[101]

ხსენებული კონცეფცია 2013 წელს ძალადაკარგულად გამოცხადდა და იგი ჩაანაცვლა საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულმა „2013-2015 წლების მიგრაციის სტრატეგიამ“,[102] რომელმაც (თავის სამოქმედო გეგმასთან ერთად) საფუძველი ჩაუყარა მიგრაციის მართვის მექანიზმთა ინსტიტუციურ განვითარებას ქვეყანაში და უფრო მკაფიოდ განსაზღვრა სახელმწიფოს პრიორიტეტები მიგრაციის ცალკეული სფეროების განვითარების კუთხით. სტრატეგიამ ხელი შეუწყო ქვეყანაში მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელებას მიგრაციის მართვის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს მთავრობამ, გაითვალისწინა რა მსოფლიო და კონკრეტულად ჩვენს რეგიონში არსებული გლობალური გამოწვევები და ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მოთხოვნები, 2015 წელს შეიმუშავა და დაამტკიცა მიგრაციის პოლიტიკის განმსაზღვრელი რიგით მესამე დოკუმენტი - 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია.[103] იგი მიგრაციის სფეროში პოლიტიკის დაგეგმვის თვალსაზრისით თვისებრივად სრულიად ახლებური დოკუმენტია, რომელიც ითვალისწინებს მომიჯნავე სფეროების სექტორულ სტრატეგიებსა და პოლიტიკის განმსაზღვრელ სხვა აქტებს და დიდწილად ასახავს ამავე წელს ევროკავშირის მიერ შემუშავებულ „ევროპის მიგრაციის დღის წესრიგის“ დებულებებს. სტრატეგიასთან ერთად მიღებულ იქნა შესაბამისი სამოქმედო გეგმა[104] და მისი შესრულების ინდიკატორები, რომელთა საფუძველზეც ფასდება მიღწეული შედეგები.

101 მიგრაციის სახელმძღვანელო, თბილისი, 2017 წ. ნაწილი XIV, მიგრაცია და საჯარო მართვა, გვ. 511-512.
102 საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 მარტის №59 დადგენილება „საქართველოს 2013-2015 წლების მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1874689 ნანახია: 31.10.2017
103 საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 დეკემბრის №622 დადგენილება „საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/3095139 ნანახია: 31.10.2017
104 საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა. https://goo.gl/UeHFhV ნანახია: 31.10.2017

უკანასკნელ წლებში მიღებულ იქნა მიგრაციის სფეროსთან მომიჯნავე სხვა სტრატეგიული დოკუმენტებიც: საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მართვის 2014-2018 წლების სტრატეგია;[105] საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების 2015-2018 წლების სახელმწიფო სტრატეგია;[106] საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წწ.);[107] დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია (2016 წ);[108] ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგია;[109] ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგია 2017-2020 წლებისთვის;[110] ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა.[111] უშუალოდ საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ასევე მომზადდა დიასპორასთან ურთიერთობის სახელმწიფო პროგრამა.

საზღვრის ინტეგრირებული მართვა

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ინტეგრირებული მართვის პრინციპები ეფუძნება ევროპულ მოდელს და მისი მიზანია აღნიშნულ პროცესში მონაწილე ყველა შესაბამისი უწყების საქმიანობის კოორდინაცია და თანამშრომლობა, როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

ბოლო წლებში ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების მიზნით სახელმწიფო საზღვრის ინტეგრირებული მართვის სფეროში საქართველოს მთავრობის მიერ არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, რაც გულისხმობდა საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს ჰარმონიზებას. შესაბამისად, განახლდა ინფრასტრუქტურა, დაინერგა თანამედროვე ტექნოლოგიები და განვითარდა ადამიანური რესურსები.

არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა და დოკუმენტების უსაფრთხოება

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით, 2014 წლიდან შსს განისაზღვრა ქვეყნის ფარგლებში უკანონო მიგრაციასთან ბრძოლაზე პასუხისმგებელ უწყებად. 2014 წლიდან შსს-ში ფუნქციონირებს მიგრაციის დეპარტამენტი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ტერიტორიაზე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფ პირთა აღმოჩენასა და ქვეყნიდან გაძევების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას. ქვეყანაში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ პირთა გამოვლენის ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნა ელექტრონული პროგრამა, რომელიც ამუშავებს კომპეტენტურ უწყებებში უცხოელის ქვეყანაში ყოფნის სამართლებრივი საფუძვლების შესახებ ინფორმაციას და უზრუნველყოფს იმ პირების იდენტიფიცირებას, რომლებიც კანონიერი საფუძვლის გარეშე იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე.

ქვეყანამ სწრაფ პროგრესს მიაღწია დოკუმენტების უსაფრთხოების მიმართულებითაც. 2010 წლიდან საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ, აიღონ ე.წ. მე-2 თაობის ბიომეტრიული პასპორტი, რომელიც მაღალტექნოლოგიური და გაყალბებისგან დაცული სამგზავრო დოკუმენტია. 2016 წლის შემოდგომიდან კი უკვე გაიცემა მე-3 თაობის ბიომეტრიული პასპორტები, რომლებიც 2010 წლის მოდელის პასპორტებთან შედარებით უფრო ძლიერი დაცვის მექანიზმებითაა აღჭურვილი. ბიომეტრიული პასპორტების გაცემის სისტემაზე გადასვლამ მნიშვნელოვნად გაზარდა საქართველოს მიერ გაცემული დოკუმენტების სანდოობის ხარისხი. 2011 წლიდან ქვეყანაში ასევე გაიცემა ელექტრონული პირადობის და ბინადრობის მოწმობები. დოკუმენტების უსაფრთხოების კუთხით მაღალი სტანდარტის დანერგვამ დიდწილად განაპირობა

105 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2279821 ნანახია: 31.10.2017
106 https://matsne.gov.ge/ka/document/view/1981264 ნანახია: 31.10.2017
107 http://mes.gov.ge/uploads/300.pdf ნანახია: 31.10.2017
108 https://matsne.gov.ge/ka/document/view/3331420 ნანახია: 31.10.2017
109 https://matsne.gov.ge/ka/document/view/3660371 ნანახია: 31.10.2017
110 https://matsne.gov.ge/ka/document/view/3650131 ნანახია: 31.10.2017
111 https://goo.gl/5BGBXw ნანახია: 31.10.2017

ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ეფექტიანად შესრულება, რის შედეგადაც 2017 წლის 28 მარტიდან ბიომეტრიული პასპორტის მფლობელ საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლა.

დაბრუნება და რეადმისია

„საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმება ძალაშია 2011 წლის 1 მარტიდან. ევროკავშირის ქვეყნების გარდა, რეადმისიის ხელშეკრულებები საქართველოს გაფორმებული აქვს უკრაინასთან, შვეიცარიასთან, ნორვეგიასთან, დანიასთან, მოლდოვასთან, ბელარუსთან და ისლანდიასთან. მოლაპარაკებები მიმდინარეობს ბოსნია და ჰერცეგოვინასთან, სერბეთთან, მონტენეგროსთან და პაკისტანთან. ევროკავშირსა და საქართველოს შორის რეადმისიის შესახებ შეთანხმების ეფექტიანი იმპლემენტაციის მიზნით, 2013 წელს შეიქმნა რეადმისიის განაცხადების მართვის ელექტრონული სისტემა (Readmission Case Management Electronic System), რომლის მეშვეობითაც ხდება ევროკავშირის ქვეყნებიდან რეადმისიის განაცხადების მიღება და დამუშავება. 2017 წლის მდგომარეობით, სისტემაში ჩართულია ევროპის 18 ქვეყანა.[112] ხსენებული სისტემის ეფექტიანობის გათვალისწინებით, მისი რეპლიკაცია და დანერგვა ხდება/იგეგმება სხვა ქვეყნების მიერაც.

დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია

დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. სწორედ ამიტომ 2015 წლიდან სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის ხელშეწყობისთვის სახელმწიფომ დაიწყო შესაბამისი თანხების სისტემატურად გამოყოფა ბიუჯეტიდან. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო სარეინტეგრაციო პროგრამას საგრანტო კონკურსის შედეგად გამარჯვებული არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით, მიზნობრივი პროექტების დაფინანსებით ახორციელებს, რაც უზრუნველყოფს როგორც რეინტეგრაციის პროგრამის განხორციელების გამჭვირვალობას, ასევე ამ სფეროში მომუშავე არასამთავრობო სექტორის გაძლიერებას და განვითარებას. აღსანიშნავია, რომ სარეინტეგრაციო პროგრამა დედაქალაქთან ერთად ვრცელდება საქართველოს რეგიონებზეც.

პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს საზოგადოების რეგულარული ინფორმირება სარეინტეგრაციო პროგრამით გათვალისწინებული დახმარებებისა და სერვისების შესახებ.

საერთაშორისო დაცვის სისტემა

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებები განხორციელდა საერთაშორისო დაცვის სისტემის გასაუმჯობესებლად. საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო ნორმებთან კიდევ უფრო დაახლოების მიზნით, 2016 წელს მიღებულ იქნა „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ ახალი კანონი, რომელიც ძალაშია 2017 წლის 1 თებერვლიდან. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში შეიქმნა წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების, სტატუსის დადგენის, ხარისხის კონტროლისა და ტრენინგების განყოფილებები. ამავდროულად დაიხვეწა თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა შესახებ მონაცემთა ელექტრონული ბაზა და 2017 წლიდან დაიწყო ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებისთვის ბიომეტრიული ტიპის სამგზავრო დოკუმენტების გაცემა.

112 პოლონეთი, საბერძნეთი, ბულგარეთი, საფრანგეთი, ბელგია, რუმინეთი, შვეიცარია, ნიდერლანდები, გერმანია, ავსტრია, ესპანეთი, ლიტვა, ლატვია, იტალია, ირლანდია, ჩეხეთი, ფინეთი და სლოვენია.

2017 წლიდან ფუნქციონირება დაიწყო ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ინტეგრაციის ცენტრმა. მისი ადმინისტრირებისა და ინტეგრაციის პროგრამების განხორციელების მიზნით, პირველად გამოიყო თანხა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

უცხოელთა ქვეყანაში შემოსვლა და ყოფნა

საქართველოს სავიზო და ბინადრობის პოლიტიკა ბოლო პერიოდში რამდენჯერმე შეიცვალა. 2014 წელს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ახალი კანონით დაინერგა შენგენის სავიზო კოდექსის სისტემის მსგავსი მექანიზმი, კერძოდ, შემოღებულ იქნა ვიზის ახალი კატეგორიები (A, B, C, D და T) და განისაზღვრა ბინადრობის ნებართვების ახალი ტიპები, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულია. ამასთან, 2015 წლიდან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ აამოქმედა ელექტრონული ვიზების პორტალი, რომლის მეშვეობითაც უცხოელებს შეუძლიათ, ინტერნეტის საშუალებით საზღვარგარეთიდან გააკეთონ განაცხადი და ელექტრონულად მიიღონ საქართველოს ვიზა.[113] ანალოგიური ტიპის მომსახურება დაინერგა ბინადრობის ნებართვების გასაგრძელებლად სსგს-ში და უცხოელებს სსგს-ს ვებ-გვერდის საშუალებით შეუძლიათ განაცხადის დისტანციურად გაკეთება.

2015 წელს ცვლილება შევიდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში და უვიზო მიმოსვლის უფლების მქონე ქვეყნების მოქალაქეებს, 180 დღეში 90 დღის ნაცვლად, 1 წლის განმავლობაში უვიზოდ ყოფნის უფლება მიენიჭათ, რაც განპირობებული იყო ქვეყნისთვის ისეთი პრიორიტეტული სფეროების წახალისებით, როგორიცაა ტურიზმის განვითარება და უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა.

მიგრაციის სტატისტიკა

მიგრაციის შესახებ მონაცემების შეგროვების და ანალიზის გაუმჯობესებისთვის მუშაობა რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს: 2015 წლიდან საქართველომ დანერგა თვისობრივად ახალი ტიპის ე.წ საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილი, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ ახლდება და შუალედებში ივსება მისი თემატური მიმართულებების ბაზაზე გაკეთებული მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილებით; ყოველწლიურად მიმდინარეობს მიგრაციის პროფილების მონაცემთა წყაროების გამრავალფეროვნება და მეთოდოლოგიის დახვეწა; მიგრაციის აქტუალურ თემებზე სხვადასხვა მასშტაბის და მეთოდოლოგიის კვლევების ჩატარება და მიგრაციის ერთიანი ანალიტიკური სისტემის (მეას) განვითარება. ამავდროულად, 2016 წლიდან ხელმისაწვდომი გახდა და საჯაროა საქსტატის მიერ 2014 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის საბოლოო, დეტალური მონაცემები შიდა და გარე მიგრაციის შესახებ.

მეას-ი სხვადსხვა სახელმწიფო უწყებების (პირველ ეტაპზე) იმიგრაციასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ მონაცემებს ერთ ბაზაში აერთიანებს. მონაცემთა რამდენიმე ბაზის ურთიერთდაკავშირებით შესაძლებელი ხდება როგორც მიგრაციის არსებული მონაცემების ხარისხის გაუმჯობესება და უფრო სწრაფი და ხშირი განახლება, ისე ახალი, აქამდე არარსებული მონაცემების გენერირება. მეას-ი მონაცემთა გაერთიანების და დამუშავებისთვის თანამედროვე, ე.წ. „Big Data“ ტექნოლოგიას იყენებს. 2017 წლის მარტიდან მეას-ი უკვე სახელმწიფო უწყებებიდან მიღებულ რეალურ მონაცემებს ამუშავებს, თუმცა ანგარიშების წარმოება ჯერ მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის - მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების და ანალიზის მეთოდოლოგიის და ალგორითმების განვითარების მიზნით მიმდინარეობს. მონაცემთა ანალიზის გარდა, აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს მეას-ის ინსტიტუციონალიზაციის და მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

113 https://www.evisa.gov.ge/GeoVisa/ ნანახია: 31.10.2017

6.2. საკანონმდებლო ჩარჩო

ბოლო 5 წლის განმავლობაში მიგრაციის მართვის სფეროში მიღებულ იქნა 4 ძირითადი ახალი კანონი:

A. 2014 წლის ივნისიდან მოქმედებს ორგანული **კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“**[114]. ახალმა კანონმა გაამარტივა საქართველოს მოქალაქეობის დადგენა და ახლებურად დაარეგულირა ნატურალიზაციის პროცედურები. ამასთან, იგი სრულად შეესაბამება „მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ“ გაერო-ს 1961 წლის კონვენციას;

B. 2014 წლის სექტემბერში ძალაში შესულმა საქართველოს ახალმა **კანონმა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“**[115] უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის დააწესა საქართველოში შემოსვლისა და ყოფნის ახალი რეგულაციები, შემოიღო ვიზისა და ბინადრობის ნებართვის ახალი კატეგორიები და შექმნა საქართველოში არალეგალურად მყოფ პირთა გაძევების ქმედითი მექანიზმები. კანონის განხორციელებაზე დაკვირვების პროცესში გამოვლინდა რამდენიმე საკითხი, რომლის საფუძველზეც 2015 წელს კანონში შევიდა ცვლილება და ახლებურად დარეგულირდა ვიზისა და ბინადრობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ცალკეული ნორმები;

C. 2015 წლის ნოემბრიდან მოქმედი საქართველოს **კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“**[116], უმეტესწილად, არეგულირებს საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა შრომითი ემიგრაციის ნორმებს, კერძოდ, შუამავალი ორგანიზაციების მეშვეობით შრომით ემიგრაციას. კანონში ასევე გათვალისწინებულია შრომით ემიგრანტთა უფლებების დაცვის მექანიზმები. საქართველოს მთავრობის მიერ მოგვიანებით დამტკიცდა შრომითი იმიგრაციის მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტიც.[117]

D. საუკეთესო საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, 2016 წელს მიღებულ იქნა **„საერთაშორისო დაცვის შესახებ“ ახალი კანონი**,[118] რომელიც ძალაშია 2017 წლის 1 თებერვლიდან. ახალი კანონით განისაზღვრა ისეთი სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც, ერთი მხრივ, მაქსიმალურად იცავს რეალურად საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე პირთა უფლებებს, უფრო ქმედითს ხდის თავშესაფრის პროცედურებს და გონივრულ ვადებში უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღებას, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს იმ პირთა მიმართ რეგულაციების გამკაცრებას, რომლებიც ბოროტად სარგებლობენ თავშესაფრის სისტემით საქართველოში.

საერთაშორისო მიგრაციის მარეგულირებელი სხვა კანონებია:

- საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ (1993 წ.);
- საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ (1996 წ.);
- საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ (1998 წ.);
- საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ (2006 წ.);

114 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2342552 ნანახია: 31.10.2017
115 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2278806 ნანახია: 31.10.2017
116 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2806732 ნანახია: 31.10.2017
117 საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 აგვისტოს N417 დადგენილება „შრომითი იმიგრანტის (საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელის) ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/2941958 ნანახია: 31.10.2017
118 https://matsne.gov.ge/ka/document/view/3452780 ნანახია: 31.10.2017

- საქართველოს კანონი „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ“ (2011 წ.);
- საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ (2008 წ.);
- საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ (2011 წ.).

საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული სტრატეგიული დოკუმენტები და შეთანხმებები ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან სახელმძღვანელო პრინციპებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა განვითარდეს მიგრაციის მართვა საქართველოში. ეს დოკუმენტებია: „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას (AA/DCFTA)“, „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი“ და „ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ ვალდებულებები.

6.3. ინსტიტუციური ჩარჩო

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია (მსსკ) 2010 წელს საქართველოს მთავრობის 314 დადგენილების[119] საფუძველზე შეიქმნა. კომისიის მიზანია მიგრაციის სფეროში საქართველოს მთავრობის ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრა, დანერგვა და მიგრაციული პროცესების კოორდინირებული მართვის გაუმჯობესება. აღნიშნული მიზანი კი მიიღწევა კვლევასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიგრაციის პოლიტიკის შემუშავებით და განხორციელებით, მიგრაციის მართვაში მონაწილე უწყებებს შორის კოორდინირებული საქმიანობით, ორმხრივი, რეგიონული თუ გლობალური საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმატების გამოყენებით და გამოცდილების გაზიარებით, ასევე სამოქალაქო საზოგადოების და აკადემიის წარმომადგენლების აქტიური ჩართულობით. უკანასკნელ წლებში მსსკ-ს საქმიანობა სწორედ ამ მიმართულებებით ვითარდება დინამიკურად.

2012 წელს ევროკავშირის მხარდაჭერით ჩამოყალიბდა მსსკ-ს სამდივნო. მისი ფუნქციაა, ხელი შეუწყოს კომისიის რეგულარულ საქმიანობას და უზრუნველყოს იგი მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე საექსპერტო-ანალიტიკური მხარდაჭერით. კომისიის სამდივნო ფუნქციონირებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში.

მსსკ აერთიანებს მაღალი რანგის წარმომადგენლებს შემდეგი სახელმწიფო უწყებებიდან:

119 https://matsne.gov.ge/ka/document/view/1049764 ნანახია: 31.10.2017

ილუსტრაცია 1. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის წევრი უწყებები



კომისიას თავმჯდომარეობს იუსტიციის სამინისტრო, ხოლო თანათავმჯდომარეა შინაგან საქმეთა სამინისტრო.

კომისიაში 2013 წლიდან საკონსულტაციო სტატუსით სარგებლობს 7 საერთაშორისო და 5 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია[120]. არასამთავრობო სექტორის ჩართულობის მიზანია კომისიის დამატებითი ექსპერტული რესურსით მხარდაჭერა და რეგულარული დარგობრივი თანამშრომლობისა და გამოცდილების გაცვლის წახალისება.

მიგრაციასთან დაკავშირებული პრიორიტეტული საკითხების შესასწავლად და კომისიის სხდომებზე განსახილველ გადაწყვეტილებათა პროექტების მოსამზადებლად მსსკ-ს ფარგლებში ჩამოყალიბებულია რამდენიმე თემატური სამუშაო ჯგუფი[121]:

120 საკონსულტაციო სტატუსის მქონე ორგანიზაციების ჩამონათვალი წარმოდგენილია მსსკ-ს ვებ-გვერდზე: http://bit.ly/2ywtElJ ნანახია: 31.10.2017

121 სამუშაო ჯგუფების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები წარმოდგენილია მსსკ-ს ვებ-გვერდზე: http://bit.ly/2oaM1wM ნანახია: 31.10.2017

1. მოქალაქეობის არმქონეობის;
2. სარეინტეგრაციო საკითხების კონსოლიდაციის;
3. მიგრაციის სტრატეგიის;
4. მიგრაციის ერთიანი ანალიტიკური სისტემის;
5. მიგრაციის რისკების ანალიზის;
6. უცხოელთა ინტეგრაციის;
7. მიგრაციისა და განვითარების.

სამუშაო ჯგუფებში სახელმწიფო უწყებებთან ერთად მსსკ-ში საკონსულტაციო სტატუსის მქონე ორგანიზაციებიც არიან წარმოდგენილი.

7. ძირითადი მიგნებები

საქართველოში მიგრაციასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, საჭიროებს დახვეწას და ხარისხის გაუმჯობესებას. წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი მონაცემები საკმაოდ ფრაგმენტულია და ზოგიერთ შემთხვევაში ავსებს ერთმანეთს, ზოგჯერ კი მეთოდოლოგიური სხვაობის გამო ართულებს ზუსტი სურათის აღქმას. მიუხედავად ამისა, არსებულ მონაცემთა ანალიზზე დაყრდნობით და მიგრაციის მართვის მექანიზმების შეფასების საფუძველზე, შესაძლებელია შემდეგი ძირითადი მიგნებების გამოკვეთა:

ემიგრაცია

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის საბოლოო შედეგების მიხედვით, 2002-2014 წლებში საქართველოს მოსახლეობა 15%-ით შემცირდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მოსახლეობის ბუნებრივი მატება ამ პერიოდში საკმაოდ სტაბილური იყო, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ ცვლილების გამომწვევი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი საქართველოდან ემიგრაციული ნაკადების ზრდაა.

- ბოლო ათწლეულის განმავლობაში **მზარდია ემიგრაციის მაჩვენებელი**. 2014 წლის მოსახლეობის აღწერამ აჩვენა, რომ ემიგრანტთა 75%-ს 20-54 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობა შეადგენს. შრომისუნარიანი და ფერტილური ასაკის მოსახლეობის გადინება კი, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ და დემოგრაფიულ მდგომარეობაზე;
- საქართველოდან **ევროკავშირში ლეგალური მიგრაციის ზრდის ტენდენცია** დასტურდება ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ საქართველოს მოქალაქეებზე გაცემული ვიზების და ბინადრობის ნებართვების მზარდი რაოდენობით;
- არსებული სტატისტიკური მონაცემებისა და შეფასებების თანახმად, **რუსეთში კვლავ ყველაზე მეტი ემიგრანტი იმყოფება საქართველოდან**. ამასთან, რუსეთის სტატისტიკის ფედერალური სამსახურის მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველოს მოქალაქეთა მიგრაციული სალდო 1997 წლის შემდეგ კლების ტენდენციით ხასიათდება;
- საქართველოში ყველაზე დიდი მოცულობის ფულადი გზავნილები კვლავ რუსეთიდან შემოდის, თუმცა მისი წილი ფულადი გზავნილების საერთო რაოდენობაში თანდათანობით მცირდება, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებიდან (28 ქვეყანა) პირიქით, იზრდება. ფულადი გზავნილების დიდი ნაწილი საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ

ქვეყანაში, პირველადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად იხარჯება. თუმცა **გზავნილების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯანდაცვასა და განათლებასაც ხმარდება**, რაც, საერთო ჯამში, ჯანმრთელი და კვალიფიციური მუშახელის არსებობას და ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ წინსვლას უწყობს ხელს;

- **ემიგრანტების უმრავლესობას საშუალოზე მაღალი განათლება აქვს**, თუმცა მათი დიდი ნაწილი განათლების გაუმჯობესებას საზღვარგარეთ ვერ ახერხებს. ამასთან, ქართული დიასპორის წარმომადგენლების სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი მდგომარეობა, ისევე როგორც მათი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის დონე, განსხვავდება მიმღები ქვეყნების მიხედვით;

- ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების ხელშეწყობის მიზნით, **შესაბამისი სახელმწიფო უწყებები მუშაობენ ცირკულარული მიგრაციის სქემების დანერგვასა და განვითარებაზე**. სწორად დაგეგმილ და მართულ ცირკულარულ მიგრაციას საქართველოში შეუძლია შეამციროს უმუშევრობის დონე და ამავდროულად შექმნას ახალი, კვალიფიციური სამუშაო ძალა;

- 2012 წლის შემდეგ **შეინიშნება კლების ტენდენცია საქართველოს მოქალაქეების მიერ საზღვარგარეთ თავშესაფრის მოთხოვნაზე**. ასევე ოდნავ შემცირებულია ლტოლვილის სტატუსის მქონე საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა საზღვარგარეთ. 2015-2016 წლებში თავშესაფრის მოპოვების თაობაზე ყველაზე მეტი განაცხადი საქართველოს მოქალაქეების მიერ გერმანიაში იქნა შეტანილი. ხოლო 2016 წლის მდგომარეობით, საქართველოდან ლტოლვილთა ყველაზე დიდი რაოდენობა საფრანგეთში იმყოფებოდა;

- საქართველოს მოქალაქეებისთვის **ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში შესვლაზე უარის შემთხვევები წლიდან წლამდე საგრძნობლად მცირდება.** აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით, 2016 წელს აღმოსავლეთ ევროპის საზღვრებზე 3-ჯერ არის შემცირებული საქართველოს მოქალაქეთა მიერ სასაზღვრო-გამტარ პუნქტებს შორის საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის შემთხვევათა რაოდენობა;

- 2016 წელს ევროკავშირის/შენგენის 32 ქვეყანაში **არალეგალურად მყოფი საქართველოს მოქალაქეების გამოვლენის ფაქტები შემცირებულია** წინა ორ წელთან შედარებით. ამასთან, ამ ქვეყნებში გამოვლენილი არალეგალურად მყოფი საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა 18-დან 34 წლამდე ასაკის კაცია. ეს მონაცემები მიანიშნებს, რომ საზღვარგარეთ არალეგალურად მყოფი საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა პოტენციურ სამუშაო ძალას წარმოადგენს, რომლებიც, სავარაუდოდ, საზღვარგარეთ დასაქმების შესაძლებლობების საძიებლად იმყოფება;

- საქართველოში **დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის** მხარდამჭერი პროგრამები ინსტიტუციონალიზებულია ლტოლვილთა სამინისტროში და ყოველწლიურად სტაბილურად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. დაბრუნებული მიგრანტებისთვის შეთავაზებული სერვისებიდან ყველაზე მოთხოვნადია ბიზნეს-კონსულტაცია, რაც შეესაბამება OECD-ის კვლევის შედეგებს, რომლის მიხედვით, დაბრუნებული მიგრანტები მიდრეკილი არიან ინვესტირების (მათ შორის, სოფლის მეურნეობაში), ბიზნესის დაწყების და თვითდასაქმებისკენ.

იმიგრაცია

მიუხედავად იმისა, რომ იმიგრანტების შესახებ არსებული მონაცემები საკმაოდ ფრაგმენტული და არასრულყოფილია, მონაცემთა სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში იმიგრანტების რაოდენობა მზარდია და მათი კონტრიბუციაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში შესამჩნევია.

- საქსტატის მონაცემებით, საქართველოში **იმიგრანტები, ძირითადად, საქართველოს მეზობელი ქვეყნების მოქალაქეები არიან** (რუსეთი, თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და უკრაინა);

- 2015 წელს, წინა წელთან შედარებით, **საქართველოში უცხოელებზე გაცემული ბინადრობის ნებართვები თითქმის გასამმაგდა**. 2016 წელს გაცემული ბინადრობის ნებართვების კლება კი, მეტწილად, საკანონმდებლო ცვლილებით აიხსნება;

- იმიგრანტების ახალ და **მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენენ განათლების მიღების მიზნით ჩამოსული უცხოელები**, რომლებიც საქართველოში, ძირითადად, უმაღლესი განათლების მისაღებად მოდიან. 2006-2016 წლებში საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული ყველაზე მეტი უცხოელი სტუდენტი აზერბაიჯანიდან, ინდოეთიდან, თურქეთიდან, ნიგერიიდან, რუსეთიდან და ერაყიდან იყო;

- **უცხოელ სტუდენტებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ როგორც ქვეყნის ეკონომიკაში, ასევე ქართული უნივერსიტეტების განვითარებაში.** საქართველოში უცხოელი სტუდენტების ჯამური წლიური ფინანსური დანახარჯები 2016 წელს 195,000,000 ლარს შეადგენდა, რაც საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 0.6 %-ია. ამასთან, უცხოელი სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური ქართულ უნივერსიტეტებს საშუალებას აძლევს, განახორციელონ მნიშვნელოვანი ინვესტიციები ინფრასტრუქტურასა და ტექნოლოგიებში და განავითარონ ახალი საგანმანათლებლო პროგრამები;

- **2015 და 2016 წლებში გაცემული შრომითი ბინადრობის ნებართვების რაოდენობა დაახლოებით ორჯერ აღემატება წინა წლებში გაცემული ამავე ტიპის ბინადრობის ნებართვების რიცხვს.** საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის მფლობელთა უმრავლესობას თურქეთის, ჩინეთის, ინდოეთის და ირანის მოქალაქეები წარმოადგენენ. უცხოელთა უმრავლესობა საქართველოში მშენებლობის, ვაჭრობის და ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმის და პირადი მოხმარების საგნების რემონტის სფეროშია დასაქმებული. ამასთან, მათი უმრავლესობა დასაქმებულია ისეთ პოზიციებზე, რომელზეც საშუალო და პროფესიული განათლება მოითხოვება;

- **საქართველოში უძრავ ქონებაში ინვესტიციებს, ძირითადად, საქართველოს მეზობელი ქვეყნების მოქალაქეები ახორციელებენ** (რუსეთი, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი და უკრაინა). შესაძლოა მათ შორის იყვნენ საქართველოს ყოფილი მოქალაქეები, რომლებმაც თავის დროზე დატოვეს საქართველო და სხვა ქვეყნებში გადავიდნენ საცხოვრებლად და სურვილი აქვთ, უძრავ ქონებაში ინვესტირების მეშვეობით შეინარჩუნონ საქართველოსთან კავშირები;

- ბოლო წლებში **გაიზარდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოში დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობაც**. ასეთ სუბიექტებს საქართველოში, ძირითადად, ირანის, თურქეთისა და ეგვიპტის მოქალაქეები აფუძნებენ. 2016 წელს, წინა წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად **გაიზარდა როგორც რეგისტრირებულ უცხოელ გადამხდელთა რაოდენობა, ასევე მათ მიერ გადახდილი გადასახადები;**

- **საქართველოში ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა რაოდენობა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მზარდია**, თუმცა 2016 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა წინა ორ წელთან შედარებით. 2012-2016 წლებში საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა ნახევარზე მეტი ერაყის მოქალაქე იყო;

- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებული საკანონმდებლო ჩარჩო იმიგრანტთა ინტეგრაციასთან დაკავშირებულ ბევრ საკითხს არეგულირებს, მაინც რჩება **საკითხები, რომლებიც მოსაგვარებელია იმიგრანტთა ინტეგრაციის პროცესის გასააქტიურებლად.**

შიდა მიგრაცია

საქართველოში შიდა მიგრანტების ძირითად ნაწილს ის პირები წარმოადგენენ, რომლებიც იძულებული იყვნენ, შეიარაღებული კონფლიქტის (იძულებით გადაადგილებული პირები) ან სტიქიური უბედურებების (ეკომიგრანტები) გამო მიეტოვებინათ თავიანთი საცხოვრებელი ადგილი, ან სოციალურ-ეკონომიკური მიზეზების გამო სოფლიდან ქალაქში და ქალაქიდან სოფლად გადასულიყვნენ საცხოვრებლად.

- **2016 წლისთვის რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირების რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 7%-ს შეადგენდა.** ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა თითქმის 10-ჯერ აღემატება ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობას;

- **ეკომიგრანტების შესახებ არსებული სტატისტიკა საკმაოდ მწირია** და დასკვნების გაკეთების საშუალებას ვერ იძლევა. ამასთან, პრობლემად რჩება ეკომიგრანტების ინტეგრაციის საკითხი, რომელიც ნაკლებად არის შესწავლილი;

- **აღწერათაშორის პერიოდში (2002-2014 წწ.) მოსახლეობის შემცირება უფრო მეტად სასოფლო ტიპის დასახლებებმა განიცადა.** შედეგად, მნიშვნელოვნად შეიცვალა ქალაქი/სოფლის სტრუქტურა და ქალაქის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში თითქმის 5%-ით გაიზარდა.

ადამიანით ვაჭრობა

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კუთხით წარმოშობის, სატრანზიტო და დანიშნულების ქვეყანას წარმოადგენს.

- **ბოლო 5 წლის განმავლობაში** ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევათა გამოძიებების რაოდენობა **წელიწადში 10-დან 20-მდე მერყეობდა**;

- საქართველოს მოქალაქეები საზღვარგარეთ **უფრო ხშირად შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლნი ხდებიან**;

- მსხვერპლის/დაზარალებულის გამოვლენისთანავე **სახელმწიფო დაწესებულებები უზრუნველყოფენ შესაბამის დახმარებას**, როგორც თავშესაფრისა და კომპენსაციის სახით, ასევე ფსიქოლოგიური, სამედიცინო და იურიდიული დახმარების თვალსაზრისით;

- აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ 2016 წლის ანგარიშში საქართველომ მეორე კალათიდან **პირველში გადაინაცვლა და იგივე კალათა შეინარჩუნა 2017 წლის ანგარიშშიც**.

8. გამოწვევები და რეკომენდაციები

ძირითადი გამოწვევები	რეკომენდაციები
საქართველოში სხვადასხვა უწყების მიერ **მიგრაციის მონაცემები** სხვადასხვა მეთოდოლოგიით გროვდება. განსაკუთრებით პრობლემურია იმიგრაციის მონაცემები, რადგან არ არსებობს იმიგრანტთა აღრიცხვის მექანიზმი, რომელიც საქართველოში მათი ჩამოსვლის მიზნებს და ხანგრძლივობას სრულყოფილად აღრიცხავდა. ამასთან, საკმაოდ მწირია არსებული კვლევები, რომლებიც საქართველოში მიგრაციას და განვითარებას შორის ურთიერთკავშირს შეისწავლიან და პოლიტიკის დაგეგმვისთვის არსებული სიტუაციის ანალიზს გვთავაზობენ.	■ მიგრაციის მონაცემთა ერთიან ანალიტიკურ სისტემაზე მუშაობის გაგრძელება; ■ იმიგრანტთა აღრიცხვის მექანიზმის შემუშავება და დანერგვა; ■ მიგრაციის საკითხებზე კვლევების ხელშეწყობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი კვლევების ჩატარება, რომლებიც თავად მიგრანტების მოსაზრებებს, საჭიროებებს და შესაძლებლობებს შეისწავლის, რათა მათი გათვალისწინებით მოხდეს შესაბამისი სერვისების შემუშავება და პოლიტიკის დაგეგმვა.
ფულადი გზავნილები მნიშვნელოვან როლს ასრულებს მიმღები ოჯახების კეთილდღეობის უზრუნველყოფაში, თუმცა ფულადი გზავნილების მიმართვა გრძელვადიანი განვითარების პროექტებზე და ინვესტიციებზე ნაკლებად ხდება.	■ ემიგრანტების და მათი ოჯახის წევრების ფინანსური განათლების გაუმჯობესება და სამეწარმეო უნარების განვითარების ხელშეწყობა, რათა მათ უკეთ შეძლონ ბიუჯეტის დაგეგმვა/მართვა და სრული ინფორმაცია ჰქონდეთ არსებულ საბანკო პროდუქტებზე, ინვესტირების შესაძლებლობებზე და ბიზნესის მართვის ძირითად პრინციპებზე; ■ მნიშვნელოვანია, რომ ემიგრანტებს მეტი კონტროლი ჰქონდეთ მათ მიერ გამოგზავნილ ფინანსებზე და შეძლონ ფულადი გზავნილების სწორად განკარგვა ოჯახის საჭიროებების გათვალისწინებით; ■ საჭიროა ქვეყანაში დანაზოგების შექმნის სისტემის გაუმჯობესება, რათა წახალისდეს ფულადი გზავნილების პროდუქტიული გამოყენება.
უცხოელი სტუდენტები იმიგრანტთა მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენენ საქართველოში. მათი პოზიტიური გავლენა დიდია როგორც თავად უნივერსიტეტებზე, ისე ქვეყნის ეკონომიკაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ ჯგუფის შენარჩუნებაზე და გაფართოებაზე ზრუნვა. ამასთან, გარკვეული პირობების არდაკმაყოფილების შემთხვევაში, შესაძლებელია საქართველოში განათლების მისაღებად ჩამოსულ უცხოელთა რაოდენობა შემცირდეს.	■ ბოლო წლებში საქართველოს უნივერსიტეტებში უცხოენოვანი პროგრამების რაოდენობის ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვანია გაუმჯობესდეს როგორც სწავლის, ასევე სტუდენტთა მომსახურების ხარისხი; სტუდენტთა მომსახურების ცენტრების შექმნა/გამართვა ხელს შეუწყობდა უცხოელი სტუდენტებისთვის დროული და სასარგებლო ინფორმაციის მიწოდებას სხვადასხვა საკითხებზე (მათ შორის, სავიზო და ბინადრობის საკითხებზე); ■ მნიშვნელოვანია, რომ უცხოელ სტუდენტებს თეორიულ ცოდნასთან ერთად, შეეძლოთ პრაქტიკული გამოცდილებაც მიიღონ საქართველოში.

იმის ფონზე, რომ **უმუშევრობა** საქართველოს ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება და ემიგრაციის მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია, შრომის ბაზრის კვლევა აჩვენებს, რომ უცხოელების მიერ დაკავებული პოზიციების უმრავლესობაზე მოითხოვება საშუალო და პროფესიული განათლება. დამსაქმებლის მიერ უცხოური სამუშაო ძალის დასაქმების მიზეზად კი ყველაზე ხშირად, ადგილობრივ ბაზარზე არსებული სამუშაო ძალის დაბალი კვალიფიკაცია სახელდება.	■ შრომის ბაზრის და განათლების პრიორიტეტული სფეროების ერთმანეთთან თანხვედრაში მოყვანა; ■ პროფესიული განათლების პროგრამების დახვეწა და პოპულარიზაცია.
იმიგრანტთა ინტეგრაცია საქართველოში ნაკლებად შესწავლილ სფეროს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით იმიგრანტთა ძირითადი უფლებები დაცულია, არსებული კვლევები მათი უკეთესი ინტეგრაციის აუცილებლობაზე მიუთითებენ.	■ ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნა საქართველოში ჩამოსული გრძელვადიანი იმიგრანტების ინტეგრაციის ხელშესაწყობად; ■ კვლევაზე დაფუძნებული კონკრეტული მექანიზმების შემუშავება იმიგრანტთა ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის.